დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: თეა გაბელაია
წევრები:

1.ტარიელ კალანდაძე- (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,წევრი)
2. თეა ნინუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. მანანა სეხნიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. მარინე შანშიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. მაია სიხარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. მარიამ ღუბელაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. თამარ მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ საჯარო სკოლა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242735894

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	წალენჯიხა
იურიდიული მისამართი	სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერი, პირველი ქუჩა N1
ფაქტობრივი მისამართი	სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერი, პირველი ქუჩა N1
საფოსტო ინდექსი	5200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	ewerIssaJaro@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577389883

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ბრძანება MES 4 23 0001081257 (05.09 2023 წელი)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	17, 18 ოქტომბერი, 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერი, პირველი ქუჩა N1
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერი, პირველი ქუჩა N1
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერი, პირველი ქუჩა N1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 17 და 18 ოქტომბერს სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

თეა გაბელაია--ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე - ადგილზე ვიზიტი)

წევრები:

1.ტარიელ კალანდაძე- (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,წევრი);
2.თეა ნინუა-(საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,წევრი);
3.მარიამი ღუბელაძე- (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,წევრი);
4.მარინე შანშიაშვილი- (უცხოურიენების საგნობრივი ექსპერტი,წევრი);
5.მანანა სეხნიაშვილი- (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,წევრი);
6.თამარი მურუსიძე- (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,წევრი);
7.მაია სიხარულიძე- (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,წევრი);
8. ნათია კურტანიძე- (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,წევრი);
9. ნაია ენდელაძე- (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,წევრი);
10.კობა დეკანაძე- (სპორტის საგნობრივი ექსპერტი,წევრი).

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა რამდენჯერმე და გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დანართებად წარმოდგენილ საჭირო მასალებს. განხილვის შემდეგ, ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შევათანხმეთ ვიზიტის დღის წესრიგი და გადაეგზავნა ხარისხის ცენტრს. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები: ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა, რომლის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, სკოლის ინფრასტრუქტურას და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობებს.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ.

ვიზიტის დასრულებისას ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	**აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა**	**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა**

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა აქტიურად უწყობს ხელს სკოლაში არაფორმალური განათლების დანერგვასა და განვითარებას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3	☐ შეესაბამება

პროცესების მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **120**	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** **(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)**

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შეაფასა პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა შესაბამისად.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი	**სკოლის ფილოსოფია**	**ხარვეზი**

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**ხარვეზი**
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

---

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი 3.4.1.1	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას**	რეკომენდაცია: სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუმველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან 2023 წლის 25 ოქტომბრიდან 2023 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი 1.1.1.2	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს	**რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა სკოლის ხედვა იყოს მკაფიო, მისიიდან გამომდინარე და აღწერდეს ხედვას, როგორი უნდა იყოს სკოლა მომავალში, რას უნდა მიაღწიოს სკოლამ მომავალში, და რა მახასიათებლებით აპირებს მიღწევებს.**
ინდიკატორი 1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.	**რჩევა:. სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას მიეცა რჩევა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში განისაზღვროს სამოქმედო გეგმის შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესის აღწერა.**
ინდიკატორი 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	**რჩევა: სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის დოკუმენტში ცვლილების შეტანისას, რომლის შეასძლებლობასაც იძლევა მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი (მუხლი 10. მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანა და გაზიარება), გაითავლისწინოს აქტივობების განხორციელების პერიოდის განსაზღვრა, კერძოდ, კონკრეტულად,**

		რომელ წელს, რომელი მიზანი და მიზნის შესაბამისი ამოცანა იქნება მიღწეული, რომელ წელს რა შედეგზე უნდა გავიდეს სკოლა.
ინდიკატორი 1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	**რჩევა: სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლამ უზრუნველყოს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სტრატეგიულ გეგმის შესაბამისი მიმართულებების, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა.**
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი 3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	**რჩევა:** **ა) სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას მიეცა რჩევა სკოლის დირექტორის მიერ შეიქმნას სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი;** **ბ) სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას მიეცა რჩევა შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში წარმოდგენილ სკოლის სტრუქტურაში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, ჩამონათვალს დაემატოს დაემატოს მრჩეველთა საბჭოს დასახელება.**
ინდიკატორი 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	**რჩევა: სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას მიეცა რჩევა, პედაგოგებმა, რომელთაც არ ჰქონდათ ცნობები: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის, ნარკოლოგიურის შესახებ და უფლების ჩამორთმევის**

		შესახებ, გონივრულ ვადაში უზრუნველყონ აღნიშნული დოკუმენტების სკოლისათვის წარდგენა.
ინდიკატორი **3.4.1.1**	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	**რჩევა :** **ა) სკოლას მიეცა რჩევა კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანის.** **ბ) სკოლამ უზრუნველყოს გონივრულ ვადაში სკოლის ძველი შენობის დემონტაჟის განხორციელება.**
ინდიკატორი **3.5.1.1 .**	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**რჩევა: სკოლა უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.**
ინდიკატორი **3.6.2.1**	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	**რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა საქმისწარმოების წესში განსაზღვროს ელექტრონული საქმის წარმოებისთვის რა რესურსებსა და მექნიზმებს იყენებს.**
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი **4.2.1.1**	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;	**რჩევა: სასურველია ახალი სასწავლო წლიდან შეიმუშავოს დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნევბა მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები და ხელშემწყობი აქტივობები.**
ინდიკატორი **4.2.2.3.**	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	**რჩევა : სასურველი იქნება სკოლამ განახორციელოს კვლევ და გაკეთოს ანალიზი , მის მიერ ჩატარელი აქტივობები, რამდენად ეხმარება მოსწავლეს შდეგის მიღწევაში.**

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**რჩევა**
ინდიკატორი **2.1.2.1**	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**რჩევა: პირველი კლასის კურიკულუმის ზოგიერთ თემას არ ახლავს საკითხთა კლასტერი, ჩასამატებელია. ასევე შესავსებია ზოგიერთი თემის გასწვრივ მე-2 კლასის კურიკულუმში საკითხთა კლასტერი და სამიზნე ცნებები**
ინდიკატორი **2.1.2.1.**	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას - შესაბამისია	**რჩევა: პედაგოგებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს როგორ დაუკავშირებენ თითოეულ თემას კონტექს მაგალითებსა და კომპლექსურ დავალებებს. რაც უნდა აისახოს 7-9 კლასის კურიკულუმებში, ასევე რესურსები რომლებიც დაეხმარება თემატური ერთეულის დამუშავებასა და კომპლექსური დავალების შესრულებაში (მათემატიკა).**
ინდიკატორი **2.2.2.5**	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	**რჩევა: ყველა კათედრა დეტალურად გაეცნოს ვერიფიკაციის მექანიზმს. დანერგოს და გამოიყენოს პრაქტიკაში (სამივე საფეხური)**
ინდიკატორი **2.1.2.1.**	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას - შესაბამისია	**რჩევა: პედაგოგებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს როგორ დაუკავშირებენ თითოეულ თემას კონტექს მაგალითებსა და კომპლექსურ დავალებებს. რაც უნდა აისახოს 10-12 კლასის კურიკულუმებში, ასევე რესურსები რომლებიც დაეხმარება თემატური ერთეულის დამუშავებასა და კომპლექსური დავალების შესრულებაში (მათემატიკა)**
ინდიკატორი **2.2.1.1**	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას	**სკოლას მიეცა რჩევა ,განმეორებით მიმართოს**

		შესაბამის უწყებებს,რათა აღმოუჩინონ დახმარება ლაბორატორიის სრულყოფილად აღჭურვაში (საბუნებისმეტყველო).

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**
   სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგიანა სკოლის ფილოსოფია: მისის, ხედვა და ღირებულებები, რომელიც ასევე დეკლარილებულია სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმასა და 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში.

   სკოლის მისია და ხედვა სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს . იძლევა იდენტობის განსაზღვრის საშუალებას და არის მამოტივირებელი.

სკოლის მისიაა: სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის მისიაა, რომ იგი იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე. წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

სკოლის ხედვაა: სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის სამომავლო ხედვაა სახელმწიფოს სტრატეგიისა და საერთაშორისო თანამეგობრობაში გაერთიანების მიზნების შესაბამისად:

- განათლების ხარისხის ამაღლება და მუდმივი განახლება;
- STEM საგნების გაძლიერებული სწავლების სტანდარტების შემუშავება, მათი უზრუნველყოფისა და განვითარების მექანიზმების დანერგვა.
- ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და კვლევისათვის აუცილებელი გარემოსა და პირობების შექმნა.

სკოლის ღირებულებებია:

განცხადებული მომავლის ხედვისა და სკოლის მისიის განხორციელების მიზნით სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ სკოლამ მთლიანობაში და მისმა ყოველმა ცალკეულმა თანამშრომელმა თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი სამუშაო პრინციპებითა და მიდგომებით:

- ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქართველოს წარმატება;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია პატიოსნება და კეთილსინდისიერება;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია მიუკერძოებლობა;
- ჩვენ ვაცნობიერებთ საკუთარ პასუხისმგებლობას;
- ჩვენ გვესმის, რომ ვაკეთებთ საერთო საქმეს და ვართ ჩვენი სკოლის ერთგულნი;
- ვნერგავთ ინოვაციურ მიდგომებს და ვითვალისწინებთ წარსულ გამოცდილებას;
- ვზრუნავთ სწავლა-სწავლების მაღალ ხარისხზე;
- ვემსახურებით საზოგადოებრივ ინტერესსა და საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას ;
- ვაფასებთ ინიციატივას და ვზრუნავთ მის მუდმივ გაუმჯობესებაზე ;
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია მუდმივი პროფესიული ზრდა და განვითარება ;
- ვმუშაობთ გუნდურად და ვიცავთ კოლეგიალობას;
- ვართ შედეგზე ორიენტირებული და ვითვალისწინებთ გაწეულ ხარჯსა და მიღებულ სარგებელს

ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია იმაზე, რომ სკოლა აღიქმებოდეს, როგორც საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. მისიაში გაცხადებულია, რომ სკოლა იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა, ზრუნავდეს თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე და წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

სკოლის ხედვას კი წარმოადგენს STEM საგნების გაძლიერებული სწავლების სტანდარტების შემუშავება, მათი უზრუნველყოფის, განვითარების მექანიზმების დანერგვა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და კვლევისათვის აუცილებელი გარემოსა და პირობების შექმნა.

მისიის შესრულებისთვის პრაქტიკულად განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი საკმაოდ სოლიდურია. სკოლაში მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების კვლევის შედაგად ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი ,,ლიბერა“, ეკოკლუბი ,,ხემხვაიე“ . სკოლა ჩართულია PH international-ის USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამაში.

პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო - კულტურული სივრცის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა ჩართულია სხვადასხვა კონკურსებში, ღონისძიებებსა და პროექტებში, როგორც სკოლაში ასევე სკოლის გარეთ:

- საქართველოს განათლების სამინისტროს, საერთაშორისო განათლების, კულტურის, ხელოვნებისა და კვლევითი ინსტიტუტის, ზუგდიდ- ცაიშის ეპარქიის ახალგაზრდობის განათლებისა და კულტურის ცენტრის ინიციატივითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა მოსწავლეთა კონფერენციის ფარგლებში ,,უკეთესი განათლებისათვის’’;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ სასკოლო-საგანმანათლებლო პროექტი - „ქართული ღვინის გზა“ ;
- სასკოლო–პრაქტიკული კონფერენცია ,,რწმენა ჩვენს ცხოვრებაში";
- კონკურსი -,,ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ეროვნული არქივის მიერ ჩატარებულ საგანმანალებლო პროექტი, ,,საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“;
- NATO - არჩევანი მშვიდობიანი და სტაბილური განვითარებისთვის“;
- პროექტის ,,წარსული მემკვიდრეობის კულტურული ძეგლები“;
- ეროვნული არქივის საგანმანათლებლო პროექტი .საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავი“;

- დოკუმენტური ფილმის ,,ერეკლე მეფის 40 დღიანი გლოვა და ეპიდემია“- ჩვენება და განხილვა ;
- პროექტი ,, გახსოვდეს აფხაზეთი“;
- პროექტი ,, თანამედროვე კონფლიქტები და სამშვიდობო მისიები";
- პროექტი ,, კოჯორ- ტაბახმელას გმირები";
- პროექტი ,,იმიტირებული სასამართლო პროცესი'';
- მედიის განვითარების ფონდი(MDF)-ის კონკურსი -,,ყველაზე მედიაწიგნიერი სკოლა" ;
- „კულტურული მრავალფეროვნება და მეგობრობის ხიდი“;
- CEEN-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში , ,,ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია“ (ორჯერ გამარჯვენული);
- პროექტი სამოქალაქო განათლებაში ,, გაგვაცანით თქვენი პროფესია";
- პროექტი- ,,22 აპრილი დედამიწის დღეა“;
- პროექტი :,,ეროვნული სამოსელი ქართული კულტურის ნაწილი“;
- პროეტქი- ,,სოლიდარობა დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს „
- პროექტი ,,არა ძალადობას“
- პროექტი ,,არა ბულინგს“;
- ეროვნული თავდაცვის აკადემია -პრექტი ,,ჩვენი ჯარი“.

აღსანიშნავია ის გარემოებც, რომ განხორციელებული აქტივობებში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება. პროექტების განხორციელების რეფლექსიებში და მსაწავლებელთა პორთფოლიოებში თვალნათლივ ჩანს თანამშრომლობა, გუნდურობა და კეთილგანწყობილი დამოკიდებულებები.

აღსანიშნავია ის გარემოებც, რომ განხორციელებული აქტივობებში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება.

ადგილზე ვიზიტის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე სკოლას აქვს მზაობა დაინახოს, გაიაზროს და განსაზღვროს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცეს შესაქმნელად.

რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა სკოლის ხედვა იყოს მკაფიო, მისიიდან გამომდინარე და აღწერდეს ხედვას, როგორი უნდა იყოს სკოლა მომავალში, რას უნდა მიაღწიოს სკოლამ მომავალში, და რა მახასიათებლებით აპირებს მიღწევებს.

ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. 2023 წლის 11 მაისს სკოლის დირექტორის 2-09 ბრძანებით შეიქმნა სკოლის ფილოსოფისიისა და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შექმნაზე მომუშავე ჯგუფი. აღნიშნულმა ჯგუფებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით იმუშავა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის შექმნაზე, რაც დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული კვლევის დოკუმენტით. სკოლამ კვლევის ფარგლებში შეადგინა კითხვარები, როგორც მასწავლებლებისათვის ასევე მშობლებისა და მოსწავლეებისათვის, რომ სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და უკუკავშირებით დაადგინონ რა უნდა იყოს სკოლის მისია და ხედვა, რა არის სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, რა შესაძლებლობები აქვს სკოლას ხარისხიანი სწავლების უზრუნველსაყოფად, რამდენად ხშირად ახორციელებს სკოლა სწავლის ახალ მიოდგომებს, როგორია მშობელშა ჩართულობა სკოლაში და ა.შ.

სკოლის სტრატეგიული გეგმის და სასკოლო კურიკულიუმის შემუშავებაში მშობელთა აქტიური ჩართვის მიზნით, სკოლამ ჩაატარა მშობელთა კრებები, რომლის მიზანიც იყო მშობელთა ინფორმირება სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის, სასკოლო კურიკულუმის შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს სკოლის მისიასა და ხედვას.

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (ბრძანება 2-09;11/05/2023 წელი) და სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის (ბრძანება 2-39; 06/10/2023 წელი) დოკუმენტით განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფისა და სკოლის დირექტორის ვალდებულება, მისიისა და ხედვის სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარების.
სკოლას 2023-2024 სასწავლო წლისათვის შეთანხმებული აქვს სამეურვეო საბჭოსთან და სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც დეკლარირებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.
სკოლამ ახალი მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მტკიცებულებად ასევე წარმოადგინა 2023 წლის 08 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N1-ით დამტკიცებული შვიდწლიანი სტარტეგიული განვითარების გეგმა, სადაც დეკლარირებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.
სკოლას მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები, სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარების მიზნით, სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე, სურათების სახითაა გამოკრული და გაგზავნილია თიმსის პლათფორმაზე და სოციალური გვერდზე შექმნილი პედაგოგიური და მშობელთა სასკოლო ჯგუფებისათვის.

ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნეს, რომ სკოლი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა მხარე და მათი ჩართულობა უზრუნველყოფს დოკუმენტის შინაარსის გაზიარებასაც.
ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით შექმნილისასკოლო კურიკულუმის შემუშავების ჯგუფი და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების შემუშავების ჯგუფი დაკომპლექტებულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებისა დხა სასკოლო საზოგადოების წევრებით. ამდენად ყველა რგოლში მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია. სკოლის კულტურიდან და წინარე გამოცდილებიდან შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კლასის დამრიგებლები გააცნობენ მისიას, ხედვას და ღირებულებებს სკოლის მოსწავლეებს და მათ მშობლებს.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯარო და ხელმისაწვდომი იყო სასკოლო საზოგადოებისათვის,რომელიც დასტურდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულ მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტით. ასევე მოქმედი მისია ხედვა და ღირებულებები სკოლის მიერ საჯაროდაა განთავსებული სკოლის ვებ გვერდზე, სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებზე (თიმსი, სოციალური ქსელი) და განხილულია მშობელთ შეხვედრებზე.
ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს ორი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N47.01.35.009 (შენობის) და N47.01.35.065 (მიწის ნაკვეთი) და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება, რითაც დასტურდება, რომ სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი 1.1.1.6 სრულად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წწ.;

3. მშობელთა, მასწავლებელთა, მოსწავლეთა კითხვარი;
4. მშობელთა კრების ოქმი N1 23.03.2023წ.;
5. პედსაპჭოს ოქმი N1;
6. სამეურვეო საბჭოს ოქმი N1;
7. ბრძანება N2-09, და ბრძანება N2-39;
8. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
9. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანება N136/ნ;
10. ინტერვიუ სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან;
11. კლუბების დებულებეი;
12. პროექტები.
13. შეხვედრის ლინკები და ფოტო მასალები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების განსაზღვრისათვის, შემუშავებული აქვს და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით ჩანს, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის შექმნის მეთოდები, რომლის მთავარ ორიენტირად მაქსიმალური ჩართულობა განისაზღვრა. მეთოდოლოგიის მიხედვით ნათლად ჩანს ის ნაბიჯები, რომელიც უნდა განახორციელოს სკოლამ ეტაპობრივად შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შექმნისას.

აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ასევე მუხლებს:

- მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანა და გაზიარება -მუხლი 10;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება- მუხლი11;
- სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის წარდგენის მეთოდი- მუხლი12;

მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სქემები:
სქემა N1- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი;
სქემა N3- მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანის და გაზიარების პროცესი.

მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოება ჩართულობა, გათვალისწინებული ცვლილების შესაძლებლობა, გადახედვა, მოდიფიკაცია, წარდგენა სამეურვე საბჭოზე, უკუკავშირების გათვალისწინება, მონიტორინგი, შესრულების ვადები, ინდიკატორების განსაზღვრა. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით მეთოდოლოგია შესაბამისობაში მოდის შესაბამის ინდიკატორთან.
სკოლამ ვიზიტის პერიოდში მტკიცებულებად წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 მაისის N2-09 ბრძანება მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.

რჩევა:. სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას მიეცა რჩევა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში განისაზღვროს სამოქმედო გეგმის შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესის აღწერა.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 08 სექტემბრის N1 ოქმით.
სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს ოთხი სტრატეგიული მიმართულებით :

1. სკოლის მომსახურებების გაუმჯობესება;
2. STEM საგნების გაძლიერებული სწავლება და ავტორიზაციის გავლა;
3. სკოლაში განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
4. სკოლის ორგანიზაციული განვითარება.

თითოეული მიმართულებება მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, სმოცანებს, ქვეამოცანებს, მოსალოდნელ შედეგებსა და რისკებს. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმაში მოცემულია სტრატეგიული მიზნებისათვის მისაღწევი საჭირო რესურსების ჩამონათვალი, სკოლის სტრუქტურა და სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმვის ციკლი.

სტრატეგიულ გეგმაში გაანალიზებულია მოსალოდნელი შედეგი და რისკები. ასევე გაკეთებული აქვს გარემო ფაქტორების ანალიზი. წარმოდგენილია S W O T ანალიზი, რომელშიც გაანალიზებულია ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. სტრატეგიული გეგმის მიზნები და პროგრამები ურთიერთთანხვედრაში.

შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში არ არის განსაზღვრული აქტივობების განხორციელების პერიოდი, კონკრეტულად, რომელ წელს რომელი მიზანი და მიზნის შესაბამისი ამოცანა იქნება მიღწეული, რომელ წელს რა შედეგზე უნდა გავიდეს სკოლა.

რჩევა: სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის დოკუმენტში ცვლილების შეტანისას, რომლის შეასძლებლობასაც იძლევა მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი (მუხლი 10. მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში

ცვლილებების შეტანა და გაზიარება), გაითავლისწინოს აქტივობების განხორციელების პერიოდის განსაზღვრა, კერძოდ, კონკრეტულად, რომელ წელს, რომელი მიზანი და მიზნის შესაბამისი ამოცანა იქნება მიღწეული, რომელ წელს რა შედეგზე უნდა გავიდეს სკოლა.

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლისათვის შექმნილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

სკოლის დირექციის, მასწავლებელთა ინტერვიუებითა და წარმოდგენილი გამოკითხვის დოკუმენტებით დასტურდება, რომ სამოქმედო გეგმა სკოლამ შეიმუშავა გასული სასწავლო წლის შეჯამებისა და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე, სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ჩატარებული გამოკითხვებისა და ფიკუს ჯგუფების შეხვედრის ფოტომასალა. სამოქმედო გეგმაში მოცემული ზოგიერთი მიმართულებები, მიზნები და ამოცანები არ არის შესაბამისი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის. კერძოდ, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის სტრატეგიული მიომართულები N1-ით განსაზღვრულია ს მიზანი, ხოლო სამოქმედო გეგმასი ამ მიმართულებით წარმოდგენილია 5 მიზანი. ასევე სტრატეგიულ გეგმაში სტრატეგიულ მიმართულება N2-ით განსაზღვრულია ,, STEM საგნების გაძლიერებული სწავლება და ავტორიზაციის გავლა“, ხოლო სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული მიმართულება 2-ით წარმოდგენილია ,,სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება“ და ასევე ამ მიმართულების მიზნები არ არის მოცემული სტრატეგიული გეგმის N2 მიმართულებაში.

რჩევა: სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლამ უზრუნველყოს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სტრატეგიულ გეგმის შესაბამისი მიმართულებების, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა სტრუქტურირებულია და ნათლად არის წარმოდგენილი თითოეული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული ერთწლიან პერიოდში განსახორციელებელი მოცანები,

დაგეგმილ აქტივობები, მათი განხორციელების ვადები, შესრულების მაჩვენებლები (ინდიკატორებს), მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულები, ჩართულ მხარეები და საჭირო რესურსები.
სამოქმედო გეგმა ადგენს მონიტორინგის განხორციელების მექანიზმებს . სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი მოხდება სასწავლო წლის ბოლოს, რის საფუძველზეც ცვლილებები და დამატებები შევა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

სამოქმედო გეგმაში განსახორციელებელი აქტივობები განსაზღვრულია სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმის სტრატეგიული მიმართულებებისა და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად:

სტრატეგიული მიმართულება 1 : სკოლის მომსახურებების გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზანი 1. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება
1.1.საგნობრივი კურიკულუმების შექმნა (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურზე);
1.2. სადამრიგებლო პროგრამების შექმნა ;
1.3. პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტების დაგეგმვა ;
1.4.დამატებითი საგანმანათლებლო სერვისების დაგეგმვა ;
1.5 მოსწავლის მხარდამჭერი პროგრამები ;
სტრატეგიული მიზანი 2. სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შესაბამისი მატერიალური რესურსით;
სტრატეგიული მიზანი 3. სკოლის ფინანსური მდგრადობა;
სტრატეგიული მიზანი 4: სკოლის პერსონალის, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა;
სტრატეგიული მიზანი 5: სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე დაყრდნობით ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება/განვითარება;

სტრატეგიული მიმართულება 2: სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება

სტრატეგიული მიზანი 1. დაწყებით საფეხურზე მიღწევების გაუმჯობესება წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების მიმართულებით;
სტრატეგიული მიზანი 2: საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება საბუნებისმეტყველო წიგნიერების მიმართულებით, STEM პროექტებით;
სტრატეგიული მიზანი 3. საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება პროექტული სწავლებებით;
სტრატეგიული მიზანი 4. სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება ;

სტრატეგიული მიმართულება 3 : სკოლის ორგანიზაციული განვითარება

სტრატეგიული მიზანი 1.ადამიანური რესურსების მართვა;
სტრატეგიული მიზანი 2. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
სტრატეგიული მიზანი 3. ანგარიშვალდებულების წარმოება;

სამოქმედო გეგმაში აქცენტირებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიების კეთილმოწყობა/ლაბორატორიის აღჭურვა, არაფორმალური მიმართულების გაძლიერება, სასკოლო კურიკულუმის ორიენტირება მოსწავლის საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების ხელშეწყობა, პროექტებზე, კვლევებზე, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობა / დანერგვა, პროფ. ორიენტაციის მხარდაჭერა, მოსწავლის აკადემიური მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება/ განახლება : რემედიაცია და სხვა.

გარდა ამისა, სამოქმედო გეგმა ასევე შეიცავს გამჭვირვალე და სამართლიანი გასაჩივრების, ასევე, საჩივრების განხილვის ეფექტური სისტემის შემუშავებას.

სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი აქტივობები მიმართულია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის.

ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ერწლიანი სამოქმედო გეგმა;
- გამოკითხვის დოკუმენტები;
- ფოტომასალა;
- სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა დოკუმენტი ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.
სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია დამტკიცებულია სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 მაისის N2-09 ბრძანებით. ამ დოკუმენტის მე-11 მუხლით განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი/შეფასების ფაზა. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება გულისხმობს, თუ რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია.

მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში წელიწადში ერთხელ სასწავლო წლის ბოლოს.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი მოიცავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულებასტან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება შედეგად მოხდება შეგროვებული მონაცემების გაანალიზება და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრა. შეფასების შედეგები სკოლას მისცემს შესაძლებლობას

მიიღოს ინფორმაცია დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.
სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესი ითვალისწინებს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას აუცილებლობის შემთხვევაში.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია დამტკიცებულია სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 მაისის N2-09 ბრძანებით. მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, უნდა განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. დოკუმენტის მიხედვით სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია, რომელიც წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების წინარე პერიოდში უნდა განხორციელდეს და მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით მოხდება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა გამოიყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. ივნისის ბოლო კვირაში სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით გაიმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც დაესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის თავმჯდომარე დეტალურად განიხილავს სამოქმედო გეგმას და შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას მიანიჭებს სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. შეხვედრას დააოქმებს სამუშაო ჯგუფის მდივანი. ასევე ის უზრუნველყოფს წერილობითი ანგარიშებისა და მტკიცებულებების შეგროვებას.

დოკუმენტის თანახმად მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ სკოლა იწყებს შეფასების პროცესს. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, დირექტორის სახელზე წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის/სასწავლო წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები გაფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

მეთოდოლოგიის მიხედვით სამოქმედო გეგმის ანგარიში დაიწერება ნარატიული ფორმით. სკოლა უფლებამოსილია ანგარიშში შეიტანოს ისეთი ინფორმაციაც, რომელიც არ შედიოდა სამოქმედო გეგმაში/სტრატეგიულ გეგმაში. მაგ: წარმოადგინოს სტატისტიკური ინფორმაცია სხვადასხვა ჭრილში, განათავსოს სხვადასხვა აქტივობის ამსახველი ფოტო მასალა, გაამდიდროს ინფორმაცია ინტერვიუებით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან და ა.შ.

სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამიკვეთა, რომ ისინი თანამონაწილენი არიან სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნის. შვიდწლიანი და ერთწლიანი გეგმების შემუშავების წინ სკოლის დირექტორის მიერ გამოყოფილია სამუშაო ჯგუფი, რითაც უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

სკოლა, სადამრიგებლო პროგრამების რეალიზების მიზნით, აკეთებს სადამრიგებლო პროგრამების ანალიზს. კლასის დამრიგებლების მიერ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი იქინა სადამრიგებლო პროგრამები, სადაც მოცემულია კლასის სამოქმედო გეგმა კლასის ინტერესების მიხედვით დაგეგმილი.

სკოლის დირექტორის 2023 წლის 04 ოქტომბრის 2-37 ბრძანებით შექმნილია დოკუმენტი -,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება, პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა, შემოწმების განხორციელება, დასკვნის შედგენა და უკუკავშირი და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.

,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტის მიხედვით შეფასებას განახორციელებს ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი. ხარისხისგანვითარებისა და მხარდაჭრის ჯგუფის მიერ, ყველა ძირითადი პროცესი დაექვემდებარება ყოველწლიურ შეფასებას. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი შეფასდება არანაკლებ ერთი წლისა. დანარჩენი პროცესები შემოწმებისათვის შეირჩევა სამსახურის მიერ წინასწარ შედგენილი შესამოწმებელი ობიექტის შეფასების კითხვარის საფუძველზე, რომელსაც ავსებენ პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები. ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი დირექტორთან შეთანხმებული ერთი ან რამდენიმე რისკ-ფაქტორის გათვალისწინებით, ყოველი წლის აგვისტო/სექტემბერში განახორციელებს შესამოწმებელი პროცესების/კურიკულუმების იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც შეადგენს პროცესების/პროგრამების შემოწმების წლიურ სამოქმედო გეგმას, რომელიც დამტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტების მიხედვით მონიტორინგის პროცესი იქნება ციკლური ხასიათის. პერიოდულად მოხდება დაკვირვება, მონაცემების შეგროვება და განხილვა. საბოლოო შედეგები ცნობილი იქნება სასწავლო წლის ბოლოს სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სტრატეგიული განვითარების დაგეგმარების სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯარო იქნება შექმნისთანავე. სტრატეგიული განვითარების დაგეგმარების სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები გაიწერება სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოს ოქმებში.

ასევე სხდომის შემდეგ ანგარიში განთავსდება საინფორმაციო დაფაზე ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე, აიტვირთება სკოლის ვებგვერდზე. წლის ბოლოს შედეგების პრეზენტაცია გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. გარდა ამისა სკოლა იზრუნებს გეგმით განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა საჯარო გახადოს და მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას. ამისათვის გამოიყენება, როგორც მშობელთა ჩართულობა პროექტების განხორციელებაში, ასევე სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის საშუალებით მოხდება ფართო საზოგადოებისათვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ინფორმაციის მიწოდება.

სკოლის ვებ. გვერდსა და სოციალურ გვერდზე საჯაროობისა და მეტი გამჭვირვალობისთვის ატვირთულია გასული წლის სხვადასხვა მასალები. სტრატეგიული ეგმა. სამოქმედო გეგმა, აქტივობებისა და განხორციელებული პროექტების ფოტო მასალები, მარეგულირებე;ი დოკუმენტები, სადაც განხილულია სკოლის განვითარების 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების საკითხი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 1.2.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლაში, წარმოდგენილი მეთოდოლოგიის დოკუმენტებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენებოდა სკოლის შემდგომი განვითარებისთვის და სამომავლოდაც იგეგმება ანალოგიური პრაქტიკა. ეს დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგადაც.
2022-2023 სასწავლო წლის შედეგები სკოლის მიერ განხილულია და გაანალიზებულია, ჩატარებული გამოკითხვები სხვადასხვა მიმართულებით, გამოკვლეულია მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესები, ხოლო შედეგები ასახულია 2023-2030 სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის
2. გასული წლების გეგმების და ანგარიშების ნიმუშები.
3. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
4. სტრატეგიული გეგმა;
5. სამოქმედო გეგმა.
6. კითხვარები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციები განსაზღვრულია სკოლის მიერ დასაქმებულსა და სკოლას შორის დადებულ ხელშეკრულებებში. სკოლას შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაში სკოლის სტრუქტურა გრაფიკულად აქვს წარმოდგენილი, რომელიც მოიცავს: დირექციას, ადმინისტრაციას, ტექნიკურ პერსონალს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, საქმისმწარმოებელს, საინფორმაციო მენეჯერს, ბიბლიოთეკარს, სკოლის ექიმსა და საგნობრივ კათედრებს (სკოლაში მოქმედებს 7 კათედრა).

სკოლის სტრუქტურაში არ არის წარმოდგენილი მრჩევლეთა საბჭო. დირექტორთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ აღნიშნული არის ტექნიკური ხარვეზი. სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და ოქმი.

2023-2024 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, საშტატო განრიგის შესაბამისად, ჰყავს 40 თანამშრომელი. აქედან დაწყებით, საშუალო და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახორციელებს 30 პედაგოგი. მასწავლებელთა რაოდენობა, საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: დირექტორი, 1 დირექტორის მოადგილე, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 მატერიალურ- ბტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 3 სპეციალური მასწავლებელი, 2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, 1 ექიმი, 1 დარაჯი, 2 დამლაგებელი და 1 ცეცხლფარეში. ასევე სოციალური დასაქმების სამსახურიდან 4 ბენეფიციარი (მეეზოვე, დამლაგებელი, ბიბლიოთეკოს თანაშემწე და კარისკაცი).
სკოლაში შექმნილია პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინარული კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების დებულებები სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული ფუნქციები.

აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები/პირები შერჩეულია და მათი ფუქცია/ მოვალეობების შესრულება ხორციელდება ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. სკოლას არა აქვს ცალკე დოკუმენტის სახით გაწერილი სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.

სკოლამ ასევე სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრის დადასტურებად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, თვითმმართველობისა და დისციპლინარული კომიტეტების ოქმები.

სკოლის მიერ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი პირადი საქმეების, eschool ბაზისა და სკოლის პერსონალთან ხელშეკრულებების გადამოწმების მიხედვით დასტურდება, რომ სკოლას პერსონალი შერჩეული ჰყავს ,,ზოგადი განათლების შესახებ ‘’ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

მასწავლებლის პირად საქმეებში განთავსებულია დიპლომის ასლები ნოტარიულად დამოწმებული, კვალიფიკაციისა და სტატუსების მინიჭების შესახებ დოკუმენტაცია.

მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის კოდექსთან“ შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით. ასევე რეგისტრირებულია შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალში. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული სკოლაში დასაქმებული პირის უფლება-მოვალეობები.

რჩევა:

ა) სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას მიეცა რჩევა სკოლის დირექტორის მიერ შეიქმნას სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი;

ბ) სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას მიეცა რჩევა შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში წარმოდგენილ სკოლის სტრუქტურაში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, ჩამონათვალს დაემატოს დაემატოს მრჩეველთა საბჭოს დასახელება.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, რომელიც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით-თნამშრომელთა ხელშეკრულებებით, სადაც სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ეფექტურად წარიმართოს და ხელი შეეწყოს სწავლების თანამედროვე სტრატეგიებისა და ინოვაციების დანერგვას. ასევე ინტერვიუირების დროსაც გამოიკვეთა, რომ ყველა სტრუქტურული ერთეული საბოლოო ჯამში სკოლის მისიას ემსახურება. სტრუქტურული ერთეულები/პირები ურთიერთთანამშრომლობით არეგულირებენ სასწავლო გარემოს, სწავლა/სწავლების პროცესის მართვას და შეიმუშავებენ სკოლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს.

სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები შესაბამისობაშია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან და სტრატეგიულ გეგმებთან, რაც დასტურდება როგორც სკოლაში არსებული დოკუმენტაციით, ასევე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით. სკოლის თითოეულ თანამშრომელს გათავისებული და გაზიარებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა და სხვებთან თანამშრომლობა საერთო საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად. სკოლაში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც მხარდამჭერ ფუნქციას ასრულებს. სკოლაში არაფორმალური განათლების წარმატებული პრაქტიკა უფრო აკავშირებს სკოლის თანამშრომლებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გაწერილია სკოლის შიგნით ხარისხის განვითარების მექანიზმი. ინტერვიურებისა და პრაქტიკულად ნანახი პროცესების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებელთა თანამშრომლობის დონე სკოლაში საკმაოდ მაღალია. მათ შორის საგაკვეთილო პროცესში ურთიერთდასწრებასაც აქვს მხარდამჭერი ფუნქცია. სსგ- ს და ისგ-ს შექმნისა და მონიტორინგის პროცედურები გაწერილია მეთოდოლოგიებში და ყველასთვის ხელმისაწვდომია.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. თნამშრომელთა ხელშეკრულებები;
2. დისციპლინური კომიტეტის ოქმი;
3. მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
4. სამეურვეო საბჭოს ოქმი;
5. დებულებები;
6. პირადი საქმეები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სკოლამ აღნიშნულის დადასტურებად ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლის შინაგანაწესი, თანამშრომელთა ხელშეკრულებები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, სადაც განსაზღვრულია სკოლის პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები, რომლის საფუძველზეც ხორციელდება პერსონალის მართვის პროცესები.
პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის „შრომის კოდექსისა“ და სკოლაში შექმნილი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის შესაბამისად.

მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის კოდექსთან“ შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და

დამოწმებული სკოლის ბეჭდით. ასევე რეგისტრირებულია შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალში. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული პირის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლოს წესი, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერაა, სტატუსის მიხედვით უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულების საგანი და მათი უფლება-მოვალეობები.
სკოლის შენაგანაწესი და სკოლის პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები შესაბამისია და არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები, სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება და „ადამიანური რესუსრების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი.
დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიების დროს აღინიშნა, რომ ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად ცხადდება კონკურსი. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით. საჭირო კადრისთვის წინასწარ განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ქვეყნდება საკონკურსო განაცხადდთან ერთად მასწავლებლის დასაქმების ვებგვერდზე. დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის დასაქმებულზე ან დროებით მოწვეულ პირზე. ეს პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად ბრძანებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას.
სკოლას მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრულია საჭიროებებზე დაფუძნებული პერსონალის მართვის ძირითადი მიმართულებები: ადამიანური რესურსების მართვის ციკლი, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია, დაწესებულების ადამიანური რესურსი, კადრების მოზიდვა და შერჩევა კონკურსების გამოცხადებით, პერსონალის კვალიფიკაცია, ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, . შესრულებული სამუშაოს შეფასება, თანამშრომელთა მოტივაცია და სხვა.

სკოლა ვაკანტურ პოზიციაზე (ვაკანსიის) შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით, კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი (როგორც შიდა, ასევე ღია, საჭიროებიდან გამომდინარე) და იქმნება საკონკურსო კომისია. კომისია შეიმუშავებს კონკურსის ჩატარების წესს და საჯარო სივრცეში ცხადდება ვაკანსია. კონკურსი ცხადდება ელექტრონულ პლატფორმაზე (www.teacherjobs.ge) განთავსებით და მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 174/ნ

ბრძანების შესაბამისად. პერსონალის შერჩევის წესი გამჭვირვალეა, დაცულია ობიექტურობა, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი საკონკუროს მასალებითა და ვაკანსიების გვერდის დათვალიერებით (www. teachers. gov.ge).

ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის პერსონალი შერჩეულია გამჭვირვალედ და ობიექტურობის დაცვით. პედაგოგის შესარჩევი კომისია არის მრავალფეროვანი, კერძოდ: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგნელი, საგანმანათლებლო რესურცენტრის წარმომადგენელი, პროფესიული კავშირების წარმომადგენელი, მოწვეული სპეციალისტი, სკოლის წარმომადგენელი. შეჩევის პროცესში უპირატესობა ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრს.

სკოლის დირექციასთან ინტერვიუს შედეგად და წარმოდგენილი საკონკურსო კომისიის ბრძანებებით, ოქმებითა და დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის,, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ დადასტურდა, რომ სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის შერჩევა ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის დაცვით. კერძოდ, კანონმდებლობის შესაბამისად ცხადდება შიდა და ღია კონკურსი. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ შიდა კონკურსის გამოცხადების შემდეგ შიდა კადრებით არ მოხდა ვაკანტური ადგილის შევსება სკოლა ღია კონკურსის შესახებ განაცხადს აქვეყნებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში, დასაქმების ვებგვერდზე – http://teacherjobs.ge/-ზე, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულიუ პირისთვის. აღნიშნულ საიტზე გამოქვეყნებული ვაკანსიები აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტაცია: კომისიის შექმნის ბრძანება, კომისიიის ოქმი, თანამშრომლად დანიშვნის ბრძანება და ხელშეკრულებები.

კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საპრეტენზიო განაცხადების განხილვის მიზნით, დირექტორის მიერ საპრეტენზიო კომისიის შექმნის პრაქტიკა სკოლაში არ ყოფილა.

სკოლის პერსონალის პირად საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ:

1. ყველა მასწავლებელს პირად საქმეებში წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადება;
ბ) CV;
გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ) ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი;

ე) სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.
ვ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;

რაც შეეხება ცნობას სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის არ ჰქონდა 3 მასწავლებელს, ცნობას ნარკოლოგიურის შესახებ არ ჰქონდა 4 მასწავლებეს და ცობას უფლების ჩამორთმევის შესახებ არ ჰქონდა 2 მასწავლებელს. ვიზიტის პერიოდში მასწავლებლებმა გააკეთეს განაცხადი აღნიშნული ცნობების მიღების შესახებ.

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების, კონკურსის გამოცხადების ბრძნებების, მასწავლებლის შესარჩევად ღია და შიდა კონკურსის ჩატარების წესის შესახებ ბრძანების, პერსონალის პირადი საქმეების დათვალიერებით დასტურდება, რომ პერსონალის კვალიპიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც პირადი საქმის გარდა ასახულია eschool-ის ბაზაში. ტექნიკური პერსონალი წარმოადგენს გამოცდილ და კვალიფიციურ კადრს.

პერსონალის დანიშვნის ბრძანებები და შრომითი ხელშეკრულებები შესაბამის ჟურნალშია გატარებული.

რჩევა: სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას მიეცა რჩევა, პედაგოგებმა, რომელთაც არ ჰქონდათ ცნობები: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის, ნარკოლოგიურის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ, გონივრულ ვადაში უზრუნველყონ აღნიშნული დოკუმენტების სკოლისათვის წარდგენა.

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ადგილზე ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ყველა დასაქმებულ პერსონალთან. შრომითი ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები.

2023-2024 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, საშტატო განრიგის შესაბამისად, ჰყავს 40 თანამშრომელი. აქედან დაწყებით, საშუალო და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახორციელებს 30 პედაგოგი. მასწავლებელთა რაოდენობა, საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: დირექტორი, 1 დირექტორის მოადგილე, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 მატერიალურ- ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 3 სპეციალური მასწავლებელი, 2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, 1 ექიმი, 1 დარაჯი, 2 დამლაგებელი და 1 ცეცხლფარეში. ასევე სოციალური დასაქმების სამსახურიდან 4 ბენეფიციარი (მეეზოვე, დამლაგებელი, ბიბლიოთეკოს თანაშემწე და კარისკაცი).მასწავლებელთა რაოდენობა, საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სკოლაში გაფორმებულია შემდეგი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულებები: უფროსი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება, წამყვანი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება და მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების V თავის მე-13 მუხლის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში საგნის გამოცდის ჩაბარებასა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი გავლას.
სკოლის ექიმის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 21 მარტის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ მოთხოვნილ პირობებს.
ვიზიტის პერიოდში თითოეული მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი იქნა როგორც ელექტრონული პორთფოლიო ასევე მატერიალური პორთფოლიო სადაც თითოეული მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობები იყო მოცემული.

ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია კანონმდებლობით განსაზღვრული უფროსი, წამყვანი და მოწვეული მასწავლებლებისთვის დამატებითი ფუნქციები.

ინდიკატორი 3.1.2.4 დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების, გუნდურობისა და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით. დელეგირებული მართვის პრინციპები ასახულია სკოლის მიერ შემუშავებულ სტრუქტურაში, ასევე თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სადაც მკაფიოდ არის გასაზღვრული დასაქმებული პირების უფლებამოსილებები და ვალდებულებები. ინტერვიურებით ირკვევა, რომ ორგანიზაციული კულტურა სკოლის მართვის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. სკოლაში შექმნილია ჯანსაღი თანაშრომლობით კულტურაზე დაფუძნებული გარემო. ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს სკოლის თანამშრომელთა ერთობლივად განხორციელებული პროექტები.

სკოლის განმარტებით გუნდური პასუხისმგებლობის შედეგია მოსწავლეთა მონაწილეობა ეროვნულ კონფერენციებსა და ეროვნულ ოლიმპიადებში:

https://emis188-my.sharepoint.com/:f:/g/personal/pipia_mtvarisa1_teachers_gov_ge/EqqnYp-7eKtKlEDdk-egZOsBi6qq2ta8EPcrknWtPUtwwQ?e=b3i11t

საქართველოს განათლების სამინისტროს, საერთაშორისო განათლების, კულტურის, ხელოვნებისა და კვლევითი ინსტიტუტის, ზუგდიდ- ცაიშის ეპარქიის ახალგაზრდობის განათლებისა და კულტურის ცენტრის ინიციატივითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა მოსწავლეთა კონფერენციის ფარგლებში **„უკეთესი განათლებისათვის"**

https://www.facebook.com/mtvarisa.pipia.5/posts/1889517417851454

https://www.facebook.com/mtvarisa.pipia.5/posts/1975220765947785

https://www.facebook.com/mtvarisa.pipia.5/videos/1975244955945366/

https://www.facebook.com/mtvarisa.pipia.5/posts/1975256815944180

https://www.facebook.com/mtvarisa.pipia.5/posts/1976197875850074

2016-2017 2020-2021 სასწავლო წელს მოსწავლეთა ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლების მიზნით შექმნილი ეკოკლუბი ,,ხემხვაიე " გახდა გამარჯვებული CEEN-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში , ,,ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია **" და ორჯერ** დამაჯილდოვდა სპეციალური პრიზით ,,მწვანე სკოლის სტატუსითა" და საჩუქრად გადმომეცა ,, Apple ipad 9.7 ".

https://www.facebook.com/mtvarisa.pipia.5/videos/1469405639862636

https://www.facebook.com/mtvarisa.pipia.5/posts/879308298872376

https://www.facebook.com/mtvarisa.pipia.5/posts/879308115539061

https://www.facebook.com/318463758510400/videos/453720531651388/

კლუბს აქვს თავისი ინტერნეტ გვერდი

https://www.facebook.com/%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90%E1%83%98%E1%83%94-318463758510400/?ref=pages_you_manage

ბლოგი https://mtvarisa2018.blogspot.com/2018/06/blog-post.html

2021-2022 სასწავლო წელი ეკოკლუბი

https://www.facebook.com/mtvarisa.pipia.5/posts/2519326398203883

აღნიშნულ კომკურსში მონაწილეობისათვის გაერთიანდნენ საბუნებისმეტყველო, ესთეტიკის და საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრები და ერთობლივად იმუშავეს ეკოკკლუბის მიერ განხორციელებულ აქტივობებზე. სკოლის თანამშრომელთა განმარტებით: თანამშრომლობითმა კულტურამ ხელი შეუწყო სასკოლო საზოგადოების მეტად გუნდურობას. მოსწავლეებზე უფლებათა დელეგირებამ განავითარა დამოუკიდელად გადაწყვეტილების უნარი, აამაღლა პასუხისმგებლობის გრძნობა, დააახლოვა სკოლის საზოგადოება ერთმანეთს.

სკოლის პერსონალთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ ისინი ჩართულნი არიან და მონაწილეობენ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და პრობლემების მოგვარებაში. კათედრის ფარგლებში და კათედრებს შორის არის ეფექტური თანამშრომლობა. სკოლის თანამშრომლები ჩართული არიან თანამშრომელთა შერჩევის პროცედურებშიც.

სკოლის პედაგოგები ინტერვიუირების დროს საუბრობდნენ ურთიერთთანამშრომლობით წარმართულ კათედრის სხდომებზე, ურთიერთდასწრებებზე, განხორციელებული პროექტებზე და ა.შ.

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომლებს ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, შეუძლიათ დამოუკიდებლად მოქმედება, გადაწყვეტილების მიღება და მასზე პასუხისმგებლობის აღება. მონაწილეობით ორგანიზაციულ კულტურაზე დაყრდნობით სკოლაში ხორციელდება ეფექტური კომუნიკაცია, მოსმენა, ურთიერთპატივისცემა და უკუკავშირი.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუსა და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარმატებული გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის ძირითადად ხდება კათედრებზე, პედსაბჭოზე, სამუშაო შეხვედრებზე, სასკოლო თუ საერთაშორისო კონფერენციებზე. შექმნილია ლიდერ მასწავლებელთა მუშა ჯგუფი, რომელიც ჩართულია USAID-ის საბაზისო განათლების პროექტში და იქ მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. ამ პროექტის ფარგლებში დაწყებითი საფეხურის კითხვის და მათემატიკის მასწავლებლები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს. სასკოლო კლუბებს შორის პარტნიორობის პრინციპით იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი სასკოლო პროექტები. საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება ხდება საგაკვეთილო პროცესში ურთიერთ დასწრების ფორმითაც, რომლის შემდეგ მასწავლებელები ერთმანეთს აძლევენ უკუკავშირს, რომლის შემდეგაც ხორციელდება ფოკუსირებული დასწრება მიცემული რეკომენდაციის საფუძველზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ვხვდებით აღიარებისა და წახალისების დამადასტურებელ დოკუმენტებს. კერძოდ, კათედრის სხდომის ოქმებს და ბრძანებებს ჯილდოს/პრემიების გაცემის თაობაზე.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

1. შინაგანაწესი;
2. საერთო ბრძანებების ჟურნალი;
3. საკადრო ბრძანებების ჟურნალი;
4. კონკურსის წესი;
5. საკონკურსო კომისიის ოქმი;
6. პერსონალის პირადი საქმე;
7. შრომითი ხელშეკრულებები;
8. ინტერვიუები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. აღნიშნული მექნიზმების დადასტურებად სკოლამ წარმოადგინა სკოლაში შექმნილი მასწავლებელთა საქმინაობაზე დაკვირვებისა და მათი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის ბრძანება.

პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები ასევე ასახულია სკოლის მიერ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, ხარისხის მართვის ჯგუფის სამუშაო დებულებაში, კათედრების სამუშაო გეგმასა და კათედრების ანგარიშებში.

საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები წლის განმავლობაში გეგმავენ და ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ აქტივობებს. ავსებენ თვითშეფასების კითხვარს და ადგენენ საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების გეგმებს. ესწრებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს. სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით ესწრება გაკვეთილებს, ისმენს მასწავლებლის რეფლექსიას და უკუკავშირის საფუძველზე ახდენს მასწავლებლის საჭიროების დადგენას. კათედრები განიხილავენ სიახლეებსა თუ მუშაობის პროცესში წამოჭრილ სირთულეებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. სკოლა ზრუნავს მასწავლებლის პროფესიულ ზრდა-განვითარებაზე, ხელს უწყობს სასკოლო და საერთაშორისო პროექტების დანერგვა განხორციელებას. სკოლის სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის დებულება დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. დებულება განსაზღვრავს ხარისხის ჯგუფის მუშაობის წესს, პროცესებსა და პროცედურებს. სკოლას ასევე გაწერილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულის სკოლის დირექტორის

2023 წლის 04 ოქტომბრის N2-37 ბრძანებით. ამ დოკუმენტში დაწვრილებით არის აღწერილი ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები. მე-6 მუხლი განსაზღვრავს თუ როგორ განახორციელებს სკოლა ადამიანური რესურსის შეფასებას.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის 2023 წლის 04 ოქტომბრის N2-37 ბრძანებით დამტკიცებულ ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტში დაწვრილებით არის აღწერილი ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები. სკოლის პერსონალთან ინტერვიურების პროცესში გამოვლინდა სკოლის ადმინისტრაციის საქმიანობის თავსებადობა ზემოაღნიშნულ დოკუმენტში გაწერილ პროცესებთან. პერსონალის განვითარება ციკლური პროცესის ნაწილია და მხოლოდ გამოვლენილი საჭიროებების კვალდაკვალ მიმდინარეობს ინტერვენციების გეგმის შემუშავება. ინტერვენციების გეგმა მუშავდება სასკოლო საზოგადოების ყველა ტიპისთვის: მასწავლებელი, სპეც. მასწავლებელი, ტექ. პერსონალი და სხვა. პროცესი შემდეგნაირად იმართება. თანამდებობრივი ინსტრუქციითა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება პერიოდულად მონიტორინგდება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით, იწერება სამსახურებრივი ბარათები და დგება ანგარიშები. ინდივიდუალური უკუკავშირების შედეგად ხდება ინტერვენციების გეგმის შემუშავება, ან ცვლილებების შეტანა. ანგარიშს ადგენენ შესაბამისი პასუხიმგებელი პირები. კათედრის ხელმძღვანელები, ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის ჯგუფი, მტუკი, დირეტორის მოადგილე და სხვა. საჭიროებების შესაბამისად სკოლის ადმინისტრაცია ორგანიზებას უწევს ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლების პროფესიული განვითარების აქტივობებს. მასწავლებლებთან მიმართებით ეს პროცესები რეგულირდება “მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის” მიხედვით. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ბრძანებით ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი და შექმნილია ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის დებულება, რომელიშიც აღწერილია ხარისიხს მართვისთვის საჭირო აქტივობების განხორციელების წესები და პროცედურები, მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვების ინსტრუმენტები, ანგარიშის, თვითშეფასების, უკუკავშირის ფორმები და ა.შ.

სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარება, ეფუძნება საჭიროებების კვლევას, რისთვისაც ხარისხის ჯგუფი აკვირდება საგაკვეთილო პროცესს და ზოგადად მასწავლებლის საქმიანობას, აძლევს უკუკავშირს და გეგმავენ ინტერვენციებს, რომელსაც მიზანმიმართულად ახორციელებენ და კვლავ აფასებენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მასწავლებლები სტატუსების შესაბამისად გადიან სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს. თითქმის ყველა მასწავლებელს აქვს 6, 12 და 20 სთ-იანი ტრენინგი გავლილი.

კათედრებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ უკუკავშირების, კათედრების ანალიზებისა და მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე, იკვეთება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებები, რის შედეგადაც ხდება პერსონალის შესაბამისი განვითარების პროცესის დაგეგმვა. ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით მიმდინარეობს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, თვითგანვითარების ხელშეწყობა, შეძენილი ცოდნის გამოყენების უნარის გამოვლენა, რაც გამოიხატება ურთიერთსწავლების შეხვედრებით, დაგეგმილი და განხორციელებული პროექტებით, კათედრების ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებით.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლაში მასწავლებლის კარიერული ზრდა არის ნებაყოფლობითი პროცესი. სკოლაში არიან წამყვანი და მენტორი მასწავლებლებლი. ეს არის დასტური იმისა, რომ სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლის კარიერულ ზრდას. საუკეთესო გამოცდილებას სკოლის თანამშრომლები უზიარებენ ერთმანეთს და ხელს უწყობენ მიღებული ცონის დანერვაში. მესამე თაობის ესგ-ს დანერგვა სკოლაში ინტენსიურად მიმდინარეობს.

სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა კარიერულ წინსვლას, რაც დასსტურდება ტრენინგების, სასკოლო პროექტების, კონფერენციებში ჩართულობითა და სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით. სკოლამ ასევე განახორციელა მასწავლებელთა წარდგენა სტატუსის ამაღლების მიზნით. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები პროფესიული განვითარების მიზნით ჩართულები არიან სხვადასხვა კონფერენციებსა და პროექტებში, კერძოდ, მასწავლებელტა ინტერვიუებითი და მასწავლებელბის მიერ წარმოდგენილი პორთფოლიოებით დასტურდება, რომ პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიზნით მათ მონაწილეობა აქვთ მიიღებული Key Consulting ინიციატივით გამართულ კონფერენციაში, ისისნი ჩართულები არიან eTwinning. პროექტში, რომლის ფარგლებში პროფესიული განვითარებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ონლაინ შეხვედრები/ სემინარები განხორციელდა უცხოელ პარტნიორებთან. ასევე 2022 წელს ჩართულები არიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

GLOBAL FRIENDS CLUB- ში და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სემიოტიკის კვლევითი ცენტრში, სადაც ესწრებიან საინტერესო ვებინარებსა და კონფერენციებს.

ასევე მასწავლებლები ესწრებიან სხვადასხვა ტრენგ- სემინარებს: ,,სოციალური და მწვანე მეწარმეობის სასერტიფიკატო კურსი-ტრენინგი", ,,განათლება ციფრულ ეპოქაში-ტრენინგი", ,,პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა", ,,განმავითარებელი შეფასების გამოყენება სასწავლო პროცესში", ,,ეფექტური სწავლება სწავლაში", ,,აუტიზმის მქონე მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა", ,,პოზიტიური აზროვნების ძალა" და ა.შ.

სკოლა გამოცდილების გაზიარებისა და მოსწავლეთა დამეგობრების მიზნით ონლაინ თანამშრომლობს თბილისის დავით სარაჯიშვილის სახელობის N16 საჯარო სკოლასა და საბერძნეთის, კერძოდ, ათენის, ირაკლიოს N13 სკოლასთან ერთად, სადაც ერთობლივად განხორციელდა სხვადასხვა სასწავლო და სოციალურ პროექტები.

სკოლის დაწყებითი საფეხური მასწავლებლები 2020 წლიდან ჩართულები არიან USAID განათლების საბაზისო პროგრამის ლიდერ მასწავლებელთა პროგრამაში.

აღნიშნულის დადასტურებად ასევე გარდა ინტერვიუსა კათედრებმა წარმოადგინეს მათი ანგარიშები, პორთფოლიები და ფოტო მასალა. ასევე მათ მიერ ანგარიშებში იკვეთება კათედრებს შორის აქტიური თანამშრომლობა მასწავლებელტა კარიერული ზრდისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნისნეს, რომ თანამშრომლობენ სკოლის დირექციასთან და ხარისხის მართვის ჯგუფთან განიხილავენ გაკვეთილებზე დასწრების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებს და ითვალისწინებენ მომავალი საქმიანობის დაგეგმვისას. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებეთა რეფლექსიები.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით დასტურდება, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს უზრუნველყოს თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია, სამუშაო გარემოს კეთილმოწყობა, უსაფრთხოება და საგანმანათლებლო/საკანცელარიო/სანიტარულ-ჰიგიენური რესურსებით აღჭურვა. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ მათ საშუალება აქვთ იმუშაონ თავიანთი სტრუქტურიდან გამომდინარე შესაბამის გარემოში. მათთვის გამოყოფილია თავისუფალი სივრცე და ხელმისაწვდომია საჭირო რესურსები, კომპიუტერული ლაბორატორია, ქიმიისა და ფიზიკა-ბიოლოგიის ლაბორატორიები, რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი, სააქტო და სპორტული დარბაზები, კვების ობიექტი, გარე სპორტული მოედნები.

სკოლის ეზოში შექმნილია შესაბამისი სივრცე. სკოლა ამ ეტაპისათვის უზრუნველყოფილია საგანამანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

კათედრების ხელმძღვანელებთან, სკოლის ადმინისტრაციასთა გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კათედრის ოქმები, სამსახურებრივი ბარათები, ურთიერთ დასწრების უკუკავშირები, განხორციელებული პროექტები, შესყიდვები, მასწავლებელთა პორთფოლიები და სხვა) საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი კულტურა დამკვიდრებული.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმიდან და სკოლის დებულებიდან დგინდება, რომ სკოლა უწყვეტად ზრუნავს სკოლის პერსონალის განვითარებაზე. სამოქედო გეგმაში გაწერილია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა სხვადასხვა აქტივოებისა და მექნიზმების გამოყენებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ სკოლა ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას ტრენინგებზე, სემინარებზე, კონფერენციებსა და შეხვედრებზე. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელ და საჭირო ტრენიგ-მოდულებზე, ასევე სკოლის დირექციის მიერ მხარდაჭერილია მასწავლებელთა ინიციატივით დაგეგმილი სხვადასხვა პროფესიული განვითარებისათვის საწირო აქტივობების განხორციელება, კერძოდ, შიდა კონფერენციები, პროექტები, ურთიერთდასრებები და კათედრების აქტიური თანამშრომლობა.

მასწავლებლებმა პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ტრენინგებზე, სემინარებზე, კონფერენციებსა და პროექტებზე ჩართულობის დადსტურებად წარმოადგინეს პროექტები, ფოტომასალები, სერთიფიკატები, მასწავლებელთა პორთფოლიები და სიგელები.

დღეის მდგომარეობით პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაიწერება პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები, წერილობითი სახით გარდა შინაგანაწესისა, არ არსებობს. სკოლა გეგმავს შეიმუშაოს მოქნილი ფორმა, რომელიც დაეხმარება პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებაში.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მასწავლებლის პროფესიული საჭიროების იდენტიფიცირება
2. 2023-2024 სამოქმედო გეგმა
3. კათედრის სამოქმედო გეგმა
4. კათედრის ოქმები და ანგარიშები
5. ფოტომასალები
6. სერთიფიკატები
7. მასწავლებლის პორტფოლიები
8. სიგელები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

9. პროექტები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად**

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.
სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა მიმდინარებს სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება ციკლურ პროცესს. ასევე სისტემატურად მიმდინარეობს შიდა ხარისხის კონტროლი. ამ მიზნით კათედრების მიერ დგინდება საგნის სწავლების საჭიროებები სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. სკოლას, შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმები, რითიც განახორციელებს მომავალ წელს შეფასების მონიტორინგს.

სასწავლო პროცესისი ხარისხის მართვისა და მხარდამჭერი სისტემა გამართულია და მხრდამჭერი ჯგუფი საკუთარ საქმიანობას სისტემატურად განიხილავს სხდომებზე და გეგმავს სამომავლო ქმედებებს.

სკოლაში ხარისხის მართვა ეფუძნება დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე- განავითარე პრინციპს.

2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმისა და შვიდწლიანი სტრატეგიული განვიტარების გეგმის მიხედვით სკოლაში განხორციელდება მონიტორინგი, რომლის მონაცემებსაც სკოლა გამოიყენებს არა მხოლოდ კონკრეტული ინფორმაციის შესაფასებლად, არამედ საგანმანათლებლო პროცესის განვითარების ხელშესაწყობად.

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის, სწავლა/სწავლების პროცესის ეფექტურ და ხარისხიან მართვას.

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აქვთ იდენტიფიცირებული, რაც დასტურდება 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში, შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში, ასევე ხელშეკრულებებში მოცემული და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვთ განსაზღვრული ვალდებულებებით.

ინტერვიუირების დროს დირექციამ, პედაგოგებმა, საქმისმწარმოებელმა, მტუკმა, ბუღალტერმა, აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა, კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება.

სკოლის წარმომადგენლები საგაკვეთილო პროცესს აღიარებენ ძირითადად პროცესად და ცდილობენ ეს დრო გამოიყენონ ეფექტურად , რათა მოსწავლეებში განავითარონ 21 საუკუნის უნარები და გამჭოლი კომპეტენციები. კათედრის თანამშრომლებმა წარმოადგინეს პორტფოლიოები, რითიც დასტურდება, რომ ისინი საგაკვეტილო პროცეისს წარმართავენ თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით. უმთავრესი ადგილი უჭირავს კეთებით სწავლას, პრობლემაზე დაფუძნებული და პროექტულ სწავლებას, ინოვაციური კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას. ცდილობენ განუვითარონ მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების, ლოგიკური მსჯელობისა და აკადემიური წერის უნარ-ჩვევები, გაუღვივონ მათ მსჯელობის, გუნდთან ერთად მუშაობისა და პრეზენტაციის უნარები. სკოლა ორიენტირებულია უზრუნველყოს სათანადო ხარისხის სასწავლო კურიკულუმის მიწოდება მოსწავლეებისთვის; შედეგად, ცდილობს მოიპოვის და შეინარჩუნოს დაინტერესებული მხარეების (მოსწავლე-მშობელი, თემი) ნდობა, კეთილგანწყობა, დააკმაყოფილოს მათი საჭიროებები და მოთხოვნები. საჭიროეების იდენტიფიცირება ხდება სასკოლო საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობით: მოსწავლეთა გამოკითხვით, ანკეტირებით, მშობლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან საუბრით. სკოლის სოციალურ გვერდზე მიღებული უკუკავშირით. ხარისხის განვითარერბის ჯგუფი ახორციელებს სწავლების ხარისხის მონიტორინგს. მათი მოვალეობა გაწერილია ხარისხის უზრუნვეყოფის დოკუმენტში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

და მოიცავს, დაკვირვებას სწავლა-სწავლების პროცესზე, კომპეტეტურ უკუკავშრის, რომელშიც აღნიშნულია, როგორც პოზიტიური, ისე გასავითარებელი მხარები. სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია მშობლებთან ინდივიდუალური და საერთო შეხვედრები, მათგან მიღებული უკუკავშირი, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში. სასკოლო სასწავლო გეგმაში, კურიკულუმებსა და სკოლის შინაგანაწესში.

სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებაში მოსწავლეთა თვითმმართველობა. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის წესდებაში. სკოლის წესდებაში აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, სკოლის შინაგანაწესსა და ხელშეკრულებებში. ძირითადი პროცესი - საგანმანთლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ხელშეკრულებები აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას. შინაგანაწესი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. აღნიშული წესი განსაზღვრავს შემოსული დოკუმენტაციის სახეებს, გასულ დოკუმენტაციას, შიდა დოკუმენტაციას, ბრძანებების მომზადებას და გაფორმებას, სხვადასხვა დოკუმეტებზე (წერილი, ოქმი, ცნობა) მუშაობის წესებს. კორესპონდენციის განხილვისა და პასუხის მომზადების წესს, დოკუმენტის ასლის გაცემის და დამოწმების წესს. ასევე არეგულირებს დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალებს, მოსწავლეთა ბრძანებებს, საერთო ბრძანებებს, ბრძნებების გამოცემის და აღრიცხვის წესს, კონვერტების დამუშავების წესს და ა.შ.

სკოლას შემუშავებული აქვს ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების“ დოკუმენტი, რომლის მიზანიც სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, კერძოდ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ა) ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;
ბ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
გ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზეეფექტური რეაგირება;
დ) ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა;

სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 ოქტომბრის 2- 48 ბრძანებით დამტკიცებულია ,,მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით“ დოკუმენტი, რომელითაც უზრუნველყოფილი იქნება ადმინისტრირების მექანიზმის ხელშეწყობა მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიმართულებით. დოკუმენტიტ განისაზღვრება მოსწავლეთა უფლებების დაცვის ეფექტური კონტროლი და პრევენციული ღონისძიებების გაძლიერება.
სკოლის დირექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის 2-60 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პერსონალური მონაცემების დაცვის წესი“, რომელსაც სკოლა გამოიყენებს სკოლის მიერ მოსწავლეების, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სხვა დასაქმებული თანამშრომლების მონაცემთა დამუშავების პროცესში და გავრცელდება სკოლის მიერ მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავებაზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი მოაწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის გავრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა იქნება შესასრულებლად.
სკოლას შემუშავებული აქვს ,,საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის მიზანს წარმოადგენს:

1. სკოლის იმიჯის შენარჩუნებაზე ზრუნვა და ცნობადობის ამაღლება;
2. შიდა და გარე საკომუნიკაციო სტრატეგიების ეფექტური გამოყენება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის;
3. საზოგადოების როლის ზრდა სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებაში;
4. საზოგადოებასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობა;
5. კომპეტენციის ფარგლებში პროფესიული განათლების სფეროში საზოგადოებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გამჭვირვალობის და ამ სფეროში საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;
6. საზოგადოების პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოებაში ცნობადობისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, სკოლაში პროფესიული განათლების სივრცისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა და კამპანიების დაგეგმვა და ორგანიზება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

7. საზოგადოების ინფორმირება სკოლის საქმიანობისა და განათლების სფეროში მისაღები და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ .სკოლის განვითარებაში თანამონაწილეობა საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ პირებთან შესაბამისი შეხვედრების ორგანიზება; (კომპეტენციის ფარგლებში);
8. სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო საჯარო სკოლის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების ადმინისტრირება; (კონტენტის შექმნა);
9. ანტიკრიზისული კომუნიკაცია, რომელიც ითვალისწინებს სწორი და დროული ინფორმაციის მოპოვებასა და გავრცელებას, როგორც სკოლის შიგნით, ასევე კოლეჯს გარეთ, მიზანმიმართული საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენებითა და საზოგადოების ჩართულობით.

სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 ოქტომბრის 2- 47 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის“ დოკუმენტი, რომლითაც დადგენილია სსსმ სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია, სკოლის ვალდებულებები, სპეციალური მასწავლებელის ფუნქციები, მასწავლებლის ფუნქციები, მომსახურებების მიწოდების რეგულაცია და სხვა.

სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 ოქტომბრის 2- 42 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“, რომლითაც განსაზღვრულაი მოსწავლის და მოსწავლის მეურვის კანონიერი უფლებები, სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებები.

სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 ოქტომბრის 2- 44 ბრძანებით დამტკიცებულია ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“, რომელიც არეგულირებს მოსწავლის ცარიცხვის წეს საფეხურების მიხედვით, მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესს, სტატუსის აღდგენის წესს, კლასისა და საფეხურის დაძლევის წესს.

სკოლის დირექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის 2- 59 ბრძანებით დამტკიცებულია ,, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი. პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით, ასევე, შექმნას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასპოლიტიკის ამოცანებია:მ დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა, დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება, დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას შინაგანაწესის დოკუმენტში განსაზღვრული აქვს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის წესი. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. სკოლის მიერ შექმნილი ,, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“ დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლაში პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრება და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

სკოლის დირექციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ თანამშრომლებს, მოსწავლეებს/მშობლებს და მათ კანონიერი წარმომადგენლებს სკოლა უფლებას აძლევს გაასაჩივრონ ცალკეული გადაწყვეტილებები. დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლაში შემოსული საჩივარი ტარდება რეგისტრაციაში და განსახილველად გადაეცემა დისციპლინარულ კომიტეტს შემდეგი რეაგირებისათვის, აღნიშნული პროცესი სკოლაში მიმდინარეობს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის შინაგანაწესითა და სკოლის მიერ შექმნილი ,, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“ დოკუმენტით უზრუნველყოფილია პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. ამ მიზნით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სკოლას აქვს შინაგანაწესი;
- სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო;
- სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი;
- სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;
- სკოლას ჰყავს სკოლის ექიმი;
- თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი;
- სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა.

დოკუმენტში განსაზღვრულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები, ვალდებულებები, გასაჩივრების წესი.

დოკუმენტის მიხედვით მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა. ასევე აღნისნული დოკუმენტით დგინდება, რომ ყველა მოსწავლესა და მის მეურვეს აქვს უფლება იცნობდეს სასკოლო სასწავლო გეგმას. სასკოლო სასწავლო გეგმა განთავსებულია სკოლის ბლოგზე (იხ.: ვებგვერდი www.skolebi.emis.ge). სასკოლო სასწავლო გეგმას ყოველწლიურად შეიმუშავებს სკოლა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით. სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგიერთი საკითხი შეთანხმებული უნდა იყოს მოსწავლეებთან/მეურვეებთან.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლაში ფიზიკური უსაფრთოხებისა და დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი. დოკუმენტში გაწერილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიმზები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიმზების შესრულებაზე პასუხისმგებელია მორიგე მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები, სკოლის ექიმი და სკოლის დირექცია.

ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი
2. დისციპლინური კომიტეტის ოქმი
3. სკოლაში ფიზიკური უსაფრთოხებისა და დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი.
4. ,, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, Microsoft Teams - ის პლატფორმას, დამრიგებელთა და მასწავლებელთა სოციალურ გვერდებს.

პედაგოგებთან, საინფორმაციო მენეჯერთან, საქმისმწარმოებელთან ინტერვიუირებამ აჩვენა, რომ სკოლა სოციალურ ჯგუფებში ავრცელებს ინფორმაციას სასწავლო პროგრამების, სასწავლო რეჟიმის, არაფორმალური განათლების აქტივობების შესახებ. სოციალური ქსელს სკოლა იყენებს სასკოლო კვლევების განსახორციელებლადაც.

სასკოლო მსაზოგადოების უკუკავშირი სოციალური ქსელითა და თიმსის პლატფორმით მიეწოდება სკოლის წარმომადგენლებს. დირექცია განიხილავს შემოსულ წინადადებებს და პასუხს უბრუნებს მშობლებს სოციალური ქსელით ან თიმსის პლატფორმით.

ინდიკატორი 3.3.2.1 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო, სკოლის დისციპლინარულ კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, პედაგოგიური საბჭო და თვითმმართველობა.
აღნიშნული სტრუქტურურლი ერთეულების ინტერვიუირებამ ცხადყო, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეებთან ინტერვიუებითა და ოქმებით.
სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიურ ჩართულობას. დამრიგებელთა თქმით, მშობელს მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია მოსწავლის როგორც აკადემიური მოსწრების, ისე ქცევის შესახებ. მშობელთა ინფორმირება ხდება დამრიგებლის მიერ ინდივიდუალური შეხვედრის დროს, სატელეფონო ზარის საშუალებით, სოციალური ქსელების მეშვეობით. ყოველ პარასკევს, გაკვეთილების დასრულების შემდეგ, მშობლებისთვის არის „ღია კარი“ და მათ ეძლევათ მასწავლებლებთან პირისპირ კომუნიკაციის შესაძლებლობა.
მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში. ისინი შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევენ კლასს ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაში.
დირექციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის თვითმართველობა მონაწილეობს სკოლის მართვაში. ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით ისინი სხვადასხვა აქტივობას ახორციელებენ.

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირების ამსახველი თიმსის პლატფორმისა და სოციალური შიდა ქსელის ფოტომასალა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სამეურვეო საბჭოს ოქმი
3. დისციპლინური კომიტეტის ოქმი
4. მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
5. პედაგოგიური საბჭოს ოქმი,
6. თვითმმართველობის ოქმი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

7.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლამ აღნიშნულის დადასტურებად წარმოადგინა სკოლაში ფიზიკური უსაფრთოხებისა და დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი, კერძოდ, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან არ არის შეთანხმებული. სკოლას 2023 წლის 18 ოქტომბერს გაგზავნილი წერი აქვს ლი (MES 2 23 0001399497) აღნიშნულ სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების მიზნით. სკოლას ჰყავს განსაზღვრული სართულებს შორის მასწავლებელთა მორიგეობა. სკოლას ასევე ჰყავს დარაჯი და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების“ დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სკოლაში:

ა) ბავშვთა უფლებების დაცვასა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას;
ბ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას;
გ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირებას;
დ) ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფას;
აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სკოლის დირექცია და უფლებამოსილი პირი, რომელსაც სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად აქვს შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არის სერტიფიცირებული სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ.

აღნიშნული დოკუმენტებითა და სკოლაში დასაქმებული პერსონალის ფუნქცია -მოვალეობებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას (სასკოლო წესრიგის უზრუნველყოფა), საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლას ასევე გამოყოფილი ჰყავს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში ორივე სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და ყველა სართულზე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, მიმართულების მაჩვენებელი ისრები და კედელზე გამოკრულია 112 -ის ნომრები. სკოლაში დამონტაჟებულია 16 უსაფრთხოების კამერა (12 შიდა კამერა და 4 გარე კამერა) , რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. კამერები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. სკოლას ჰყავს 1 დარაჯი, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფენ სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს 24 საათის განმავლობაში. სკოლას ასევე ჰყავს მრჩეველთა საბჭო.
სკოლას აქვს კანონის შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი და ჰყავს 1 ექიმი 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ -ის შესაბამისად.

სკოლას ჰყავს 3 სპეციალური მასწავლებელი და 2 ინდივიდუალური ასისტენტი. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი.

ვიზიტის პერიოდში, დროს პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ თანამშრომლები კარგად იცნობენ უსაფრთხოების წესებს, საევაკუაციო გეგმას და საგანგებო სიტუაციებში სწორად რეაგირებაც შეუძლიათ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლას ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა წერილი სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთვის გაგზავნილი შენობის ექსპლუატაციისა და მდგრადობის დადგენასთან დაკავშირებით, თუმცა ვიზიტის პერიოდში სკოლას არ აქვს მიღებული პასუხი დასკვნასთან დაკავშირებით.

სკოლამ ასევე ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ.

სკოლას არ ჰყავს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს ორი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N47.01.35.009 (შენობის) და N47.01.35.065 (მიწის ნაკვეთი). დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ გეგმავს გაერთიანებას შენობისა და მიწის ნაკვეთის, რათა წარმოდგენილი იყოს საჯარო რეესტრში ერთი საკადასტრო კოდით.

სკოლის ვიზუალური დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს ორი შენობა. სკოლის ახალი შენობა აშენებულია 2020 წელს, სადაც სრულად უსაფრთხოდ მიმდიონარეობს სასწავლო პროცესი, მაგრამ სკოლის უკანა მხარეს, დაახლოებით 300 მეტრში მდებარეობს სკოლის ძველი შენობა, რომელიც ავარიულია და სადემონტაჟოა. სკოლას აღნიშნული სკოლის დემონტაჟზე მიღებულია დასკვნა თუმცა სკოლას აღნიშნული შენობის დემონტაჟი დღემდე არ განხორციელებულა. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ აღნიშნული შენობის დემონტაჟი უნდა განახორციელოს მერიამ და აქედან გამომდინარე დღემდე არ არის სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელებული.

ასვე ახალი სკოლის შენობის აშენებისას მერიამ ახლი სკოლის მიმდებარედ (წინ) სკოლას გადასცა მიწის ნაკვეთი, რომელიც ადრე არ წარმოადგენდა სკოლის საკუთრებას, სკოლის ეზოსთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რჩევა :
ა) სკოლას მიეცა რჩევა კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანის.
ბ) სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს გონივრულ ვადაში სკოლის ძველი შენობის დემონტაჟის განხორციელება.

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი. სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სტანდარტის 3.4.1. კომპონენტებთან, კერძოდ, 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებაში. აღნიშნული შესაბამისობის გეგმიდან გამომდინარე სკოლამ უზრუნველყო სკოლის ტექნიკური მდგრადობისა და ექსპლუატაციაში შესვლის დასკვნის მოპოვება.

სკოლამ მტკიცებულებად წარმოდგინა N007364623 დასკვნა მდგრადობის შესახებ და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიისგან მიღებული ბრძანება ბ 126- 126233101 (06.11.2021 წელი) სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის ექსპლუატაციაში შევლის შესახებ.

ასევე წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმიდან გამომდინარე სკოლა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან განხორციელებს 2023 წლის 25 ოქტომბრიდან 2023 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით, დირექტორისა და ბუღალტერის ჩართულობით. სკოლამ დადასტურებად წარმოადგინა სკოლის 2023 წლის 15 ნოემბრის წერილი (MES 5 23 0001553993) აღნიშნულ სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების მიზნით.

რეკომენდაცია: სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუმველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან 2023 წლის 25 ოქტომბრიდან 2023 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით.

ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლის შინაგანაწესითა და სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტი ,, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი". საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფაში ჩართულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის მორიგეები და სკოლოს დარაჯი. აღნიშნული დოკუმენტებითა და პროცესში ჩართული პირებით სკოლა არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას. მიმდინარეობს შესასვლელი კარის მუდმივი მეთვალყურეობა სკოლის კარისკაცის, საზოგადოებრივ სამუშაოზე დასქმებული მოსარგებლე პირის მიერ, რომელიც სკოლას დასაქმებული ჰყავს სოციალური სამსახურიდნა (სოცილაური სამსახური ბენეფიციარები). ის აკონტროლებს შემოსულ პირებს. სკოლას აქვს სკოლის ტერიტორიაზე შემოსულ პირთა აღრიცხვიანობის სისტემა - შემოსული პირების გატარება ხდება შესაბამის ჟურნალში. სკოლაში გამოვლენილ დარღვევაზე სკოლის მიერ ხორციელდება დროული და ეფექტიანი რეაგირების ღონისძიების გატარება.

ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს სასკოლო საზოგადოების წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მონაწილე ყველა წევრისათვის შექმნილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო, რომელიც დასტურდება სასკოლო ცხოვრებაში სკოლის დირექციის, ექიმის, ასისტენტისა და სპეციალური მასწავლებლის აქტიური თანამომაწილეობით, მოსწავლეთა რეფერირების შესაძლებლობებით, ინკლუზიური სწავლების განხორციელებით.

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუირების დროს ნათლად გამოჩნდა, რომ სკოლა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შეშესაქმნელად სხვადასხვა მიმართულებით აქტიურად მუშაობს, კერძოდ, მოსწავლეთა ინტერესებიდა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია კლუბები, განხორციელებულია პროექტები და ღონისძიებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ბულინგთან, ძალადობასთან, თანამშრომლობით, ურთიერთ პატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს შექმნასთან, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრასთან, ჯანსარი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებასთან და ადამიანის უფლებეის/ მოვალეობების გააზრებასთან თითოეულ მოსწავლეში პიროვნული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გავზარდასტან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.4.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას შექმნილი აქვს დოკუმენტი ,, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება“, რომლის მე-9 მუხლი მოიცავს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმებს, რომლის მიხედვით განსაზღვრულია სკოლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირების საკითხები. სკოლას გამოყოფილი ჰყავს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხიამგებელი პირი - სკოლის ექიმი. ექიმთან გასაუბრების დროს დასახელდა ის ვალდებულებები, რომელიც მას აკისრია: სასკოლო სივრცის დათვალიერება და სკოლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით პრევენციული ღონისძიებების გატარება. დამალგებლებს განსაზღვრული აქვს გრაფიკი, როდის და როგორ უნდა დალაგდეს სკოლის სხვადასხვა სივრცე - საპირფარეშო, საკლასო ოთახი, დერეფნები, ეზო და ა.შ.

სველი წერტილებისა და საკლასო ოთახების ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის ჯანდაცვის მიერ დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებთან შესაბამისობა, კერძოდ, საკალო ოთახები და სველი წერტილები აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსებით. დამლაგებლებთან (სკოლას ჰავს 2 დამლაგებელი) ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საპირფარეშოებისა და საკალო ოთახების დალაგება ხდება სველი წესით დღეში რამდენიმეჯერ. სკოლის ექიმი აქტიურად არის ჩართული სასკოლო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფისად.

ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა უზრუნველყოფოს სასკოლო საზოგადოების პერსონალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მონაცების დაცვას. ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში არის სსიპ განათლების მრთვის საინფორმაციო სისტემის ინტერნეტი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია, მოწოდებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ. მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. სკოლა მუშობს eFlow, eschool ის სისტემებში. პირადი ინფორმაცია არ ზიარდება სოციალურ ქსელში და საჯაროდ. მონაცემთა კომპიუტერული პროგრამებით დამუშავებაზე (eschool.) გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი (საქმის მწარმოებელი), რომელიც ახორციელებს ინფორმაციის შეტანას,შეცვლას, წაშლას, მოძიებას. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა მშობლისათვის ხდება ელექტრო ჟურნალის საშუალებით. სკოლაში დირექტორის ბრნებით შექმნილია დოკუმენტი ,, პერსონალური მონაცემების დაცვა“, რომელიც აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. სკოლის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი (შემდგომში „წესი“)გამოიყენება სკოლის მიერ მოსწავლეების, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სხვა დასაქმებული თანამშრომლების მონაცემთა დამუშავების პროცესში და ვრცელდება სკოლის მიერ მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავებაზე.

ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ახდენს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას სკოლას შემუშვებული აქვს პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სამოქმედო გეგმის მიხედვით დაგეგმილია საინფორმაციაო-საკომუნიკაციო სისტემი განვითარება და სკოლის ციფრული განვითარება. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წაროადგინა ციფრული განვითარების გეგმის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ციფრული ტექნოლოგიების მართვის პრინციპებსა და პროცედურებს. ადგილზე ვიზიტის დროს ინფორმაციულ მენეჯერთან და საქმისმწარმოებელთან ინტერვიუირებით გაირკვა, რომ სკოლა მესამე პირს არ გადასცემს კონკრეტულ ინფორმაციას. სკოლას ბრძანებით ჰავს განსაზღვრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და ინფორმაციის პრაქტიკულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხოების სხვადასხვა მექანიზმები. სკოლას შემუშვებული აქვს ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების“ დოკუმენტი, ,,მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით“ დოკუმენტი,

მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა აკისრია მორიგე მასწავლებლებს, კლასის დამრიგებლებს, სკოლის ექიმსა და სკოლსი დირექციას. სკოლა აღჭურვილია ვიდეოკამერებით. სკოლაში დაცულია სახანძრო უსაფრთხოება. სკოლას ჰყავს ექიმი. სკოლას აქვს მასწავლებელთა მორიგეობის პრაქტიკა. მორიგე მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ დირექციას დახმარებისთვის. სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების ეფექტიანობას და მის ნიადაგზე ახდენს ახალი დამცავი მექანიზმების დამატებას. სკოლა უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით აღიჭურვა ვიდეოთვალითა და სახანძრო უსაფრთხოების მექანიზმებით. სკოლა სამომავლოდ გეგმავს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას, რის შედეგადაც ექნება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასების მექანიზმი. შეფასების შედეგებს გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
2. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი;
3. დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
4. ხელშეკრულება ექიმთან, დამლაგებლებთან, დარაჯთან;
5. პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლის შენობა აშენებულია 2020 წელს. შენობა არის 2 სართულიანი. ორივე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები. პირველ სართულზე განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, ექიმის კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორია, სველი წერტილები, საკალსო ოთახები, მეორე სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო ლაბორატორტია, ხელოვნების მუზეუმი, სველი წერტილები, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, საკლასო ოთახებიი. სკოლას არა აქვს სააქტო დარბაზი და სპორტული დარბაზი თუმცა სკოლას აქვს დიდი სივრცეები ფოიეს სახით, რომელსაც იყენებს სპორტული აქტივობებისა და ღონისძიებებისათვის.
ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ დათვალიერებულ იქნა სასკოლო სივრცე:

- ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, და სკამებით (სულ აქვს 140 მერხი და სკამი) კარადებით, სასკოლო დაფით, მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსებით და ნამუშევრებით.
- კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი.

სკოლას საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის გამოყოფილი აქვს ოთახი, რომელშიც განთავსებულია მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები, ხელსაწყოები, ქიმიური რექტივები და ა.შ. მაგრამ ამ ოთახში არ არის ლაბორატორიისთვის გამწოვი კარადა, სველი წერტილი და ქიმიური რეაქციებისათვის სპეციალური მაგიდა. სკოლას გაგზავნილი აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსი წერილი ლაბორატორიის აღჭურვასთან დაკავშირებით.

მიღება ჩაბარებებითა და შესყიდვის დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლას სასწავლო პროცესის სრულყოფილად უზრუნველსაყოფად აქვს აქვს 140 მერხი და სკამი, 9 კომპიუტერი ლაბორატორიაში და 5 სხვადასხვა სამუშაო სივრცეებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, ბუღალტერია), რომელსაც აქვს ინტერნეტთან წვდომა, 1 პროექტორი, ეკრანი1, 2 პრინტერი.

სკოლის ბიბლიოთეკაში, რომელიც შედგება 2324 წიგნადი ფონდისაგან, განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკას აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა. სკოლის ბიბლიოთეკაში მოცემულია კატალოგიც, რომელსაც მოსწავლეები წიგნის ძიების დროს თავადაც იყენებენ. ბიბლიოთეკარს აქვს სარეგისტრაციო ჟურნალი. თაროებზე წიგნები დაწყობილია ანბანური პრინციპით. ყველა წიგნს პირველ და მე-17 გვერდზე სკოლის ბეჭედი აქვს დასმული. ბიბლიოთეკაში შექმნილია მყუდრო გარემო, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სასურველი წიგნის მოძიება და გაცნობა. სკოლის საქმისმწარმოებელთან ინახება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებული წიგნების მიღება-ჩაბარების აქტები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით სკოლაში ტარდება ინვენტარიზაცია შემდეგი ინტენსივობით:

- უძრავი ქონების - სამ წელიწადში ერთხელ;
- ძირითადი აქტივების, ფასეულობების - ყოველწლიურად;
- მზა პროდუქციის, სტრატეგიული მარაგების, დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურების, სხვა დანაჩენი მატერიალური მარაგების - წელიწადში ერთხელ;
- ფულადი ანგარიშების და ფულადი დოკუმენტების კვარტალში ერთხელ;
- საბიბლიოთეკო ფონდის ხუთ წელიწადში ერთხელ; ბიბლიოთეკარმა ისაუბრა წიგნების ჩამოწერის სირთულეზე.

სკოლას ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით დროებითი კომისიის შესახებ ბრძანება აქვს გამოცემული, რომლის საფუძვლად გეგმიური შემოწმებაა მითითებული.

სკოლაში ამჟამად სწავლობს 123 მოსწავლე. თითოეულ მათგანს აქვს ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლას აქვს შესაძლებლობა 2 ცვალში უზრუნველყოს მოსწავლეთა გაზრდილი კონტინგენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლას ავტორიზაციის განაცხადი შევსებული აქვს 120 მოსწავლეზე.

სკოლის ეზო მოწესრიგებულია, შემოღობილია და უსაფრთხოა სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. სკოლას აქვს ორი შემოსასვლელი ჭიშკრარი, სკოლის შენობას აქვს ორი შემოსასვლელი კარი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მოწესრიგებულად გადაადგილებას სასკოლო სივრცეში. სკოლის ეზოში განთავსებულია სპორტული მოედანი, რომელსაც მოსწავლეები იყენებენ სპორტის გაკვეთილზე, რომელიც შეესებამება თანამედროვე სტანდარტებს და არის სარეაბილიტაციო.

სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, შენობა-ნაგებობის ნახაზი, მიღება- ჩაბარების აქტები, ანგარიშ ფაქტურები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლას აქვს 140 მოსწავლეზე განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისი საგანმანთლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და მატერიალურ რესურსები.

რჩევა: სკოლა უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის ინტერვიუს, ვიზუალური დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორის დებულება, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების დებულება, ბიბლიოთეკის დებულება) დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, სპორტული მოედანი, რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი, სველი წერტილები და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისთვის სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

არსებობს რეკრიაციული სივრცე (დერეფნები, ეზო). სკოლის ეზოში გამოყოფილია სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანობისთვის, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის.

ინდიკატორი 3.5.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემო

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რომელიც დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითა და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით. სკოლას აქვს ადაპტირებული სასწავლო გარემო სსსმ მოსწავლეთათვის:

- სკოლაში შემოსასვლელ კიბეებთან დამონტაჟებულია პანდუსი.
- ყველა სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი.
- სკოლას აქვსდამოინტაჯებული ლიფტი;
- სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. რესურსოთახი გამდიდრებულია სსსმ მოსწალვეთათვის საჭირო ინვენტარით: კომპიუტერით, პრინტერით, სახელმძღვანელოებით, მერხებით, სკამებითა და . მოსასვენებელი სავარძლით.

სკოლას არა აქვს სართულებს შორის პანდუსები. სკოლის დირექტორთან ინტერვის დროს აღინიშნა, რომ სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცებისას აუცილებლად გაითვალისწინებს სართულებს შორის პანდუსების მოწყობისთვის სამუშაობეის განხორციელევბას.

ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, ფოიე და გარე მოედანი, სადაც იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. სკოლის ბიბლიოთეკარი ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში. ბიბლიოთეკის სივრცეში ეწყობა პროექტები. დამრიგებლებთან გასაუბრებით და მათ მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამებით, პროექტებით დასტურდება რომ ბიბლიოთეკარი ჩართულია მათ მიერ დაგეგმილ პროექტებში და აქტივობებში. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეებს და სასკოლო საზოგადოებას განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლაში არის ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა. სკოლის ეზოში მოწყობილია სივრცე - სადაც მოსწავლებს შეუძლიათ შეკრება.

ინდიკატორი 3.5.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას აქვს კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები (ვიდეო, DVD, კომპაქტური დისკები), სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.), კლასგარეშე ლიტერატურა, კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები, ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი, რესურს ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, სტემის ლაბორატორია, სამედიცინო ინვენტარი, ბუნებრივი გარემო და სხვა. აღნიშნულ სივრცეებში განთავსებულია კურკულუმით განსაზღვრული და კომპლექსური დავალების განხორციელებისათვის სასწავლო რესურსები: საანგარიშო, მაგნიტური დაფა, რიცხვები მაგნიტური სამაგრით, ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები მაგნიტური სამაგრით, სახაზავი, სანტიმეტრი, საათი, წამზომი, თერმომეტრი, ქართული ანბანი, ბიოგრაფიული თვალსაჩინოებები, რუკები, ნახევარსფეროების ფიზიკური რუკა, კომპასი, გლობუსი, მულაჟების, პლაკატები, რეაქტივები, ნატურიდან ხატვისთვის საჭირო სხვადასხვა თვალსაჩინოება, დაზგა, დეკორატიული და გეომეტრიული ფიგურები, სახატავი მასალები, მუსიკალური ცენტრი და სპორტული ინვენტარი -ბურთები, ლეიბები, ჰულაჰუპები, ჭადრაკის დაფები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სკოლა სამინისტროს მიერ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალიდან არჩევანს აკეთებს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eschool) საშუალებით შეთავაზებული ავტორ-გამომცემლობების სახელმძღვანელოებიდან. სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ელექტრონული რესურსი, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება, რუკები, პლაკატები, ბიოლოგიის მულაჟები, ფიზიკის ხელსაწყოები, ქიმიური რეაქტივები. სკოლას აქვს ეზო, სპორტული მოედანი ღია სივრცეში, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი და ბიბლიოთეკა სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობების/პროექტების განსახორციელებლად.
ინტერვიუირების დროს სასკოლო საზოგადოების მიერ ჩამოთვლილ იქნა პროექტები და აქტივობები, რომელიც მოცემ სივრცეებში გაიმართა.

ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასკოლო სივრცის ამსახველი ფოტოები
2. ბიბლიოთეკის დებულება და სამუსაო გეგმა
3. ბიბლიოთეკარის სარეგისტრაციო ჟურნალები
4. რესურსოთახის ფოტომასალა
5. ლაბორატორიების დებულებები
6. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან,
7. სკოლის ნახაზი
8. ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას, რომელიც დასტურდება ვიზიტის დროს ინფორმაციულ ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის დათვალიერებითა და სკოლის ბურალტერის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით-მირება-ჩაბარებებითმ, ანგარიშ ფაქტურებით. სკოლას სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად აქვს 14 კომპიუტერი , 1 პროექტორი და 2 პრინტერი. კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახში განთავსებულია 9 პერსონალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპიუტერი, 1 ეკრანი და 1 პროექტორი. დანარჩენი კომპიუტერები განთავსებულია დირექციასა და ბიბლიოთეკაში. აღნიშნულ სასწავლო სივრცეებს ინტერნეტი მიეწოდება უწყვეტად. სკოლის მთელი შენობა დაფარულია wi-fi -ით. შესაბამისად, სასკოლო საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა ზემოთჩამოთვლილი რესურსის გამოყენებით სრულფასოვანი სასწავლო პროცესი შესთავაზოს მოსწავლეებს, გააცნოს კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებები ელექტრონული რესურსის გამოყენებით, თანამედროვე მეთოდოლოგიით ჩაატარონ სხვადასხვა აქტივობები. სკოლა ელექტრონული საქმის წარმოებისთვის იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს - email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge. ეს რესურსი შესაძლებლობას იძლევა, სკოლამ სრულფასოვნად წარმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვისათვის სკოლას დაგეგმილი აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება და დადასტურებად წარმოადგინა სკოლა სკოლას აქვს ციფრული განვითრების გეგმა სადაც აღწერილია თუ როგორ მოახდენს სკოლის სრულ გაციფრულებას.

ინდიკატორი 3.6.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც არის საზიარო სივრცე მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის. სკოლამ წარმოადგინა სამუშაო სივრცის გამოყენების გეგმა. მიღება-ჩაბარებებითა და კომპიუტერული ლაბორატორიის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს გამართული, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა. ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში კომპიუტერებით, პროექტორით და პროექტორის ეკრანის გამოყენებით მიმდინარეობს სხვადასხვა საგაკვეთილო აქტივობები. მთელი შენობა დაფარულია wi-fi-ით. სკოლამ წარმოადგინა სქულბოქსი.

ინდიკატორი 3.6.1.2 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge-ზე მიმოწერების ამსახველი ფოტომასალა
2. ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურს შესყიდვის დოკუმენტები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-flow) მეშვეობით. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა სკოლის შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები:

- საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებები).
- სკოლას ასევე აქვს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.

ჟურნალები იყო აკინძული, ზონარგაყრილი, დანომრილი, დალუქული და დამოწმებული სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დოკუმანტაციის შესწავლისას სკოლამ ვერ წარმოადგინა:

სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების აღრიცხვის სარეგიტრაციო ჟურნალი;

სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. პირად საქმეებში შენახულია კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია: დასაქმებულის პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი, ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემოწმების, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ცნობა, სტატუსის შესაბამისი სერტიფიკატი (პედაგოგის შემთხვევაში). დარაჯისა და დამლაგებლების პირად საქმეებში მოცემულია აღრიცხვის ფურცელი, პირადობის მოწმობის ასლი, პირადი განაცხადი.
მოსწავლის პირად საქმეში წარმოდგენილია - დაბადების მოწმობა ნოტარიულად დამოწმებული, მშობლის განცხადება, მშობლების პირადიობის მოწმობის ასლები, ფოტო. ჯანმრთელობის ცნობები მოსწავლეთა ნაწილთან (საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან).
სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა საქმისწარმოების წესში განსაზღვროს ელექტრონული საქმის წარმოებისთვის რა რესურსებსა და მექნიზმებს იყენებს.

ინდიკატორი 3.6.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა ელექტრონული საქმის წარმოებისთვის გამოიყენებს email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge.
ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - eschool.emis.ge, სადაც თავმოყრილია მთელი ინფორმაცია პერსონალისა და მოსწავლეების შესახებ.

ინდიკატორი 3.6.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს eflow.emis.ge. საშუალებით წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს.
ინდიკატორი 3.6.2.4 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები
2. დასაქმებულტა და მოსწავლეთა პირადი საქმეები
3. შრომითი ხელშეკრულებები
4. email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge-ზე მიმოწერების ამსახველი ფოტომასალა
5. 10 დეკემბრის ანგარიში.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას აქვს ვებ გვერდი.
სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარების მიზნით ინფორმაციები სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე არის გამოკრული და ასევე ატვირთულია თიმსის პლათფორმაზე და ვებ გვერდზე.
სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის იყენებს სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტში არსებულ სხვა არხებს.

ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია.

1. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით იყენებს სკოლის პედაგოგთა შიდა სოციალურ გვერდს, ვებ გვერდა და თიმსის პლატფორმას. პედაგოგთა თქმით, ამ გვერდებზე ხდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განთავსება განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების, ღონისძიებების თაობაზე. ამ სივრცეში აზიარებს სკოლა საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან შემოსულ ინფორმაციას, სისტემაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მიმდინარე ცვლილებებს, საგანმანათლებლო პროგრამებზე სხვადასხვა შემოთავაზებებს და ა.შ. გაზიარებული ინფორმაცია სანდოა: მითითებულია წერილის ნომერი, კონკრეტული ორგანიზაცია.

ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი, ვებ გვერდი, პლატფორმა თიმსი და სოციალური შიდა გვერდები. დირექციის განმარტებით, სასკოლო ელექტრონული გამოკითხვები ამ სივრცეში მიმდინარეობს. გამოკითხვის შედეგებს ააანალიზებენ სკოლის წარმომადგენლები და უკუკავშირს ამავე არხით უბრუნებენ სასკოლო საზოგადოებას.

ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია.

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი 3.6.3.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ვებ-გვერდი, სოციალური გვერდი, თიმისი, ფოტომასალა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**
   სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის ბიუჯეტი განსაზღვრულია როგორც ვაუჩერული დაფინანსებიდან, ასევე ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები სავარაუდო შემოსავლებით. სკოლის ბიუჯეტი სამეურვეო საბჭოს მიერაა დამტკიცებული. სკოლის ფინანსური მართვა ხორციელდება საქართველოს კანონით ბიუჯეტის შესახებ. ბუღალტერთან და დირექტორთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სკოლის ფინანსური რესურსები ხელს უწყობს სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელებას.სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის ბიუჯეტი, 2023 წლის კორექტირებული ბიუჯეტი. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება რომ სკოლას აქვს ბიუჯეტის სწორად დაგეგმვის პრაქტიკა. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები და სავარაუდო ხარჯები. სკოლამ ასევე წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, სადაც სკოლას გაწერილი ჰქონდა თითოეული აქტივობის ფინანსური რესურსი. სკოლამ წარმოადგინა ელექტრო ენერგიის, წყლის, გაზის გადასახადის დამადასტურებელი ქვითრები, რითიც ასევე დასტურდება სკოლის ფინანსური მდგრადობა.

„სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'', რომელიც ასახავს კურიკულუმის განვითარების ეტაპებს, კურიკულუმის განვითარების პროცესის პრინციპებს, განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების მონაწილე მხარეების ფუნქციებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ჩართულობას. დოკუმენტი კურიკულუმის დანერგვის ეტაპზე მოიაზრებს პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას კომპლექსურად - სასწავლო პროცესზე დაკვირვების, მოსწავლეთა შედეგების, მასწავლებლების საქმიანობის თვითრეფლექსიის საფუძველზე. კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი კათედრის წევრების და დირექციის აქტიურ თანამშრომლობას ითვალისწინებს სასწავლო პროცესის განმავლობაში, კურიკულუმის კვლევა და შეფასება მიმდინარეობს შეთანხმების საფუძველზე როგორც სწავლების შედეგების დიაგნოსტირების, ასევე მასწავლებლების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების და სკოლის ინსტიტუციონალური განვითარების მიმართულებით. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ თანამშრომლობა ინტენსიური და ეფექტური უნდა იყოს, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების შეთანხმებას ბაზისურ ღირებულებებზე და ამ ღირებულებების დაცვას ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში. პროცესების ავთენტურობის შესახებ სკოლა ეყრდნობა გამოკითხვებს, ფოკუს-ჯგუფებს, თვითშეფასებას. რევიზიის ნაწილში სკოლა მოიაზრებს ცვლილებების მასშტაბსაც - თემატური მატრიცების ცვლილებებიდან რაიონში სკოლების გამოცდილების გათვალისწინებით.

2.1.1.1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შეასძლებლობას - შესაბამისია

2.1.1.2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის საინტერესო თემატური კონტექსტები და გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები, შედეგად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომები; შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, შინაგანი მოტივაციის გაზრდას და სწავლის სტრატეგიების დაუფლებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პოზიტიური გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა განწყობას, პიროვნულ თავისებურებებს და ინტერესებს, ითვალისწინებენ მათგან მოწვდილ უკუკავშირს; მასწავლებლები ასევე აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავებაში გათვალისწინებულია მათ მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, წინა წლის გამოცდილება, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც თავისთავად ხელს უწყობს კურიკულუმის განავითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლას გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა, მისია და ღირებულებები. ამავე დროს ის ზრუნავს სკოლის ფილოსოფიის გადახედვაზე საჭიროებების გათვალისწინებით. ამის დასტურია კვლევა რომელიც ეხება სკოლაში მიმდინარე პროცესების შეფასებას. კვლევის მიზანს წარმოადგენს ორგანიზაციის მისიის, ხედვის და სტრატეგიული გეგმის გადახედვა /კორექტირება . ამით დასტურდება სასკოლო საზოგადოების მაღალი ჩართულობა მიმდინარე პროცესებში.

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული გეგმა, რომელშიც ასახულია პრიორიტეტები. კურიკულუმში სწავლა-სწავლების მიზნებისა და სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მათი რეალიზების/ყოველდღიური სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის განვითარებას მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიის ეტაპზე გათვალისწინებული იქნება მოწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, რა ფაქტორები უშლიდა ან უწყობდა ხელს მათ ჩართულობას, მოსწავლეთა შედეგები.

მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესები. პედაგოგები აღნიშნავენ რომ სასკოლო კურიკულუმი შეიმუშავეს თანამშრომლობითი პრინციპით. მოსწავლეთა მიღწევების შესახებ წინა წლის შეგროვებული ინფორმაციას მიხედვით გამოკვეთენ პრობლემები და მისი გადაჭრისთვის დასახული გზები კურიკულუმში გაითვალისწინეს მოსწავლეთა მიღწევების ასამაღლებლად. საგნობრივ კურიკულუმის შექმნისას ითვალისწინებენ დიფერენციირებულ მიდგომებს მათ შორის ისგ-ს სახით, თემატურ კონტექსტები კი ითვალისწინებს ასაკობრივ თავისებურებებსა და მათთვის აქტუალურ საკითხებს. კურიკულუმში ასახულია კომპლექსური ბუნების დავალებები. დიფერენცირების მაგალითებია კომპლექსური დავალების პირობა, რომელიც მოსწავლეებს პროდუქტის სხვადასხვა ფორმით წარმოდგენის საშუალებას აძლევს. ისგ გეგმებში, სადამრიგებლო პროექტებსა, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით წარმოდგენილ სასკოლო კარგად ჩანს მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები.

2.1.1.2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები - შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1.1.3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და ინტერვიუს მსვლელობის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა, ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე, მატერიალურ ბაზაზე, ინვენტარზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს, სასწავლო პოცესისათვის საჭირო რესურსებს. აღიშნულ პროცესში სკოლას აქტიურად ჰყავს ჩართული მშობლები, მოსწავლეები და დირექცია.

გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულნი არიან მასწავლებლები, კათედრები, სკოლის დირექცია და მშობლები. პედაგოგებმა აღნიშნეს,რომ სასწავლო წლის დასასრულს კათედრებზე ხდება საგნობრივი კურიკულუმის მონახაზის შემუშავება, განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესის განხილვა, შეფასების რუბრიკების შემუშავება, მეთოდური ორინეტირების განსაზღვრა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, ხდება სასწავლო წლის მანძილზე მიღებული გამოცდილების, მოსაზრებების, ჩანიშვნების საფუძველზე კრიტიკულად გააზრება და კურიკულუმებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. ცვლილებები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებში.

2.1.1.3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ - შესაბამისია.

2.1.1.4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმი ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის.: მაგ., საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები და ა.შ. ამისათვის სკოლა იყენებს ონფორმაციის გაზიარების მისთვის რელევანტური საშუალებებს. მაგალითად, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შესახებ სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას სოციალური ქსელების და კლასის დამრიგებლების მიერ მოწვეულ მშობელთა კრებებზე, რაც ხელს უწყობს სასკოლო კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეებს და მშობლებს მშობელთა კრებებზე საგნობრივ ჭრილში დასამუშავებელ თემას, საკითხებს, საკითხთა ტრანსფერის არეალებს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, ასევე იმ რესურსთა ჩამონათვალს, რაც ხელს შეუწყობს მიზნების მიღწევას. არაფორმალური განათლების ფარგლებში პროექტებისა და სადამრიგებლო პროექტების შესახებ ინფორმაციას. სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების მიზნით გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში, სკოლის თანამშრომლების დახურული ჯგუფები და სასაუბრო ''ჩათები'' ამავე სოციალურ ქსელში, საზიარო სივრცე ელექტრონულ პლატფორმაზე Teams, ელექტრონული ჟურნალი, ელექტრონული ფოსტა.

სასწავლო წლის დასაწყისში, დამრიგებელი მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენელს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის საკითხებს, სკოლის შინაგანაწესს. პედაგოგებმა აღნიშნეს ,რომ 2023-2024 სასწავლო წელს შეინარჩუნებენ არსებულ პრაქტიკას და გეგმავენ კურიკულუმის პირველადი ვერსია გაუზიარონ სასკოლო საზოგადოების წევრებს: მოსწავლეებს სადამრიგებლო საათზე, მასწავლებლებს- კათედრაზე და მშობლებს - მშობელთა კრებაზე , მიღებული უკუკავშირი და მათი შეხედულებები გაითვალისწინონ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის დამტკიცებამდე.

2.1.1.4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ - შესაბამისია.

მტკიცებულებები:

საგნის კურიკულუმები
ისგ
სადამრიგებლო პროექტები
პროექტები
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
მშობელთა კრების ოქმები.
მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის ფორმები
საკლუბო მუშაობის ამსახველი ფოტო და დოკუმენტალური მასალა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კათედრის სხდომის ოქმები.

სასკოლო სასწავლო გეგმა
საინფორმაციო დაფა.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირის მოთხოვნებს

2.1.2.1.შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

შემუშავებული კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა, ამას მოწმობს ის გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და შუალედური მიზნები, რომლებიც კურიკულუმის ცხრილშია ასახული.
წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე საგნობრივ სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახით. სასწავლო პროცესი მოიაზრება, როგორც მოსწავლის განვითარების გზა, საშუალება, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. ამ ეტაპზე კათედრებს შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალება შესაბამის სასწავლო შინაარსთან და თემატურ ერთეულებთან ერთად და ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას და საჭიროებებს. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, სასწავლო პროცესში მეტი უპირატესობა მიანიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე და ყურადღება ეთმობა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას.

რჩევა: პირველი კლასის კურიკულუმის ზოგიერთ თემას არ ახლავს საკითხთა კლასტერი, ჩასამატებელია. ასევე შესავსებია ზოგიერთი თემის გასწვრივ მე-2 კლასის კურიკულუმში საკითხთა კლასტერი და სამიზნე ცნებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1.2.1.შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას - შესაბამისია.

2.1.2.2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები, მაკროცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები

წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები); სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები.

კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი მიზანმიმართულია გლობალური ექვსი ფუნქციური უნარის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის განვითარებაზე. კათედრასთან ინტერვიუს პროცესში გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა რათა მათი სასკოლო კურიკულუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში, ორივე სემესტრში მუშავდება პროექტები, პროექტული სწავლების დროს მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად პროდუქტის შექმნისას, პრობლემის გადაჭრას შემოქმედებითად მიუდგეს, გამოუმუშავდეს თანამშრომლობითი უნარები. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ მსჯელობა.

კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით. იქ, სადაც შუალედური მიზნები წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების სახით, გამოკვეთილია სამიზნე ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების იერარქია; მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს, თუ რა შედეგების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს სწავლა-სწავლების პროცესი. შესაბამისად, სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები აღიქმება გრძელვადიან მიზნებად;

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს ისეთ აქტივობებს (მაგალითად, წყვილებში ან ჯგუფებში მუშაობა, პროექტები, კომპლექსური დავალებები), რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ჩაერთონ კომუნიკაციაში, იაზროვნონ კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას გამოიჩინონ შემოქმედებითობა, გამოავლინონ თანამშრომლობის, პრობლემის გადაჭრის უნარები, გუნდურობა, შეძლონ რეფლექსიის გაკეთება და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს მისი ხასიათის და პიროვნების ჩამოყალიბებას. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ უპირატესობას მიანიჭებენ და გაითვალისწინებენ კომპლექსური დავალების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

როლს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებაში, რაც ბუნებრივად ხელს შეუწყობს პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას.

2.1.2.2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები, მაკროცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები - შესაბამისია

2.1.2.3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობა , კრიტერიუმები და აქტივობები ფორმულირებულია ისე რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა კომპლექსური დავალების წარმოდგენილი ნიმუშები მოსწავლეს საშუალებას აძლევს აირჩიოს მისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, მოსწავლის მზაობიდან გამომდინარე, რაც დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებია. დამატები ინფორმაციისა და დეტალების მოძიება შესაძლებელი გახადა ვიზიტის დროს პედაგოგთა უკუკავშირით. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მოსწავლის სწავლის პროცესს აკვირდებიან, მონაცემებს აგროვებენ, მათი ანალიზის საფუძველზე კი მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს ადგენენ, მოსწავლის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად.

სკოლას აქვს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომების გამოცდილება. სწავლის პროცესში გამოვლენილი სირთულეების შემდეგ, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. აღნიშნული გუნდის შეფასების შედეგად განისაზღვრება რეკომენდაცია ინდ.გეგმის შედგენის შესახებ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს და ინტერესებს. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს ,რომ სასწავლო პროცესში გეგმავენ ისეთ აქტივობებს,რომელიც ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის საჭიროებას, სწავლის სტილსა და ინტერესებს. 2023-2024 სასწავლო წლისთვის უფრო მეტად დაიხვეწება სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც განხორციელდება მესამე თაობის ახალ ეროვნულ საწავლო გეგმაზე დაყრდნობით, შესაბამისად კომპლექსური დავალებები ადაპტირებული და მორგებული იქნება თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ათვლის წერტილი არის მოსწავლე და არა საგანი, კლასი, სახელმძღვანელო ან სხვა მსგავსი ორიენტირები; შესაბამისად, სასწავლო პროცესში კათედრის მუშაობა ეფუძნება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რომლის დროსაც მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესის სფეროს და სწავლის უნარებს. მაგალითად, ხდება მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო მიზნების განსაზღვრა, სასწავლო პროცესის, შინაარსის, საბოლოო პროდუქტის ფორმის დიფერენცირება, შესაბამისი ეფექტური რესურსების შერჩევა; განსახორციელებელი აქტივობების, დასასწავლი მასალის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება და ადაპტირება.

ამასთანავე, მასწავლებლებს აქვთ სწორი დამოკიდებულება და ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობის დროს აუცილებლია, გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, მათი საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზონ მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადონ (იგულისხმება არა მხოლოდ სსსმ, არამედ კლასის ნებისმიერი მოსწავლე, თუ ის დავალების ადაპტირებას საჭიროებს).

2.1.2.3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს - შესაბამისია.

2.1.2.4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, რომელიც ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის ტაქსონომიას.. ასევე განმსაზრვრელი შეფასების ნიმუში, რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მიმდინარეობისას სხვადასხვა სახის მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას. გულისხმობს მოსწავლის მხრიდან შესრულებული სამუშაოს აღწერას და წარმოდგენილი ნაშრომის გასიტყვებას და შეფასებას.

პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს შემუშავებული აქვთ შეფასების სისტემა, რომელშიც შედის ზეპირი განმავითარებელი შეფასებები, პრეზენტაციის რუბრიკები, კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები. პედაგოგებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ კათედრა გეგმავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას თითოეული თემის ფარგლებში სამინისტროს მიერ ავტორიზაციის ქოუჩინგის ფარგლებში მიწოდებული მოდელის მიხედვით.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აქვთ მზაობა, რომ შეფასება აწარმოონ მკაფიო, სამიზნე ცნებებზე და შესაბამის მკვიდრ წარმოდგენებზე ორიენტირებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების საფუძველზე.

გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ემსახურება როგორც მოსწავლეთა შედეგების შეფასებას, აგრეთვე სწავლის პროცესის შეფასებას და მის გაუმჯობესებას; შესაბამისად, შეფასება განხორციელდება მკაფიო, ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა და სწორი ხედვა, შექმნას გრძელვადიან მიზნებზე, სტანდარტის შედეგების ზოგად ინდიკატორებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები.

2.1.2.4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს - შესაბამისია

2.1.2.5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია იმგვარად რომ მასში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება . ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ კურიკულუმის შევსებისას თანამშრომლობენ კათედრაზე. გაითვალისწინეს საგნის სწავლების წარმატებული გამოცდილება და ასახეს კურიკულუმის ჩარჩოში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ ახალი აქტივობების დაგეგმვის დროს. ვინაიდან სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება, რასაც ადასტურებენ სკოლის მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. მასწავლებლებმა წინა სასწავლო წლის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს კურიკულუმები და ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია სკოლის მატერიალურ ბაზაზე და ინვენტარზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასკოლო გეგმაშიც ხაზგასმულია, რომ სკოლისთვის ჩვეული ტრადიციაა, არსებული კურიკულუმების ანალიზზე დაფუძნებით ახლის შედგენა-დაგეგმვა. დასახელდა ის კომპლექსური დავალებები, რომელთა შესრულების დროსაც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს და სწორედ ამ ნიშნით შეირჩა ისინი მომდევნო სასწავლო წლისთვისაც. მათ აქვთ მზაობა იმისა, რომ ეს გამოცდილება გადაიტანონ პრაქტიკულ საქმიანობაში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან/თვითშეფასების კითხვარიდან და აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გასაუბრებისას გამოიკვეთა, სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას და შემუშავებისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. მაგალითად, კათედრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში, სასწავლო ნაწილის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ანალიზი და ანგარიში, ამ ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი წარმატებული პრაქტიკის მაგალითების გამოკვეთა, გასაუმჯობესებელი სფეროების განსაზღვრა, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლეთა შეფასებები, მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, განხორციელებული აქტივობებისა და გამოყენებული რესურსების ეფექტურობის ანალიზი, მასწავლებელთა რეფლექსიები და სხვ. რაც შესაბამისად ხდება ახალი სასკოლო კურიკულუმის განვითარების საფუძველი.

2.1.2.5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი - შესაბამისია.

მტკიცებულებები:

- ✓ საგნობრივი კურიკულუმები კურიკულუმები;
- ✓ ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.
- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ✓ კათედრის ოქმები
- ✓ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- ✓ მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი
- ✓ მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა

2.2.კურიკულუმის განხორციელება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

2.2.1.1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შმოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

საგნების სწავლებისას გათვალისწინებულია თანამედროვე მიდგომები. პედაგოგები იყენებენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. სასწავლო რესურსებად იყენებენ ნახატებს, გასაფერადებლებს, პოსტერებს. მოსწავლეები ახორციელებენ დაკვირვებას, უტარდებათ გაკვეთილები ღია სივრცეში. მასწავლებლები აწარმოებენ პორტფოლიოებს.

პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. სკოლაში შემუშავებულია კომპლექსური დავალებები, რაც თავის თავში გულისხმობს მოსწავლეთა მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობაში, საბოლოო ნაშრომის შექმნა კი შემოქმედებითობას მოითხოვს, რაც საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს, ასევე სკოლაში შექმნილი დადებითი გარემო განაპირობებს მოსწავლეთა ჩართულობას შემოქმედებით პროცესებში. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობას. ამ მხრივ აღსანიშნავია პროექტული სწავლების როლი. მასწავლებლები საუბრობენ მათ მიერ განხორციელებულ პროექტებზე.

წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმი იმგვარადაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია. კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ საინტერესო შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით , რაც კიდევ უფრო სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს, თითოეულ მოსწავლეს აძლევს თვითგამოხატვისა და თვითრეალიზაციის საშუალებას, ავითარებს შემოქმედებით უნარებს . და ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა მოტივაცია ამ პროცესში საკმაოდ მაღალია, რაც ხელს უწყობს სააზროვნო უნარების განვითარებას და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმები, სასწავლო პროექტი, კათედრის სხდომის ოქმი, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: კათედრის წევრებს აქვთ სწორი ხედვა და დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ პოზიტიური სასკოლო გარემო, მოსწავლის ინიციატივების წახალისება, მოსწავლის ავტონომიურობისა და მიკუთვნებულობის განცდა განსაკუთრებულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მნიშვნელოვანია მოსწავალის შემოქმედებით პოცესებში ჩართულობისათვის. ამის მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი დასამუშავებელი თემატური ერთეულები, კომპლექსური დავალებები, შერჩეული რესურსები; როგორც გასაუბრებისას გამოიკვეთა, სწავლა-სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ისეთი აქტივობების განხორციელებაზე, როგორიცაა სასკოლო-სასწავლო პროექტები, ავთენტური ტიპის დავალებები, სადაც მოსწავლე არის აქტიური შემმეცნებელი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; აქვს საშუალება, გადმოსცეს და საკუთრი სიტყვებით ახსნას იდეები და მიგნებები. ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.2.1.1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შმოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას - შესაბამისია.

2.2.1.2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

კურიკულუმების დანართებში ყველგან დეტალურადაა გაწერილი აქტივობები,როგორც ძირითადი ასევე ალტერნატიული აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამიზნე ცოდნის კოსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, აგრეთვე მოცემულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებული კითხვები.

ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ორგანიზებულია და ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას. კურიკულუმში გაწერილი თემები ისე არის დალაგებული, რომ გათვალისწინებულია წინარე ცოდნის ანალიზი, მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენება-გააზრებას. გავლილ თემებში შესწავლილი ელემენტები დაეხმარება მოსწავლეებს უკეთ აითვისონ და გამოიყენონ ახალი თემების შესწავლის პროცესში. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.

კურიკულუმებში მოცემული თემები წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტით, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში და გააზრებაში. კურიკულუმში წარმოდგენლი თემები, საკითხები, კონტექსტმაგალითები ლოგიკურ ურთიერთმიმართებაშია და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობას. პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, სწავლას აღმოჩენის გზით. სწავლება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ემყარება განვითარების პრინციპს - ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. ამ მიზნების მიღწევას ხელს უწყობს კომპლექსური დავალებების განხორციელება, რითაც მოხდება მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურება და ესგ-ს შედეგების მიღწევა.

2.2.1.2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით - შესაბამისია

2.2.1.3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, მისი ინტერესები და ცნობისმოყვარეობა, მსჯელობები გადაწყვეტილების პროცესში მის პოზიციაზე, მათ მიერ შესასრულებელი/შესრულებული დავალებების რეფლექსიაზე (წინმსწრები და შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზები), მოსწავლის ფიქრი იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტურია იგი? რა გაუადვილდება, რა გაუჭირდება, რას აკეთებს/გააკეთებს მიზნის მისაღწევად; რაც გვაძლევს იმისი თქმის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტები კეთდება სწავლის სწავლაზე.

კურიკულუმში მოცემული აქტივობები და დავალებები, იძლევა ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას. რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელმა გააკეთოს ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, და მთავარია მიაქციოს ყურადღება თითოეული მოსწავლე რა ხერხებს და სტრატეგიებს გამოიყენებს სწავლა-სწავლების დროს.
სწავლის სწავლაზე ორიენტირება ხდება გაკვეთილის მსვლელობისას დასმული მეტაკოგნიციური კითხვებით. პედაგოგები ეფექტურად იყენებენ USAID -ის მიერ მიწოდებულ რესურსებს. წახალისებულია მოსწავლეთა თვითრეფლექსია.
მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ სასწავლო პროცესში მოსწავლისათვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები უკავშირდება მოსწავლეთა გამოცდილებას, რაც მამოტივირებელია და გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის წახალისებას. ისინი ცდილობენ სისტემატურად იმუშაონ იმაზე, რომ მოსწავლემ იაზროვნოს, კრიტიკულად შეძლოს უკუკავშირი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა დაეხმარა ნამუშევრის შექმნაში, რას შეცვლიდა ხელახლა რომ ასრულებდეს დავალებას და ა. შ. რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები, ახდენს რეფლექსიას. მასწავლებელი გვიყვება, როგორ გამოიყენა სქემები, რაც ბავშვებს დაეხმარა მასალის გააზრებაში, ხოლო შემდგომ, თვითდაკვირვებაზე დაყრდნობით, როგორი დასკვნები გააკეთეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეებმა. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მასწავლებლები ახორციელებლენ ეტაპობრივ მონიტორინგს, თუ როგორ მუშაობს მოსწავლე და მათივე თქმით აძლევენ მითითებებს, თუ როგორ დაისწავლოს ესა თუ ის საკითხი, რა მეთოდები გამოიყენონ დამოუკიდებელი მუშაობისას, რაც მათ საბოლოო ჯამში ეხმარება და სასურველ შედეგსაც აძლევს.

2.2.1.3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე - შესაბამისია

2.2.1.4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული)

მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას მოსწავლეებში. გაკვეთილის მსვლეობისას, აგრეთვე კომპლექსური ტიპის დავალებებში აქვთ გაწერილი როგორც სამიზნე ცნებებსა და ცოდნის სამივე კატეგორიაზე გამავალი, ასევე მეტაკოგნიტური უნარების შემამოწმებელი კითხვები.
წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები პირდაპირ პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.

სკოლას კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რასაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს; მაგალითად, იქ სადაც შუალედურ მიზნებად მოიაზრება კომპლექსური დავალებები, კურიკულუმებში იერარქიულად გაწერილია, როგორ მიემართება ქვესაკითხები სამიზნე ცნებებისკენ, რომლის პრაქტიკულად განხორციელება გულისხმობს სწორედ ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობას. მაგალითად, ფაქტობრივი ცოდნის ათვისების შემდეგ ხდება ამ ცოდნის სხვადასხვა სავარჯიშოებში გააქტიურება და შემდგომ უკვე ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენება (კომპლექსური დავალებები), რაც საკითხის სიღრმისეულ გააზრებას და დასწავლას უწყობს ხელს.

2.2.1.4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) - შესაბამისი

2.2.1.5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლას მოწოდებულ დოკუმენტაციაში და საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რასაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრების / ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების კარგ საშუალებად განიხილავს; სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ რადგან კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ასეთი დავალებების განხორციელება ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს.

სკოლის მასწავლებლები იყენებენ ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს.

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებეები, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება, დააკავშირონ შინაარსი, საკითხი და პრობლემა ერთმანეთს. რაც დასტურდება კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებებით, ასევე საგნობრივი პროექტით. შეხვედრაზე პედაგოგებმა ისაუბრეს მოსწავლეთა ნამუშევრების შედეგებზე დაყრდნობით, რამდენად უწყობს ხელს კომპლექსური ბუნების დავალება გამოცდილების მობილიზებითა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირებით გამოწვევების გამკლავებას და პრობლემის გადაჭრას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში იკვეთება ქვესაკითხთა დამუშავების ისეთი თანმიმდევრობა, რომელიც მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უზრუნველყოფს. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. ამ მიზანს ემსახურება კომპლექსური დავალებები, სადაც ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება სხვადასხვა კონტექსტში. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი სხვადასხვა თემატურ კონტექსტში. გაკვეთილებზე გამოყენებულ აქტივობებსა და კომპლექსურ დავალებებში მოცემული კითხვები მოსწავლეებს ეხმარებათ დაფიქრდნენ და გაანალიზონ ცოდნათა ურთიერთკავშირი. მაგალითად, განიხილონ საკითხი, თემა მახასიათებლები სხვადასხვა კონტექსტში.

2.2.1.5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება - შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მტკიცებულებები:

- კურიკულუმები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- ინტერვიურება.
- პედაგოგების პორტფოლიოები
- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო პროექტები
- კათედრების სხდომის ოქმი
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- მასწავლებლის გაკვეთილის რეფლექსია
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი
- მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა
-

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს

2.2.2.1.სასწვლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას პრაქტიკულად ანხორციელებენ შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებს და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით იკვეთება, რომ აქტიურად მიმდინარეობს კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელება . პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ კარგად აქვთ გათავისებული სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. მოსწავლეები ინტერესით მუშაობენ დავალებებზე. სახეზეა სსსმ მოსწავლის ჩართულობა, რომელიც ხალისით ასრულებს მოდიფიცირებულ დავალებებს. პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, რაც აადვილებს სამიზნე ცნებებზე გასვლას.

კურიკულუმებში გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფუძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს საგნობრივ საკითხებთან მიმართებით.

2.2.2.1.სასწვლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით - შესაბამისია

2.2.2.2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო- სოციალურ განვითარებას

მოწოდებული დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სკოლისთვის მნშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაც. ამ მიზნით შერჩეული საგნობრივი კონტექსტები და წარმოდგენილი აუდიო -ვიდეო რესურსები, ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კონტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი,რომ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს. როგორც გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავენ, მოსწავლეებს ხშირად ეძლევათ არჩევითი დავლებები, რაც საშუალებას აძლევს მათ, ყველა იყოს ჩართული პროცესში თავისი შესაძლებლობებით. სასწავლო გარემო თავისუფალი და არადასჯადია. მასწავლებლები თვალს ადევნებენ და დაკვირვების დღიურებში ინიშნავენ, ვის რა გაუჭირდა, იყო თუ არა შერჩეული აქტივობები მათი შესაძლებლობების შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.2.2.საგნობრივი სტანდარტი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო- სოციალურ განვითარებას - შესაბამისია

2.2.2.3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

მასალებში წარმოდგენილია მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის მიხედვით შედგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას.

სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიმდინარეობს არსებული სისტემის მიხედვით როგორც ინდივიდუალურად თავად საგნის მასწავლებლის მიერ, ასევე ხდება მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაზიარება კათედრაზე. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა შეფასების დროს აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე და შედეგებზე/საბოლოო პროდუქტზე, არამედ იმის დაკვირვებაზე და ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში და როგორია მისი საერთო პერფორმანსი, მაგალითად, კომპლექსურ დავალებაზე, სასწავლო პროექტებზე მუშაობის განმავლობაში. რეკომენდაციის საფუძველზე, სკოლა გეგმავს მოსწავალის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენოს და უპირატესობა მიანიჭოს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას.

სკოლაში შემუშავებულია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც შესაბამისობაშია გრძელვადიან მიზნებთან. შეფასების სისტემა ორიენტირებულია არამხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის დაგროვებაზე, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი პორტფოლიოები წარმოადგენენ ამის თვალსაჩინო დადასტურებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და პედაგოგებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ სკოლას გააზრებული აქვს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მიზანი და მნიშვნელობა.

სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიმდინარეობს არსებული სისტემის მიხედვით როგორც ინდივიდუალურად თავად საგნის მასწავლებლის მიერ, ასევე ხდება მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ურთიერთგაზიარება კათედრაზე. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა შეფასების დროს აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე და შედეგებზე/საბოლოო პროდუქტზე, არამედ იმის დაკვირვებაზე და ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში და როგორია მისი საერთო პერფორმანსი, მაგალითად, კომპლექსურ დავალებაზე, სასწავლო პროექტებზე მუშაობის განმავლობაში. რეკომენდაციის საფუძველზე, კათედრა გეგმავს მოსწავალის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენოს და უპირატესობა მიანიჭოს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას.
მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზანს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას და ვალიდურობას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლას აქვს მზაობა და აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.2.2.3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე -. შესაბამისი

2.2.2.4. შფასების სისტემა არის ვალიდური, გმჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

სკოლის შეფასების სისტემა აქტიურად იყენებს განმავითარებელ შეფასებას. შეფასების კრიტერიუმები ვალიდურია, გაჭირვალეა, სანდოა,ობიექტურია და ეყრდნობა სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიას. შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა ხორციელედება კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებით.
როგორც დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა მასწავლებლები შეფასების ვალიდურობისა და სანდოობის გაზრდის მიზნით ირჩევენ შფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს, მაგ: მოსწავლეთა პრეზენტაციებს, ნამუშევრების გამოფენას, დამოუკიდებელ თუ ჯგუფურ სამუშაოს და სხვა. რა თქმა უნდა ეს განპირობებულია იმით, თუ რა უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული მასწავლებელი, რა კონკრეტული სასწავლო მიზნებია დასახული მოცემულ მომენტში. ასევე მოსწავლეებთან ერთად ქმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რაც უზრუნველყოფს მის ობიექტურობას, გამჭვირვალობას, ვალიდურობასა და სანდოობას. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, რუბრიკების დახმარებით თავად დააკვირდნენ საკუთარი სწავლის პროგრესს და მათზე დაყრდნობით განახორციელონ თვითშეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავლების შეფასების რუბრიკებს, მასწავლბლებმა აღნიშნეს, რომ ხშირად შეფასების რუბრიკები თვალსაჩინოდაა კედელზე გაკრული, რაც გამჭირვალობის, სანდოობის დასტურია. სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ, მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და მსჯელობენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე, აკეთებენ თვითშეფასებას.

2.2.2.4. შფასების სისტემა არის ვალიდური, გმჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი - შესაბამისი

2.2.2.5.სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

. სკოლას აქვს მზაობა,შეიმუშავოს დოკუმენტი მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის შესახებ, სადაც გაწერილი იქნება მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვა და წარმართვა, აგრეთვე მოსწავლის შეფასების ვერიფიკაციის პროცედურა. მასწავლებლები ახორციელებენ მოსწავლეთა მიღწევების დონის ანალიზს, აგროვებენ შესაბამის მტკიცებულებებს შესრულებული დავალებების სახით, კათედრაზე ხდება შემაჯამებელი დავალებებისა და შესრულებული კომპლექსური /კომპლექსური ტიპის დავალებების ანალიზი, მასწავლებლების ურთიერთდასწრება და რეფლექსია, უკუკავშირი და რეკომენდაციები.

ინტერვიუ ადასტურებს, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლეთა შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ინტერვიუს დროს აღინიშნა რომ, მასწავლებლები ეცნობიან მეთოდური ლიტერატურის მიხედვით შემუშავებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მათი თქმით, სწორედ მოსწავლეთა შეფასების სიზუსტის გამოსავლენად იგეგმება დიაგნოსტიკური ტესტირება და მისი ანალიზი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმისა.

სკოლას აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის დოკუმენტი (მათემატიკის ექსპერტი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რჩევა: ყველა კათედრა დეტალურად გაეცნოს ვერიფიკაციის მექანიზმს. დანერგოს და გამოიყენოს პრაქტიკაში.

2.2.2.5.სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი - შესაბამისი

2.2.2.6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების /ინფორმაციის/ მტკიცებულებების/ სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების თანახმად, კათედრის სხდომის ოქმები, მოსწავლეების მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და შესრულებული დავალებების პროდუქტები ინახება, ხშირ შემთხვევაში, 3-ზე მეტი წლის ვადით. ,,მოსწავლეთა პორტფოლიოები" არსებობს მატერიალური სახით სკოლაში, კლასში, სადაც კომპლექსური დავალების პროდუქტები ინახება, ესენია კომიქსები, პოსტერები და სხვ.

სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება, არანაკლებ 3 წლის ვადით, კერძოდ ელექტრონული ჟურნალი, მოსწავლის პირადი საქმე. ასევე აქვს „ოფიციალური სტატუსუს მქონე ნიშნების წიგნი"-, რომელსაც 2010 წლიდან აწარმოებს.

პედაგოგებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ხდება მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღიცხვა და შენახვა. რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

2.2.2.6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების /ინფორმაციის/ მტკიცებულებების/ სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით - შესაბამისი

მტკიცებულებები:

- კურიკულუმები;
- პორტფოლიოები
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- შეფასების რუბრიკები;
- ინტერვიურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- სხვადასხვა პროექტები, პროექტის რეფლექსიები და შეფასების რუბრიკები.
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ;
- თემატური მატრიცები
- მასწავლების გაკვეთილის რეფლექსიები
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024წ
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- დისკუსიის შეფასება
- მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი
- მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

2.2.3.1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს , რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. რასაც ადასტურებს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი, საგნობრივი კურიკულუმებით. ყველა მასწავლებელი ზრუნავს თანამშრომლობის განვითარებაზე როგორც ერთმანეთთან ასევე მოსწავლეებთან, მშობლებთან, მოსწავლეთა შორის. აქვთ სსსმ მოსწავლეთათვის ინდ გეგმები და მათზე მოდიფიცირებული რესურსები, აქტივობები. ღიაობა და მიმღებლობა წახალისებულია, როგორც მასწავლებლების, ასევე,მოსწავლეების იდეების მიმართ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი უზრუნველყოფენ პოზიტიური გარემოს შექმნას საკლასო სივრცეში. ხელი ეწყობა მოსწავლის პიროვნულ ზრდას, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლეთათვის, კათედრაზე მასწავლებლები ხშირად გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და უკუკავშირი. აქტიურია თანამშრომლობა მშობლებთან. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, დანერგილია კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, რაც ეხმარება კოლეგებს გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში. მოსწავლეთა მხარდაჭერას ემსახურება პოზიტიური გარემოს შექმნა სკოლაში. თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად. მათი ნამუშევრები ხშირად გამოიფინება კორიდორებში. ესენია დიორამები, მაკეტები, ნახატები, რაც მოსწავლის აღიარებას და წახალისებას ემსახურება.

2.2.3.1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო - შესაბამისია

2.2.3.2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, მოსწავლის ინტერესებსა და წინარე გამოცდილებაზე. მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავენ რომ, სკოლაში მოსწავლეთათვის შექმნილია უსაფრთხო გარემო, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას. კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, დიფერენცირებულ მიდგომები, არჩევითი დავალებებისა და სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების შეთავაზება,უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში.

პედაგოგები სასწავლო პროცესს წარმართავენ მოსწავლეზე ორიენტირებულად, სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებსა და თავისებურებებს. სასწავლო პროცესი მიმართულია მოსწავლეთა განვითარებასა და პროგრესზე. ეს კარგად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებსა და პორტფოლიოებში. ინტერვიურებისას პედაგოგებმა მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ უწყობენ ისინი ხელს მოსწავლეებს, მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესაძლებლობები.ეფექტურია საგანთაშორისი კავშირების გამოკვეთა,ინტეგრირება,მოსწავლეები პედაგოგების ხელშეწყობით იფართოვებენ თვალსაწიერს.

სკოლაში მოსწავლეთათვის შექმნილია უსაფრთხო გარემო, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას. კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, დიფერენცირებულ მიდგომები, არჩევითი დავალებებისა და სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების შეთავაზება,უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში.

პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ ახალი აქტივობების დაგეგმვის დროს. ვინაიდან სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება, რასაც ადასტურებენ სკოლის მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. მასწავლებლებმა წინა სასწავლო წლის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს კურიკულუმები და ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია სკოლის მატერიალურ ბაზაზე.

ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რაც ასახულია მოსწავლეთა ნამუშევრებში, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული ფაქტორები გაითვალისწინეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენისას.

პედაგოგები აანალიზებენ წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებენ მას დაგეგმვის პროცესში, ეს კი გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ სკოლა ამ კრიტერიუმში აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.1.2.5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი - შესაბამისია

მტკიცებულებები:

- ✓ საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.
- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ✓ კათედრის ოქმები
- ✓ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ✓ მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი
- ✓ <u>**დიაგნოსტიკური წერის ანალიზი (მათემატიკა).**</u>
- ✓ მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

2.2.1.1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

სასწავლო პროცესი ისეა ორგანიზებულია, რომ გამოწვევები დაკავშირებულია წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან, ამაღლებს მოტივაციას იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, რაც დასტურდება კურიკულუმებში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებით.

Sagnebis სწავლებისას გათვალისწინებულია თანამედროვე მიდგომები. პედაგოგები იყენებენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბebi. რესურსების სახით ძირითადად იყენებენ დამხმარე სახელმძღვანელოებს, ატლასებს, ტაბულებს, PPT-პრეზენტაციებს. სკოლაში საბუნებინებისმეტყველო საგნებში ხორციელდება სასწავლო გრძელვადიანი პროექტები. ისინი ხელს უწყობს საგანთაშორის ინტეგრირებას და მოსწავლეთა ცნობიერებისა ამაღლებას. მოსწავლეები ახორციელებენ დაკვირვებას, უტარდებათ გაკვეთილები ღია სივრცეში. მასწავლებლები აწარმოებენ პორტფოლიოებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ოთახი დამხმარე სათავსოთი,მაგრამ ის არაა აღჭურვილი -არ არის ნიჟარა ონკანითა და წყალგაყვანილობა,გამწოვი , პრაქტიკულად ძალიან მცირეა მზა რესურსები და აღჭურვილობა ბიოლოგიასა და ფიზიკაში,რეაქტივები და ჭურჭელი ქიმიაში. სკოლამ წერილობით მიმართა სსიპ საგანმათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და რესურსცენტრს, რათა აღმოეჩინათ დახმარება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულფასოვნად აღჭურვაში.რადგან სკოლას ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით პრიორიტეტად დასახული აქვს STEAM- საგნების გაძლიერებული სწავლება,ლაბორატორიის არქონა სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის.

წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები (ყველა კლასის) იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებები, რომლებიც ჩაშენებულია კურიკულუმის ჩარჩოში ისეთი აქტივობების დანერგვას ითხოვს, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიქტი, იგი გამოკვეთს, განიხილავს და წყვეტს პრობლემას, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მრავლად გვხვდება კომპლექსური ბუნების დავალებები, ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მატრიცა წარმოდგენილია დამატებით მტკიცებულების სახით.

სკოლას მიეცა რჩევა ,განმეორებით მიმართოს შესაბამის უწყებებს,რათა აღმოუჩინონ დახმარება ლაბორატორიის სრულყოფილად აღჭურვაში (საბუნებისმეტყველო).

2.2.1.1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას - შესაბამისია

2.2.1.2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ სკოლა საგნობივ კურიკულუმებს მოიაზრებს და განიხილავს, როგორც მოსწავლის ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების გზას. მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამას მოწმობს მათ მიერ საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა, მათ მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც ახლოსაა მოსწავლის რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებთან და გამოცდილებასთან; საგაკვეთილო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის გამოყენებული შეკითხვები, გონებრივი იერიში, გეზისმიმცემი შეკითხვები ახალი ცოდნის კონსტრუირებისთვის და ა. შ.

ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ორგანიზებულია და ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას. კურიკულუმში გაწერილი თემები ისე არის დალაგებული, რომ გათვალისწინებულია წინარე ცოდნის ანალიზი, მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენება-გააზრებას გავლილ თემებში შესწავლილი ელემენტები დაეხმარება მოსწავლეებს უკეთ აითვისონ და გამოიყენონ ახალი თემების შესწავლის პროცესში. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.

ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება ნაცნობ კონტექსტთან მიმართებით. თემის შიგნით არის ლოგიკური კავშირები საკითხების სწავლებასა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. რაც დასტურდება წარმოდგენილი თემატური ერთეულის მატრიცებისა და მასწავლებლების გასაუბრების საფუძველზე. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ, ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ეს კი ააქტიურებს მოსწავლის შინაგან ძალებს. სასწავლო პროცესის დროს პედაგოგები აღნიშნავენ რომ არიან ფასილიტატორის როლში. ხოლო მოსწავლე თვითონაა აქტიური მკვლევარი და ახალი ცოდნის აღმომჩენი. დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს ცოდნის აგებას.

2.2.1.2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით - შესაბამისია

2.2.1.3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

კურიკულუმიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან თვითონ კომპლექსური დავალების ბუნება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულად დაგეგმვას და განხორციელებას, აგრეთვე კომპლექსური დავალებები მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს თავად დაგეგმოს საკუთარი შემეცნების პროცესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საგნობრივ კურიკულუმებში პოცესები იმგვარადაა დაგეგმილი, მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლის მხრიდან მოითხოვს მსჯელობას საკუთარ გამოცდილებასა და ინტერესზე, გადაწყვეტილების პროცესში საკუთარ პოზიციასა და დასკვნების ვალიდურობაზე, მასწავლებელთა მიერ განხორცილებული და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობები, დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს ინდივიდუალური გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესი შესაძლებლობას იძლევა მხარდაჭერილ იქნას მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. მოსწავლეს ეძლევა საშუალება ახსნას რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, ეხმარება მოსწავლეს საკუთარი აკადემიური (და არა მხოლოდ აკადემიური) თვითცნობიერების განვითარებაში. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ მათი მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, რაც აისახება სამომავლოდ მეთოდოლოგიურ დანართში.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ წარმოდგენილ თემატურ მატრიცაში გეზისმიმცემი კითხვებით, კონკრეტული აქტივობებით, მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებითა და გასიტყვების პროცესში დასმული კითხვებით ყურადღება მახვილდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე.

მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ მოსწავლისათვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებებლი უკავშირდება მოსწავლეთა გამოცდილებას, რაც მამოტივირებელია და გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის წახალისებას. ასევე გასაუბრებაზე გამოიკვეთა რომ შესრულებულ დავალებაზე მოსწავლეები საუბრობენ: -რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა მიიღო, რას შეცვლიდა კეთების პროცესში და ა. შ. რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები.

2.2.1.3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე - შესაბამისია

2.2.1.4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებეები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ ყურადღება მახვილდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. მომავალი წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს იმგვარ ამოცანას , სადაც პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება მოუწევთ, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მასწავლებელები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხის სიღრმისეულ გააზრებას.

მასწავლებლები ახორციელებენ მრავალფეროვან შემაჯამებელ სამუშაოებსა და კომპლექსურ დავალებს, რომლებშიც იყენებენ ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულ შეკითხვებს. სასწავლო აქტივობებში უხვადაა როგორც სამიზნე ცნებებსა და ცოდნის სამივე კატეგორიაზე გამავალი, ასევე მეტაკოგნიტური უნარების შემამოწმებელი კითხვები. მასწავლებლები მუშაობენ, რომ მოსწავლეების ცოდნა არ იყოს მხოლოდ დასწავლა. სთხოვენ მათ მოახდინონ არგუმენტაცია, საკუთარი აზრის დაფიქსირება და დასკვნების გამოტანა. მოსწავლეები ახორციელებენ პროექტებს, გრძელვადიან და მოკლევადიან ღონისძიებებს. მასწავლებლები მხარს უჭერენ მოსწავლეთა თვითრეფლექსიას და თავადაც აძლევენ უკუკავშირს.

მოწოდებულ დოკუმენტაციაში და საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რასაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს; მაგალითად, იქ სადაც შუალედურ მიზნებად მოიაზრება კომპლექსური დავალებები, კურიკულუმებში იერარქიულად გაწერილია, როგორ მიემართება ქვესაკითხები სამიზნე ცნებებისკენ, რომლის პრაქტიკულად განხორციელება გულისხმობს სწორედ ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობას. მაგალითად, ფაქტობრივი ცოდნის ათვისების შემდეგ ხდება ამ ცოდნის სხვადასხვა სავარჯიშოებში გააქტიურება და შემდგომ უკვე ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენება (კომპლექსური დავალებები), რაც საკითხის სიღრმისეულ გააზრებას და დასწავლას უწყობს ხელს.

2.2.1.4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) - შესაბამისია

2.2.1.5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებეები, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება, დაუკავშირონ შინაარსი, საკითხი და პრობლემა ერთმანეთს. პედაგოგებმა ისაუბრეს მოსწავლეთა ნამუშევრების შედეგებზე დაყრდნობით, რამდენად უწყობს ხელს კომპლექსური ბუნების დავალება გამოცდილების მობილიზებითა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირებით გამოწვევების გამკლავებას და პრობლემის გადაჭრას. ხდება საგანთა შორის ინტეგრაცია კომპლექსურ დავალებებში.

კურუკულუმებში გაწერილი თეორიული და პრაქტიკული შინაარსის თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები რომლებშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივი კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური დავალებებს, რადგან კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც ხელს უწყობს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთ დაკავშირებას

მოწოდებულ დოკუმენტაციაში და საგნობრივ კურიკულუმებში მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალებები, რასაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრების / ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების კარგ საშუალებად განიხილავს; სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ რადგან კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ასეთი დავალებების განხორციელება ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს.

2.2.1.5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება - შესაბამისია

მტკიცებულებები:

- ✓ საგნობრივი კურიკულუმები
- ✓ სასკოლო პროექტები
- ✓ კათედრების სხდომის ოქმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ✓ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- ✓ მასწავლების გაკვეთილის რეფლექსია
- ✓ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- ✓ მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი
- ✓ მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს

2.2.2.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისის მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. იგივე პრინციპი დაცულია წარმოდგენილ თემატურ მატრიცაში, შესაბამისად სკოლა მზადაა გაითვალისწინოს აღნიშნული პრინციპები და მიმართებები სწავლა-სწავლების პროცესში.

წარმოდგენილი კურიკულუმებში ასახულია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზრვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კი კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით ხორციელდება. ეს დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად და ასევე კურიკულუმში ასახული თემატური ერთეულის მატრიცით, კომპლექსური ბუნების დავალებებით. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. სადაც ნათლად ჩანს მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხბსა და საკვანძო კოთხვას შორის კონტექსტთან კავშირში. აქვეა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

სკოლის მხრიდან არის ცალსახა მზაობა, რომ მათ მიერ მკაფიოდ იქნას გააზრებული სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის, რის საფუძველსაც იძლევა მათ მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები და მეორე მხრივ განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები და რეფლექსია მათზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.2.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისის მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით - შესაბამისია

2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

წარმოდგენილ დოკუმენტებში მკაფიოდ არ ჩანს (მათემატიკა), რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემციურ განვითარებას, თუმცა მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ სვამენ ისეთ კითხვას რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს, სწავლის პროცესზე, მაგ: რას შეცვლიდი? რაში გამოიყენებ მიღებულ ცოდნას? რა გამოვიდა კარგად, რა არის ამის მიზეზი?... გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს. შეფასების მექანიზმებში ჩართულია თანატოლთა შეფასების და თვითშეფასების ფორმები.

ყველა დავალება და აქტივობა მიმართულია იქით, რომ მოსწავლე მაქსიმალურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. პედაგოგები ქმნიან პოზიტიურ სასწავლო გარემოს. ისინი ზრუნავენ მოსწავლეთა განვითარებაზე, უსაფრთხოებაზე, მიკუთვნების გრძნობის გამომუშავებაზე. საგნობრივი საკითხები და კონტექსტები შერჩეულია იმგვარად ,რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი მოსწავლის თვითრეალიზებას, თვითცნობიერებას, თვითრეგულაციასა და სოციალური ცნობიერების განვითარებას.

მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. სწავლა არის მოსწავალის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესი. შესაბამისად ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა. დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი პერსონალურსა თუ სოციალურ ქცევებს შორის. კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი მოსწავლის ამგვარი კუთხით განვითარებას უწყობს ხელს, რაც გააზრებული პროცესია მასწავლებელთა მხრიდან.

2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას - შესაბამისია

2.2.2.3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭარაზე

სკოლიის მიერ შემუშავებული და გამოყენებული შეფასების რუბრიკები ხაზს უსვამს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მაგ: კომპლექსური დავალების შეფასების სქემა, წერითი შემაჯამებელი დავალების რუბრიკა, კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკა, შეფასების რუბრიკა მიმდინარე მიღწევებისთვის, კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები არა მარტო ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტურალურ გარემოებას, ფოკუსჯგუფთან მუშაობის პროცესში აღინიშნა, რომ შეფასების რუბრიკები შემუშავების ეტაპზეცაა და წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში, დეტალურად აღიწერება რამდენად და როგორ უწყობს ხელს ისინი მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას.

სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიმდინარეობს არსებული სისტემის მიხედვით როგორც ინდივიდუალურად თავად საგნის მასწავლებლის მიერ, ასევე ხდება მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაზიარება კათედრაზე. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი შეფასების დროს აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე და შედეგებზე/საბოლოო პროდუქტზე, არამედ იმის დაკვირვებაზე და ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში და როგორია მისი საერთო პერფორმანსი, მაგალითად, კომპლექსურ დავალებაზე, სასწავლო პროექტებზე მუშაობის განმავლობაში. რეკომენდაციის საფუძველზე, კათედრა გეგმავს მოსწავალის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენოს და უპირატესობა მიანიჭოს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას.

სკოლის მასალებში წარმოდგენილია მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის და სოლო ტაქსონომიის მიხედვით შედგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზა.

2.2.2.3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭარაზე - შესაბამისია

2.2.2.4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავლების შეფასების რუბრიკებს, მასწავლბლებმა აღნიშნეს, რომ ხშირად შეფასების რუბრიკები თვალსაჩინოდაა კედელზე გაკრული, რაც გამჭირვალობის, სანდოობისა დასტურია. სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ, მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და მსჯელობენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე, აკეთებენ თვითშეფასებას. შეფასების კრიტერიუმები ვალიდურია, გამჭირვალეა, სანდოა, ობიექტურია და ეყრდნობა სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიას. შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა ხორციელედება კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებით.

შეფასება ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. შეფასების რუბრიკის შექმნისას ითვალისწინებენ დავალების შინაარსის შეთანხმებას მოსწავალეებთან, რათა მიზნობრივად შეირჩეს ინსტრუმენტი, რომელიც გაითვალისწინებს ერთ მხირვ საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს და მეორე მხრივ მოსწავლეების ინტერესებს, სწავლის სტილსა და გამოცდილებას. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ კათედრის წევრები დიდ ყურადღებას აქცევენ შეფასების ვალიდურობასა და სანდოობას, რამდენად სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. აღნიშნავენ, რომ მათმა მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. მათ ზუსტად აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მკაფიოდ უნდა იცოდნენ რა არის წარმატებული შედეგი და რა არ არის მისაღები. ყველაზე მთავარი მოსწვალეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. კმასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ამ ფაქტორების გათვალისწინებით შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტებს წარმოადგენენ მეთოდოლოგიურ დანართში, გარდა ამისა გამოკვეთენ, რომ კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკის შექმნისას დაეყრდნობიან დავალების კრიტერიუმებს, შესაბამისად მოსწავლისთვის მკაფიო გახდება დავალების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.2.4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი - შესაბამისია.

2.2.2.5.სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

შესწავლილი დოკუმენტებიდან ირკვევა და ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ სკოლას უკვე აქვს შემუშავებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც სრულყოფს შეფასების სისტემას. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კათედრის სხდომებზე ხშირად მსჯელობენ ხარვეზების გამოსწორებაზე. ვერიფიკაცია მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსწავლის მიღწევის ანალიზს და ხელს შეუწყობს იმის დადგენას, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს, რათა უფრო მოქნილი გახდეს იგი და მცირე საგაკვეთილო დროში მასწავლებელმა შეძლოს მოსწავლის განვითარებაზე ზრუნვა.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად, შეფასების მონიტორინგს. სკოლამ წარმოადგინა ვერიფიკაციის დოკუმენტი (მათემატიკა)

რჩევაყველა კათედრა დეტალურად გაეცნოს ვერიფიკაციის მექანიზმს. დანერგოს და გამოიყენოს პრაქტიკაში

2.2.2.5.სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი - შესაბამისი

2.2.2.6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლას აქვს გამოცდილება, რომ უზრუნველყოს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვა და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვა, რაც დადასტურდა გასაუბრების შედეგად, მასწავლებლებს ჰქონდათ ნიმუშის სახით წარმოდგენილი შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები. სკოლას აქვს მოსწავლის პირადი საქმეები, ელექტრონული და მატერიალური ჟურნალები, სადაც არის ასახული მოსწავლის მიღწევები და შედეგები. ეს ყველაფერი შენახულია კლასების მიხედვით საქმის მწარმოებელთან.

სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება, არანაკლებ 3 წლის ვადით, კერძოდ (ელ ჟურნალი), მოსწავლის პირადი საქმე. ასევე აქვს „ოფიციალური სტატუსუს მქონე ნიშნების წიგნი“-, რომელსაც 2010 წლიდან აწარმოებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და მათ შორის სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლაც იცავს დოკუმენტის წარმოებასა და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. ასევე ხორციელდება შეფასებასტან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში გარკვული დროით ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა შეფასებები. მასზე პასუხისგება ეკისრება საქმეთამმართველს.

2.2.2.6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით - შესაბამისია

მტკიცებულებები:

- საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები;
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- სხვადასხვა პროექტები, პროექტის რეფლექსიები და შეფასების რუბრიკები.
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ;
- თემატური მატრიცები
- მასწავლების გაკვეთილის რეფლექსიები
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის პროექტი 2023-24წ
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024წ
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- დისკუსიის შეფასება
- მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი
- მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.3.სასწალო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

2.2.3.1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს , რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. რასაც ადასტურებს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი, საგნობრივი კურიკულუმები. საბაზო საფეხურის მათემატიკის კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობის განვითარებაზე, როგორც ერთმანეთთან ასევე მოსწავლეებთან, მშობლებთან, მოსწავლეთა შორის. აქვთ სსსმ მოსწავლეთათვის ინდ გეგმები და მათზე მოდიფიცირებული რესურსები, აქტივობები. აქვთ ღიაობა და მიმღებლობა წახალისებულია როგორც მასწავლებლების, ასევე, მოსწავლეებისა იდეების მიმართ.

მასწავლებლები უზრუნველყოფენ პოზიტიური გარემოს შექმნას საკლასო სივრცეში. ხელი ეწყობა მოსწავლის პიროვნულ ზრდას, , კათედრაზე მასწავლებლები ხშირად გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და უკუკავშირი. აქტიურია თანამშრომლობა მშობლებთან. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

. საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში (2023 -2024) მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებისთვის განსაზღვრულია სამივე საფეხურის ძირითადი ამოცანები, სკოლის საერთო კულტურაშიც ხაზგასმულია ურთიერთპატივისცემაზე და თანამშრომლობაზე ორიენტირებული სასწავლო კულტურა რომელიც ხელს უწყობს შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას, სპორტული სახელოვნებო და სასკოლო პროექტების ორგანიზებას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლაში იგეგმება და ხორციელდება მიზნობრივი ექსკურსიები და გასვლითი გაკვეთილები, ხორციელდება შემოქმედებით ღონისძიებები. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სტანდარტებით და მოიცავს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების სფერო. კურიკულუმის ჩარჩოებში მითითებული მატრიცებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, მოსწავლეებს აქვთ დავალების პროდუქტის შექმნის არჩევანის საშუალება, ასევე მრავალფეროვანი აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესთა და შესაძლებლობების სფეროს. სასკოლო სასწავლო გეგმაში ხაზგასმულია რომ სკოლას წავლების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, სკოლის ბაზაზე მოსწავლეთა პროფესიულ განვითარებაზე, მოსწავლის მოტივაციის გაზრდაზე ზრუნვა. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს, რომ საგანმანათლებლო გარემო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის აქტიურ ჩართულობას და მისი შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას საგანმანათლებლო პროცესის ყველა ეტაპზე.

2.2.3.1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო - შესაბამისია

2.2.3.2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სკოლაში ვიზიტის დროს გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები ხშირად ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროცესს, ერთობლივად მსჯელობენ რა და როგორ უნდა შეფასდეს, წახალისებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები. კათედრის წევრები ზრუნავენ თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, მათთან საუბრით, მათთვის არჩევანის მიცემის საშუალებით, საინტერესო იდეების წახალისებით, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში;

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებლი აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. კათედრების გამოკითხვისას გამოჩნდა მზაობა, რომ ისინი მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით ახდენდნენ და მომავალშიც მოახდენენ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას.

მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავენ რომ, სკოლაში მოსწავლეთათვის შექმნილია უსაფრთხო გარემო, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას. კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, დიფერენცირებულ მიდგომები, არჩევითი დავალებებისა და სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების შეთავაზება, საგნობრივი პროექტები უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში.

თვითშეფასების ფორმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო და უსაფრთხო გარემოს. საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის აქტივობები, ასევე კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დავალებები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის აქტივობებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებს, მათ შესაძლებლობებსა და ასაკობრივ თავისებურებებსაა მორგებული.

2.2.3.2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად - შესაბამისია

2.2.3.3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლას აქვს ურთიერთთანამშრომლობის მდიდარი და საინტერესო გამოცდილება. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმებზე მუშაობისას სხვადასხვა კათედრის მასწავლებლები მსჯელობდენ და ადგენდენ მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით მორგებულ დავალებებს. ახდენდენ მოსწავლეთა მიღწევების დონის ანალიზს.

მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავენ, რომ კოორდინირებული მუშაობა აქვთ სხვა კათედრებთან. თითოეული სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს და აფასებს პროცესებს, განსხვავებულია მათი გადაჭრის გზებიც, რაც ეხმარებათ მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობები ისე წარმართონ, რომ შეიქმნას პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო.

სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურაზე და ჯანსაღ კომუნიკაციაზე, მასწავლებლები მოსწავლისთვის აღიქმება როგორც უფროსი მეგობარი. ასევე, სკოლაში თანამშრომლობითი გარემო გამოვლინდა ვიზიტის დროს. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. კათედრის ოქმებში იკითხება კათედრის წევრების შეთანხმებული მუშაობა კურიკულუმის დაგეგმვა შესრულებისას. კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას და აქვთ კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი.

კომპლექსური დავალებები, რომლებიც კურიკულუმებშია ჩადებული, თავისთავად გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; კათედრების მასწავლებლებთან ინტერვიუც ადასტურებს, რომ დაწესებულებაში კათედრა წარმოადგენს ერთიან გუნდს, რომლის თითოეული წევრი ჩართულია პროცესის სრულყოფაში.

2.2.3.3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას - შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.3.4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. ამას ხელს უწყობს როგორც სკოლის შინაგანაწესი, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაც. სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული თემები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის მეგობრული და ტოლერანტული გარემოს შექმნას. სკოლა ახდენს მოსწავლეთა ჩართვას როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალური განათლების აქტივობებში, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზეც,

სკოლაში მიღწეულია პოზიტიური სასკოლო კლიმატი, სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში რასაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პატივისცემა, ნდობა, აღიარება, მიკუთვნებულობის განცდა. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა, რომ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა არამედ მთლიანი სასკოლო საზოგადოების. კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კომპლექსური დავალებები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, ხოლო განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით მოსწავლეებს ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სუსტი მხარეების გაძლიერებაში

სკოლას აქვს მკაფიო ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას, ნაცვლად დასჯა/წახალისების მექანიზმისა, რაც დადასტურდა სკოლაში ვიზიტის დროს მათთან გასაუბრებისას და აგრეთვე მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, სადაც გაწერილია ისეთი აქტივობები, თემატური ერთეულები, კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროექტები, რომლებიც ორიენტირებულია თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისებაზე და მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე;

2.2.3.4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე - შესაბამისია

მტკიცებულებები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სასკოლო კლუბების წესდებები და დებულებები.
- სასკოლო სივრცეები
- მოსწავლეთა მიღწევების ამსახველი მასალები
- კლუბური მუშაობის აქტივობები და მიღწევები
- მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებში.
- მოსწავლეთა ტრანზიციის წესი
- შინაგანაწესი

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანამდევ განუყოფელ ნაწილს

2.3.1.1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, ,,მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად? სასკოლო საზოგადოების წევრებს ერთმანეთთან შეთანმებული უნდა ჰქონდეთ დიზაინი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება ამ საკითხების შესწავლა. შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. მონიტორინგისა და შეფასებებისათვის რეკომენდაციები შემუშავებულია ,,ახალი სკოლის“ მოდელში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებასა და დანერგვაში ჩართულია ყველა მასწავლებელი. განხორციელების პროცესს აკვირდებიან კათედრის წევრები. აკვირდებიან, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის დაძლევა, რა პრობლემები გამოიკვეთება. ანალიზისა და შეფასების შედეგად მოხდება კურუკულუმების განახლება.

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ინტენსიურად თანამშრომლებენ ერთმანეთთან, ერთობლივად გეგმავენ სასწვლო პროცესს, აკვირდებიან ერთმანეთის მუშაობას სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, როგორც კუიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიითაა განსაზღვრული. პედაგოგებმა აღნიშნეს გასაუბრებაზე, რომ წლის მანძილზე გზა და გზა, მუშაობის პროცესში აღწერენ , ჩაინიშნავენ, შეაფასებენ და იმსჯელებენ კურიკულუმის დანერგვის პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესახებ და დაგეგმავენ გადაჭრის გზებს

2.3.1.1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად - შესაბამისია

2.3.1.2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურებასასკოლო საზოგადოების წევრებია მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარებისათვის კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთის ჩატარებულ გაკვეთილებს. აძლევენ უკუკავშირს პედაგოგებს. ჩატარებული გაკვეთილების ანალიზის შედეგად ადგენენ არსებული ხარვეზებს და ერთობლივად ეძებენ გადაჭრის გზებს . მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა , ასევე თვითშეფასება ეხმარება მათ გამოიკვეთონ რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სკოლას განსაზღვრული აქვს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი მოსწავლეთა შეფასებისათვის.

სასკოლო კურიკულუმის დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სკოლის საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ამ პროცესის მთავარ მიზანს წარმოადგენს მასწავლებლებისა და მოსწავლეების გაძლიერება. სკოლის პედაგოგებს შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. შემუშავებულია რუბრიკები ,რომლითაც ფასდება გაკვეთილი, პედაგოგის მიერ შექმნილი რესურსები და ა.შ, რის საფუძველზეც პედაგოგი იღებს ეფექტურ უკუკავშირს.

მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში მოქმედებს გაკვეთილზე დასწრების გამოცდილება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა და მეთოდური რჩევების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მიცემა. მასწავლებლები კურიკულუმით განსაზღვრული კომპლექსური დავალებების განხორციელების შემდეგ მოსწავლეებისგან და დამკვირვებლებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, აანალიზებენ ძლიერ და სუსტ მხარეებს და გეგმავენ მოსწავლეზე მორგებულ კომპლექსურ დავალებებს. დამკვირვებლებისგან ეძლევათ სიტყვიერი უკუკავშირი, რომელიც ორიენტირებულია სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისათვის და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნისათვის. პროცესი არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული.

სკოლის მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა უნდა ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და არა დასჯას, რაც თავისთავად ქმნის წინაპირობას მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის და ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას.

2.3.1.2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურებასასკოლო საზოგადოების წევრებია მხარდაჭერასა და დახმარებას - შესაბამისია

2.3.1.3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. როგორც სკოლაში ვიზიტის დროს მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, კათედრა აცნობიერებს, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მასალა (მაგალითად, მოსწავლეთა დიაგნოსტირების შედეგების ანალიზი, კოლეგების გაკვეთილებზე დასწრება და უკუკავშირი, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებისა და ურთიერთდაკვირვების შედეგები და ანალიზი) გამოყენებული უნდა იქნეს სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის.

მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, წლის ბოლოს შეხვედრებზე ახდენენ კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ახდენენ ანალიზს რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ეძებენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად დაისახება მათი გადაჭრის გზები, სკოლა გეგმავს მომდევნო სასწავლო წლიდან სამოქმედო გეგმაში ასახოს ინფორმაცია კურუკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

.სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტები, როგორებიცაა დაკვირვების ფორმა, მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვ. კურიკუკლუმის მონიტორინგის და შეფასების გზით დადგენილია პედაგოგთა და მოსწავლეთა საჭიროებები.

მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ დაწყებითი კლასის მათემატიკის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საინტერესო მეთოდებისა და სტრატეგიების გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებს, აფასებენ მოსწავლეთა ნაშრომებს და სხვა, ამით ახდენენ კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. კათედრის სხდომებზე ახდენენ ანალიზს რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ეძებენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად გეგმავენ კვლევით აქტივობებს, რომლის ანალიზის შედეგებს ასახავენ სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში.

2.3.1.3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას - შეესაბამება

მტკიცებულებები:

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმები, რესურსი 12)

კათედრის მუშაობის SVOT ანალიზი,

პედაგოგთა სამუშაო შეხვედრების ოქმები

2.3.2.სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

2.3.2.1.შფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მასწავლებლებმა შეხვედრაზე გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესზე ფოკუსირების საშუალებას გვაძლევს განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები, რომლებსაც მასწავლებლები წლის დასაწყისში ადგენენ, ან მოდიფიცირებას უკეთებენ. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ განხორციელებული აქტივობებისა და შესრულებული სამუშაოების რეფლექსიები, რის საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი? რომელია მისი ძლიერი და სუსტი მხარე. ასევე ითვალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით აძლევენ უკუკავშირს მოსწავლეებს. მასწავლებლები გეგმავენ შეფასების ფორმას მიეცეს სისტემური ხასიათი, რომელიც მოხდება სხვადასხვა მრავალფეროვანი წყაროსა და რესურსის გათვალისწინებით.

სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების ნიმუშები, მათ შორის კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები; შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესის მონიტორინგის, შეფასების, ტიპური პრობლემების გამოკვეთისა და ანალიზის საშუალებას იძლევა; შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორიცაა, მოსწავლეთა თვითშეფასება, თანატოლთა ურთიერთშეფასება და უკუკავშირი; მშობლებთან და კლასში შემსვლელ სხვა მასწავლებლებთან, კლასის დამრიგებელთან გასაუბრება.

სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა გულისხმობს მონაცემების შეგროვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. მიმდინარე ეტაპზე გამოიყენება საგნობრივი მიმართულებით შემუშავებული შეფასების რუბრიკები , კვლევა, დაკვირვება, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. სკოლას აქვს მზაობა, სამომავლოდ, გამოიყენოს კიდევ უფრო მრავალფეროვანი რესურსები. იგეგმება ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობის გაზრდა.

მასწავლებლებმა შეხვედრაზე გასაუბრებისას აღნიშნეს რომ მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესზე ფოკუსირების საშუალებას აძლევთ განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მონაცემები. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ განხორციელებული აქტივობებისა და შესრულებული სამუშაოების რეფლექსიები, რის საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი? რომელია მისი ძლიერი და სუსტი მხარე. ამის შემდეგ ითვალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით აძლევენ უკუკავშირს მოსწავლეებს. სამომავლოდ გეგმავენ, რომ განმავითარებელი შეფასება დააფუძნონ მრავალფეროვანი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას.

2.3.2.1.შფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს - შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.3.2.2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის, წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, რაც დაეხმარება მოსწავლის მრავალი კუთხით იდენტიფიცირებაში, მისი უნარების გამოვლენაში, რაც მისცემს უფრო ეფექტურად და მოსწავლის შესაძლებლობებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის დაგეგმვის საშუალებას. ამ მიზნით კათედრაზე იგეგმება სადაიგნოსტიკო შეფასებების ჩატარება, უფრო ფართოდ მოხდება კომპლექსური დავალებების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ჰოლისტური შეფასების სქემის დახვეწას.

პედაგოგებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ მოსწავლეების შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალ კონტექსტს. და აფასებებენ არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებულ სააზროვნო უნარებს. ითვალისწინებენ იმ სოციალურ გარემოს რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე.

მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. შეფასება ხორციელდება კონსტრუქტივისტულ პრინციპების, ცოდნათა ურთიერთდაკავშირების მიხედვით, ცოდნის სამივე კატეგორიის ცოდნის შესაბამისად, შეფასება მიზანმიმართულია 6 გლობალური ფუნქციის განვითარების ხელშეწყობაზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალი კონტექსტის გამოყენებას , შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგების მიღწევების ინდიკატორს. რაც შესაძლებლობას აძლევს სკოლას, გამოიკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების, მათი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება.

2.3.2.2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით - შესაბამისია

2.3.2.3.შფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებელები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. განაზოგადებენ დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებულ შედეგებს. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკაში იყენებენ ინტერვიუს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ.

გასაუბრებაზე გამოიკვეთა რომ შეფასებისას მასწავლებელები იყენებენ მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს.

შეფასებისას სკოლა აქტიურად იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს, როგორიცაა მასწავლებელთა თვითრეფლექსიები, ურთიერთდასწრების ანგარიშები,პ ორტფოლიოები, თემის შემაჯამებელი სამუშაოების ანგარიშები ,კათედრის ოქმები და ა.შ. სკოლამ გამოთქვა მზაობა ამ პროცესის შემდგომში დახვეწისათვის.

პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასებისას მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მისაღებად მნიშვნელოვანია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, რაც შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ შეფასება გახდეს კიდევ უფრო მეტად მრავალფეროვან კონტექტებზე დაფუძნებული.

2.3.2.3.შფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები - შესაბამისია

2.3.2.4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

საგნობრივი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასების განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. როგორიცაა მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, რასაც ხელს უწყობს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები, კონტექსტ მაგალითები და პროექტები. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ შეფასების ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს მრავალმხრივი კონტექსტიდან მოსწავლის შედეგის შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ ამ ეტაპზე შეფასება ხდება მულტიფაქტორული მიდგომის გათვალისწინებით. გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსი, ფსიქო-ემოციური ფონი, ხდება მოსწავლეთა უნარების და ინტერესების დიფერენცირება. მომავალში სკოლა გეგმავს, რომ შეფასება მოხდეს მულტიფაქტორული მიდგომის გათვალისწინებით: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსი, ფსიქო-ემოციური ფონი, მოსწავლეთა უნარების დაინტერესების დიფერენცირება, რომელიც გათვალისწინებული იქნება მომავალი კურიკულუმის შემუშავების დროს.

წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია თემატური ერთეულების და რიგ შემთხვევაში ამ თუ იმ თემის ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური ტიპის დავალებებით, რომელთა განხორციელება გულისხმობს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების გააზრებასა და ათვისებას, არამედ მთლიანი პროცესის შეფასებას, რომლის დროსაც ხდება დაკვირვება როგორც მოსწავლის აკადემიურ უნარებზე, აგრეთვე მის ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე, სოციო-ემოციურ განწყობაზე და იმ მოქმედ ფაქტორებზე, რაც ზეგავლენას ახდენს მოსწავლის მთლიან პერფორმანსზე და შედეგებზე.

მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით სკოლა ითვალისწინებს სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, ისეთებს როგორებიცაა მოსწავლეთა განწყობებსა და სასკოლო მზაობას, მათ უნარებსა და ინტერესებს, სასკოლო თემის მოლოდინებს სკოლის მიმართ, ხელისშემშლელ გარემოებებს, მშობელთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და ა.შ. სწავლა- სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, აქცენტი გაკეთდება კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე.

2.3.2.4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით - შესაბამისია

მტკიცებულებები:

- ✓ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
- ✓ კათედრის ოქმით დამტკიცებული ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12
- ✓ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები.

დიფერენცირებული დავალებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4.კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1.წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

2.4.1.1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციოსაჭიროებათა პაკეტი

პედაგოგებთან გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მიმდინარეობს კურიკულუმის დანერგვის პროცესის შეფასება თუ, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ აღძრა მოსწავლეთა ინეტერსი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში ? მიემართება თუ არა თემა, საკითხები გრძელვადიან მიზენებს, არის თუ არა კურიკულუმის მეთოდური ორიენტირი ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ა.შ. ახალი კურიკულუმის განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ზემოთაღნიშნულთან ერთად სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები,შეფასება და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები. დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ, სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას დაეყრდნობიან წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ახალი საწავლო წლის სასწავლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

სკოლას აქვს კურიკულუმის შექმნისა და მუშაობის შემდეგი გამოცდილება : საგნობრივ კათედრებზე რეფლექსია კურიკულუმის დანერგვის ეტაპებთან დაკავშირებით, რაც გამოკვეთს საუკეთესო გამოცდილებასა და განსახორციელებელ ინტერვენციებს. სამომავლოდ იგეგმება სკოლის საზოგადოებისათვის შეიქმნას და გაზიარდეს მცირე გზამკვლევი, რომელშიც აისახება მათი მხარდაჭერის, პასუხისმგებლობისა და ჩართულობის პაკეტი.

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს კათედრები აანალიზებენ გავლილ სასწავლო წელს, გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, ითვალისწინებენ წლის მანძილზე გამოვლენილი მონიტორინგის შედეგებს, რის საფუძველზეც განსაზღვრავენ სწავლა-სწავლების მიზნებს; სკოლას აქვს მზაობა, უკვე არსებული რეფლექსიების საფუძველზე, დოკუმენტურად ასახოს ის მიგნებები და რეკომენდაციები, რაც სკოლისთვის ნიშანდობლივი და გასათვალისწინებელია და შეიმუშაოს ინდივიდუალური პაკეტი სამუშაო და სარეკომენდაციო ხასიათის შენიშვნებითა და რჩევებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმის დანერგვის პროცესში, კურიკულუმის შემუშავების დოკუმენტის მიხედვით, გათვალისწინებულია დაგროვილი გამოცდილების პროცესზე დაკვირვება და დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კურიკულუმის რევიზია ითვალისწინებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზებას რამდენიმე მიმართულებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრა, დირექცია. როგორც სკოლის თვითშეფასებიდან ირკვევა, ის გეგმავს შეიმუშაოს ერთიანი კურიკულუმის რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც გაზიარდება მასწავლებლებისათვის. ამასთანავე, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება, საგნობრივი კათედრების იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის.

2.4.1.1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციოსაჭიროებათა პაკეტი - შესაბამისი

2.4.1.2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

კურიკულუმის ახალი ვერსია, დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ახალ რევიზირებულ დოკუმენტში აისახება ანალიზის საფუძველზე დადგენილი მიგნებები. დაწყებითი მასწავლებლები აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში აისახოს მოსწავლეთა ინტერესები, შედეგები

2022-2023 სასწავლო წელს სკოლა იყენებდა სამინისტროს საგნობრივი ექსპერტების მიერ მოწოდებულ კურიკულუმებს. მათი განხორციელებისას მიღებული გამოცდილება ,შეფასების შედეგად მიღებული მიგნებები აისახა მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულემებში. მასწავლებელთა პრაქტიკული საქმიანობისათვის სკოლაში იგეგმება შერჩეულ მატრიცებზე დაფუძნებით კვლევის წარმართვა, რომელშიც ჩართული იქნებაიან მასწავლებლები.

კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: - სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; - კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; - სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; - კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. პედაგოგებთან გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მიმდინარეობს წინა წლის პროცესის შეფასება თუ, რამ იმუშავა კარგად, ცუდად. ახალი კურიკულუმის განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ზემოთაღნიშნულთან ერთად სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები, შეფასება და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები. დაწყებით საფეხურზე აღნიშნავენ, რომ მონიტორინგის შედეგებს პერიოდულად გაუზიარებენ სასკოლო საზოგადოებას სწავლა-სწავლებაში მიღწეული შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. დოკუმენტის თანახმად, ,, კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე.''

ასევე, მასწავლებლებთნ საუბრისას გამოიკვეთა, რომ ცვლილებებს საფუძვლად უდევს განვლილი სასწავლო წლის გამოცდილება და რეფლექსია.

2.4.1.2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს - შესაბამისია

მტკიცებულებები:

- 2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმი
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საშუალო საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი -საშუალო საფეხური	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1.კურიკულუმის შემუშავება

2.1.1.კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

2.1.1.1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა სა პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. მასწავლებლებთან გასაუბრებაზე გამოიკვეთა რომ ისინი ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, აჯამებენ სწავლა-სწავლების პროცესს, გამოკვეთენ დადებით მხარეებს და განსაზღვრავენ საჭიროებებს და ასახავენ მომდევნო წლის კურიკულუმში. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება ხდება საგნობრივ კათედრებზე, მასწავლებელთა ჩართულობით. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, მშობელთა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრთა პრიორიტეტებს ,რასაც ძირითადად ადგენენ დაკვირვებისა და ვერბალური კომუნიკაციის შედეგად. სასავლო წლის დასრულებისას კათედრები განიხილავენ მიღწეულ შედეგს, რა არის გასაუმჯობესებელი და გამოსასწორებელი შემდეგი წლისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმის დასახვეწად. მასწავლებლები ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ, ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე და სასკოლო კურიკულუმის მიღწევის დონე ფასდება კომპლექსური დავალებებით გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით.

სკოლას მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, კურიიკულუმის შემადგენელი ნაწილები, პრინციპები, რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები. წარმოდგენილი დოკუმენტების, აგრეთვე ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გათვალისწინებული აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები და პრიორიტეტები. სკოლაში ხორციელდება მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა კითხვარების შევსება. ამის საფუძველზე ხდება მონაცემების დამუშავება და ანალიზი, რათა მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ სკოლის კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მას წინ უძღვის წინა სასწავლო წლის ანალიზი. კურიკულუმის შემუშავებაზე მუშაობა იწყება კონცეპტუალური ჩარჩოს შესახებ მსჯელობით, განხილვის საგანია გამოწვევები, რომლებიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების/ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დანერგვის პროცესში (სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე,- უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა). კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა კათედრის წევრთა ერთსულოვნება, მასწავლებლების თანამშრომლობა, სასწავლო პროცესის გაუჯობესებაზე ზრუნვა, სიახლეებზე ორიენტირი და ნათლად გამოიკვეთა, რომ პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლა დავასკვნათ, რომ სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას.

2.1.1.1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა სა პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას - შესაბამისია

2.1.1.2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია მოსწავლისთვის საინტერესო თემატური კონტექსტები და გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები, შედეგად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომები; შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, შინაგანი მოტივაციის გაზრდას და სწავლის სტრატეგიების დაუფლებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პოზიტიური გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა განწყობას, პიროვნულ თავისებურებებს და ინტერესებს, ითვალისწინებენ მათგან მოწვდილ უკუკავშირს; მასწავლებლები ასევე აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავებაში გათვალისწინებულია მათ მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, წინა წლის გამოცდილება, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც თავისთავად ხელს უწყობს კურიკულუმის განავითარებას.

სასკოლო კურიკულუმი ასახავს სკოლის მისიას, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა პოტენციალის გამოვლენას, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ წიგნიერ, კრიტიკულად მოაზროვნე, მიზანდასახულ და შემოქმედ მოქალაქეებად, რომლებიც შექმნიან სამოქალაქო საზოგადოებას და შეძლებენ ინიცირებას, შეცვალონ სამყარო უკეთესობისაკენ. სკოლის ხედვა უკავშირდება მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობას მშობლის და სკოლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობებით, არაფორმალური განათლებით. სკოლის ღირებულებები დამყარებულია როგორც განვითარებასა და ინოვაციურობაზე, ასევე თანამშრომლობაზე.

წარმოდგენილი კურიკულუის- სწავლა-სწავლების მიზნებისა და სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მათი რეალიზების/ყოველდღიური სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის განვითარებას მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით. კერძოდ, დაიგეგმა ახალი სასწავლო წლიდან ყველა კლასში მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალებების განხორციელება საგნებში, რისთვისაც პედაგოგებმა მოიძიეს და მოამზადეს მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითები. შექმნილია კომპლექსურების შესაბამის განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკები . კომპლექსური ტიპის დავალებების პირობა აღებულია ცხოვრებისეული კონტექსტიდან, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, განმავითარებელი უკუკავშირი და ამით მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც შედეგზე ორიენტირებული სასწალო პროცესის წინაპირობაა.

2.1.1.2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები - შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს და ინტერვიუს მსვლელობის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა, ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე, მატერიალურ ბაზაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს, სასწავლო პოცესისათვის საჭირო რესურსებს. აღიშნულ პროცესში სკოლას აქტიურად ჰყავს ჩართული მშობლები, მოსწავლეები და დირექცია.

კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება: მასწავლებლები, მშობლები, სკოლის ადმინისტრაცია, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. კათედრებზე ტარდებოდა შეხვედრები, განიხილებოდა კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენების მიზნობრიობა, კომპლექსური დავალებების აქტივობები,დამუშავდა და გაანალიზდა კითხვარები.

საგნობრივი კურიკულუმები კათედრებზე კოლეგებთან თანამშრომლობით იგეგმება და ხორციელდება, რაც კათედრის შეხვედრების სამუშაო გეგმაშიც ჩანს. კურიკულუმებში გათავლისწინებულია მოსწავლეთა ინტერესის სფერო და ადგილობრივი თემის, მშობლების საჭირო პრობლემები. ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების ეტაპზე მასწავლებლებმა აქტიურად ითანამშრომლეს მშობლებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლის თანამშრომელთა უმრავლესობა ამავდროულად წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების მეორე მხარეს, მშობლებს. შესაბამისად, გამარტივდა წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმების შედგენის პროცესში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გამოკვლევა და გათვალისწინება.

2.1.1.3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ - შესაბამისია

2.1.1.4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმი ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის.: მაგ., საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საშუალებები და ა.შ. ამისათვის სკოლა იყენებს ონფორმაციის გაზიარების მისთვის რელევანტურ საშუალებებს. მაგალითად, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შესახებ სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას სოციალური ქსელების და კლასის დამრიგებლების მიერ მოწვეულ მშობელთა კრებებზე, რაც ხელს უწყობს სასკოლო კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებას.

მოსწავლეებს და მშობლებს მშობელთა კრებებზე, აცნობენ საგნობრივ ჭრილში დასამუშავებელ თემას, საკითხებს, საკითხთა ტრანსფერის არეალებს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, ასევე იმ რესურსთა ჩამონათვალს, რაც ხელს შეუწყობს მიზნების მიღწევას.

სკოლას აქვს მეთოდოლოგიის განხორციელების მზაობა. კერძოდ, სასწავლო წლის დასაწყისში მასწვლებლები ერთობლივად შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომლის განუყოფელი ნაწილია სასკოლო კურიკულუმი, უზიარებენ მშობლებს, აღნიშნულის დასადასტურებლად დგება მშობელთა კრების ოქმი. სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი, გარდა მასში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა, მისი დამტკიცების შემდეგ მასში შემავალი საგნობრივი კურიკულუმებიც გაზიარდება სკოლის ვებ გვერდზე.

სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების მიზნით გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში, სკოლის თანამშრომლების დახურული ჯგუფები და სასაუბრო ‘‘ჩათები’’ ამავე სოციალურ ქსელში, საზიარო სივრცე ელექტრონულ პლატფორმაზე Teams, ელექტრონული ჟურნალი, ელექტრონული ფოსტა.

2.1.1.4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ - შესაბამისია

მტკიცებულებები:

- სკოლის სტრატეგიული გეგმის, კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია მეთოდოლოგია
- კათედრისა და პედსაბჭოს სხდომების ოქმები
- ინტერვიურება

პედაგოგების პორტფოლიოები.

- ✓ *კურიკულუმის შემუშავების ამსახველი ფოტო მასალა, კათედრების მიხედვით;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ✓ *კათედრის შეხვედრების ოქმები;*
- ✓ *სკოლის ვებ გვერდი,*
- ✓ *სკოლის სოციალური გვერდი*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

2.1.2.1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალებები, საგანმანათლებლო აქტივობები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. რაც კარგად ჩანს კურიკულუმებში. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ კურიკულუმი არის მოსწავლზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზა . ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს.
სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გგემის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით). შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებებისა და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლის პიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. კათედრის წევრებს მაგალითად მოჰყავთ წინარე გამოცდილება მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალების დანერგვის შემთხვევები, რასაც ასაბუთებენ წინა წლის თემატური მატრიცებითა და მოსწავლეთა ნამუშევრებით.
კურიკულუმებში დეტალურადაა გაწერილი თუ როგორ მოხდება შუალედური მიზნებით (კომპლექსური დავალებები) გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე,ები მათთვის შემუშავებულია ინდივიდიუალური სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გეგმები. პედაგოგებს მომზადებული აქვთ ადაპტირებული კომპლექსური დავალებები .სწრაფად ახდენენ სასწავლო გარემოში ცვლილებებს აქტივობების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ სკოლა აქვს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ როგორც მზა,ასევე მოსწავლშექმნილ რესურსებს,კომპლექსური დავალებების პროდუქტებს.

რჩევა: პედაგოგებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს როგორ დაუკავშირებენ თითოეულ თემას კონტექს მაგალითებსა და კომპლექსურ დავალებებს. რაც უნდა აისახოს 10-12 კლასის კურიკულუმებში, ასევე რესურსები რომლებიც დაეხმარება თემატური ერთეულის დამუშავებასა და კომპლექსური დავალების შესრულებაში (მათემატიკა)

2.1.2.2. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას - შესაბამისია

2.1.2.2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები,მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე, კერძოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეა მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა. წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები); სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები.

სასკოლო საზოგადოება აქტიურად მუშაობს გლობალურ-ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით, სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიან მიზნებსა გლობალურ-ფუნქციურ უნარებს (6 უნარი, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). მასწავლებლეი აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ იაზროვნონ კრიტიკულად, შექმნან პროდუქტი, პრობლემის გადაჭრისას დასჭირდებათ შემოქმედებითობა, გუნდური და ჯგუფური მუშაობა, მეტაკოგნიტური სტრატეგიების ფლობა. კათედრის წევრები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ კომპლექსური დავალებებისთვის მოსამზადებელ ეტაპეპზე აქტივობებს აღნიშნული პრინციპით შეარჩევენ. განხილვის საგანი გახდება კონკრეტული აქტივობა რომელი ფუნქციური უნარის განვითარებას ისახავს მიზნად და რამდენად მოხერხდა მიზნის მიღწევა. გარდა ამისა, მასწავლებლებმა კათედრის შემაჯამებელ ანგარიშში, დანერგილ თემატურ მატრიცასა და კომპლექსური დავალების დანერგვის რეფლექსიაში წარმოადგინეს ისეთი აქტივობები, რომლებიც ფუნქციური უნარების განვითარებას ისახავს მიზნად, აღინიშნა რომ იმავე აქტივობებს განახორციელებენ მომდევნო სასწავლო წელს და გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში. ამადასტურებელ დოკუმენტაციად წარმოადგინეს უკვე განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალები, რომლებიც არაფორმალური განათლებისა და გლობალური უნარების განვითარებაზე მეტყველებს.

2.1.2.2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები,მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) - შსაბამისია

2.1.2.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში ჩანს, რომ გათვალისწინებეულია მოსწავლის საჭიროებები, შესაძლებლობები და პოტენციალი. შეფასებისთვის მასწავლებელთა მხრიდან დასახელებული ინსტრუმენტები, რუბრიკები ცხადყოფს, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა მიღწევების აღწერაზე და არა ხარვეზების მარკირებაზე. კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება გამოხატონ მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. მასწავლებელები აღნიშნავენ , რომ რამდენჯერმე შეცვალეს შესაქმნელი პროდუქტი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ საკითხი და გრძელვადიანი მიზანი უცვლელი დარჩა, დაგეგმეს აქტივობები მათი ინტერესისა და საჭიროების გათვალისწინებით, შესთავაზეს მიზანმიმართული კონტექსტმაგალითები. კათედრა გეგმავს მოსწავლეთა მიღწევების შეფასებასა და ანალიზსს, ძლიერი და სუსტი მხარეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გამოკვეთას. ამ ეტაპზე კათედრის დონეზე პროცესის შესასწავლად/ შესაფასებლად იყენებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობენ იდივიდუალური გეგმის საშუალებით, ადაპტირებული დავალებებითა და აქტივობებით.

საგნების მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ პედაგოგები იცნობენ და საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში იყენებენ მოსწავლეზე მორგებულ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებსა და მოდიფიცირებულ რესურსებს. მოსწავლეებთან მუშაობისას იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებსა და სასწავლო რესურსებს. კურიკულუმებში გაწერილი აქვთ ალტერნატიული აქტივობები. ეფექტურად იყენებენ განმავითარებელ კომენტარს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარების პროგრესს და ამაღლებს მის შინაგან მოტივაციას.

კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობა , კრიტერიუმები და აქტივობები ფორმულირებულია ისე, რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა კომპლექსური დავალების წარმოდგენილი ნიმუშები მოსწავლეს აძლევს აირჩიოს მისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, რაც დიფერენცირებული მიდგომის ელემენტია

დამატები ინფორმაციისა და დეტალების მოძიება შესაძლებელი გახადა ვიზიტის დროს პედაგოგთა უკუკავშირით. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მოსწავლის სწავლის პროცესს აკვირდებიან, მონაცემებს აგროვებენ, მათი ანალიზის საფუძველზე კი მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს ადგენენ, მოსწავლის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად.

2.1.2.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს - შსაბამისია

2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის მიღწევის ტაქსონომიას. ასევე წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის სკოლის ფარგლებში აღნიშნული შეფასების ფორმების წარმოების წესზე. შეფასების ორივე ფორმა ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება როგორც შუალედურ ასევე გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მიმდინარეობას სხვადასხვა სახის მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას. გულისხმობს მოსწავლის მხრიდან შესრულებული სამუშაოს აღწერას და წარმოდგენილი ნაშრომის გასიტყვებას და შეფასებას.

მომავალი სასწავლო წლისთვის შერჩეული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მიგვანეშნებს, რომ დააკვირდებიან როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი, როგორია მოსწავლის წინარე ცოდნა , წარმოდგენები შესასწავლ საკითხთან, თემასთან დაკავშირებით, გამოავლენს მოსწავლის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, შესძლებლობას მისცემს მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების გამოკვეთისა. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მასწავლებელთა მხრიდან ხაზგასმულია კომპლექსური დავალებების განმავთარებელი შეფასების რუბრიკის აგების პრინციპი , დავალების კრიტერიუმებზე დაყრდნობა. აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე წარმოდგენილი განმავითარებელი რუბრიკები გახდება მეთოდოლოგიური დანართის ნაწილი, დაკონკრეტდება კონკრეტული რუბრიკა, რომელიც კონკრეტული მიზნისთვისაა. კონკრეტული პროცესის შესაფასებლად

გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ემსახურება როგორც მოსწავლეთა შედეგების შეფასებას, აგრეთვე სწავლის პროცესის შეფასებას და მის გაუმჯობესებას; შესაბამისად, შეფასება განხორციელდება მკაფიო, ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, კათედრებს აქვთ მზაობა და სწორი ხედვა, შექმნან გრძელვადიან მიზნებზე, სტანდარტის შედეგების ზოგად ინდიკატორებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები.

2.1.2.4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს - შესაბამისია

2.1.2.5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია იმგვარად რომ მასში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ კურიკულუმის შევსებისას თანამშრომლობენ კათედრაზე. გაითვალისწინეს საგნის სწავლების წარმატებული გამოცდილება და ასახეს კურიკულუმის ჩარჩოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პედაგოგებთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სკოლაში აქტიურადაა დანერგილი ურთიერთდასწრების პრაქტიკა, ხდება კომპლექსური დავალებების ანალიზი, მუშაობს ფოკუს ჯგუფები. ხდება წარმატებული გამოცდილების, დაკვირვების შედეგების და მიგნებების გაზიარება. იგეგმება და ხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები.

პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ ახალი აქტივობების დაგეგმვის დროს. ვინაიდან სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება, რასაც ადასტურებენ სკოლის მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. მასწავლებლებმა წინა სასწავლო წლის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს კურიკულუმები და ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია სკოლის მატერიალურ ბაზაზე.

ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რაც ასახულია მოსწავლეთა ნამუშევრებში, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული ფაქტორები გაითვალისწინეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენისას.

პედაგოგები აანალიზებენ წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებენ მას დაგეგმვის პროცესში, ეს კი გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ სკოლა ამ კრიტერიუმში აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.1.2.5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი - შესაბამისია

მტკიცებულებები:

- ✓ საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.
- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ✓ კათედრის ოქმები
- ✓ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ✓ მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი
- ✓ <u>**დიაგნოსტიკური წერის ანალიზი (მათემატიკა).**</u>
- ✓ მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

2.2.1.1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

სასწავლო პროცესი ისეა ორგანიზებულია, რომ გამოწვევები დაკავშირებულია წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან, ამაღლებს მოტივაციას იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, რაც დასტურდება კურიკულუმებში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებით.

Sagnebis სწავლებისას გათვალისწინებულია თანამედროვე მიდგომები. პედაგოგები იყენებენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბebi. რესურსების სახით ძირითადად იყენებენ დამხმარე სახელმძღვანელოებს, ატლასებს, ტაბულებს, PPT-პრეზენტაციებს. სკოლაში საბუნებინებისმეტყველო საგნებში ხორციელდება სასწავლო გრძელვადიანი პროექტები. ისინი ხელს უწყობს საგანთაშორის ინტეგრირებას და მოსწავლეთა ცნობიერებისა ამაღლებას. მოსწავლეები ახორციელებენ დაკვირვებას, უტარდებათ გაკვეთილები ღია სივრცეში. მასწავლებლები აწარმოებენ პორტფოლიოებს. აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ოთახი დამხმარე სათავსოთი,მაგრამ ის არაა აღჭურვილი -არ არის ნიჟარა ონკანითა და წყალგაყვანილობა,გამწოვი , პრაქტიკულად ძალიან მცირეა მზა რესურსები და აღჭურვილობა ბიოლოგიასა და ფიზიკაში,რეაქტივები და ჭურჭელი ქიმიაში. სკოლამ წერილობით მიმართა სსიპ საგანმათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განვითარების სააგენტოსა და რესურსცენტრს, რათა აღმოეჩინათ დახმარება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულფასოვნად აღჭურვაში.რადგან სკოლას ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით პრიორიტეტად დასახული აქვს STEAM- საგნების გაძლიერებული სწავლება,ლაბორატორიის არქონა სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის.

წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები (ყველა კლასის) იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებები, რომლებიც ჩაშენებულია კურიკულუმის ჩარჩოში ისეთი აქტივობების დანერგვას ითხოვს, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიქტი, იგი გამოკვეთს, განიხილავს და წყვეტს პრობლემას, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მრავლად გვხვდება კომპლექსური ბუნების დავალებები, ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მატრიცა წარმოდგენილია დამატებით მტკიცებულების სახით.

სკოლას მიეცა რჩევა ,განმეორებით მიმართოს შესაბამის უწყებებს,რათა აღმოუჩინონ დახმარება ლაბორატორიის სრულყოფილად აღჭურვაში (საბუნებისმეტყველო).

2.2.1.1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას - შესაბამისია

2.2.1.2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ სკოლა საგნობივ კურიკულუმებს მოიაზრებს და განიხილავს, როგორც მოსწავლის ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების გზას. მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამას მოწმობს მათ მიერ საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა, მათ მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც ახლოსაა მოსწავლის რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებთან და გამოცდილებასთან; საგაკვეთილო პროცესში წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის გამოყენებული შეკითხვები, გონებრივი იერიში, გეზისმიმცემი შეკითხვები ახალი ცოდნის კონსტრუირებისთვის და ა. შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება ორგანიზებულია და ეფუძნება წინარე ცოდნაზე დაშენებას. კურიკულუმში გაწერილი თემები ისე არის დალაგებული, რომ გათვალისწინებულია წინარე ცოდნის ანალიზი, მოსწავლეები ასე უკეთ ეუფლებიან ახალი მასალის შენება-გააზრებას გავლილ თემებში შესწავლილი ელემენტები დაეხმარება მოსწავლეებს უკეთ აითვისონ და გამოიყენონ ახალი თემების შესწავლის პროცესში. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.

ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება ნაცნობ კონტექსტთან მიმართებით. თემის შიგნით არის ლოგიკური კავშირები საკითხების სწავლებასა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. რაც დასტურდება წარმოდგენილი თემატური ერთეულის მატრიცებისა და მასწავლებლების გასაუბრების საფუძველზე. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ, ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ეს კი ააქტიურებს მოსწავლის შინაგან ძალებს. სასწავლო პროცესის დროს პედაგოგები აღნიშნავენ რომ არიან ფასილიტატორის როლში. ხოლო მოსწავლე თვითონაა აქტიური მკვლევარი და ახალი ცოდნის აღმომჩენი. დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს ცოდნის აგებას.

2.2.1.2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით - შესაბამისია

2.2.1.3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

კურიკულუმიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან თვითონ კომპლექსური დავალების ბუნება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულად დაგეგმვას და განხორციელებას, აგრეთვე კომპლექსური დავალებები მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს თავად დაგეგმოს საკუთარი შემეცნების პროცესი.

საგნობრივ კურიკულუმებში პოცესები იმგვარადაა დაგეგმილი, მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლის მხრიდან მოითხოვს მსჯელობას საკუთარ გამოცდილებასა და ინტერესზე, გადაწყვეტილების პროცესში საკუთარ პოზიციასა და დასკვნების ვალიდურობაზე, მასწავლებელთა მიერ განხორცილებული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობები, დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს ინდივიდუალური გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესი შესაძლებლობას იძლევა მხარდაჭერილ იქნას მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. მოსწავლეს ეძლევა საშუალება ახსნას რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, ეხმარება მოსწავლეს საკუთარი აკადემიური (და არა მხოლოდ აკადემიური) თვითცნობიერების განვითარებაში. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ მათი მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, რაც აისახება სამომავლოდ მეთოდოლოგიურ დანართში.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ წარმოდგენილ თემატურ მატრიცაში გეზისმიმცემი კითხვებით, კონკრეტული აქტივობებით, მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკებითა და გასიტყვების პროცესში დასმული კითხვებით ყურადღება მახვილდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე.

მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ მოსწავლისათვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებებლი უკავშირდება მოსწავლეთა გამოცდილებას, რაც მამოტივირებელია და გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის წახალისებას. ასევე გასაუბრებაზე გამოიკვეთა რომ შესრულებულ დავალებაზე მოსწავლეები საუბრობენ: -რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა მიიღო, რას შეცვლიდა კეთების პროცესში და ა. შ. რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები.

2.2.1.3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე - შესაბამისია

2.2.1.4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული)

კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებეები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ ყურადღება მახვილდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. მომავალი წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს იმგვარ ამოცანას , სადაც პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება მოუწევთ, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მასწავლებელები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხის სიღრმისეულ გააზრებას.

მასწავლებლები ახორციელებენ მრავალფეროვან შემაჯამებელ სამუშაოებსა და კომპლექსურ დავალებს, რომლებშიც იყენებენ ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულ შეკითხვებს. სასწავლო აქტივობებში უხვადაა როგორც სამიზნე ცნებებსა და ცოდნის სამივე კატეგორიაზე გამავალი, ასევე მეტაკოგნიტური უნარების შემამოწმებელი კითხვები. მასწავლებლები მუშაობენ, რომ მოსწავლეების ცოდნა არ იყოს მხოლოდ დასწავლა. სთხოვენ მათ მოახდინონ არგუმენტაცია, საკუთარი აზრის დაფიქსირება და დასკვნების გამოტანა. მოსწავლეები ახორციელებენ პროექტებს, გრძელვადიან და მოკლევადიან ღონისძიებებს. მასწავლებლები მხარს უჭერენ მოსწავლეთა თვითრეფლექსიას და თავადაც აძლევენ უკუკავშირს.

მოწოდებულ დოკუმენტაციაში და საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რასაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს; მაგალითად, იქ სადაც შუალედურ მიზნებად მოიაზრება კომპლექსური დავალებები, კურიკულუმებში იერარქიულად გაწერილია, როგორ მიემართება ქვესაკითხები სამიზნე ცნებებისკენ, რომლის პრაქტიკულად განხორციელება გულისხმობს სწორედ ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობას. მაგალითად, ფაქტობრივი ცოდნის ათვისების შემდეგ ხდება ამ ცოდნის სხვადასხვა სავარჯიშოებში გააქტიურება და შემდგომ უკვე ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენება (კომპლექსური დავალებები), რაც საკითხის სიღრმისეულ გააზრებას და დასწავლას უწყობს ხელს.

2.2.1.4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) - შესაბამისია

2.2.1.5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებეები, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება, დაუკავშირონ შინაარსი, საკითხი და პრობლემა ერთმანეთს. პედაგოგებმა ისაუბრეს მოსწავლეთა ნამუშევრების შედეგებზე დაყრდნობით, რამდენად უწყობს ხელს კომპლექსური ბუნების დავალება გამოცდილების მობილიზებითა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირებით გამოწვევების გამკლავებას და პრობლემის გადაჭრას. ხდება საგანთა შორის ინტეგრაცია კომპლექსურ დავალებებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურუკულუმებში გაწერილი თეორიული და პრაქტიკული შინაარსის თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები რომლებშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივი კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.

წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური დავალებებს, რადგან კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც ხელს უწყობს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთ დაკავშირებას

მოწოდებულ დოკუმენტაციაში და საგნობრივ კურიკულუმებში მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალებები, რასაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრების / ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების კარგ საშუალებად განიხილავს; სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ რადგან კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ასეთი დავალებების განხორციელება ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს.

2.2.1.5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება - შესაბამისია

მტკიცებულებები:

- ✓ საგნობრივი კურიკულუმები
- ✓ სასკოლო პროექტები
- ✓ კათედრების სხდომის ოქმი
- ✓ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- ✓ მასწავლების გაკვეთილის რეფლექსია
- ✓ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- ✓ მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ✓ მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს

2.2.2.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისის მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. იგივე პრინციპი დაცულია წარმოდგენილ თემატურ მატრიცაში, შესაბამისად სკოლა მზადაა გაითვალისწინოს აღნიშნული პრინციპები და მიმართებები სწავლა-სწავლების პროცესში.

წარმოდგენილი კურიკულუმებში ასახულია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზრვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კი კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით ხორციელდება. ეს დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად და ასევე კურიკულუმში ასახული თემატური ერთეულის მატრიცით, კომპლექსური ბუნების დავალებებით. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. სადაც ნათლად ჩანს მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხბსა და საკვანძო კოთხვას შორის კონტექსტთან კავშირში. აქვეა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

სკოლის მხრიდან არის ცალსახა მზაობა, რომ მათ მიერ მკაფიოდ იქნას გააზრებული სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის, რის საფუძველსაც იძლევა მათ მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები და მეორე მხრივ განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები და რეფლექსია მათზე.

2.2.2.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისის მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით - შესაბამისია

2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წარმოდგენილ დოკუმენტებში მკაფიოდ არ ჩანს (მათემატიკა), რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემციურ განვითარებას, თუმცა მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ სვამენ ისეთ კითხვას რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს, სწავლის პროცესზე, მაგ: რას შეცვლიდი? რაში გამოიყენებ მიღებულ ცოდნას? რა გამოვიდა კარგად, რა არის ამის მიზეზი?... გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს. შეფასების მექანიზმებში ჩართულია თანატოლთა შეფასების და თვითშეფასების ფორმები.

ყველა დავალება და აქტივობა მიმართულია იქით, რომ მოსწავლე მაქსიმალურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. პედაგოგები ქმნიან პოზიტიურ სასწავლო გარემოს. ისინი ზრუნავენ მოსწავლეთა განვითარებაზე, უსაფრთხოებაზე, მიკუთვნების გრძნობის გამომუშავებაზე. საგნობრივი საკითხები და კონტექსტები შერჩეულია იმგვარად ,რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი მოსწავლის თვითრეალიზებას, თვითცნობიერებას, თვითრეგულაციასა და სოციალური ცნობიერების განვითარებას.

მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. სწავლა არის მოსწავალის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესი. შესაბამისად ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა. დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი პერსონალურსა თუ სოციალურ ქცევებს შორის. კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი მოსწავლის ამგვარი კუთხით განვითარებას უწყობს ხელს, რაც გააზრებული პროცესია მასწავლებელთა მხრიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას - შესაბამისია

2.2.2.3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭარაზე

სკოლიის მიერ შემუშავებული და გამოყენებული შეფასების რუბრიკები ხაზს უსვამს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მაგ: კომპლექსური დავალების შეფასების სქემა, წერითი შემაჯამებელი დავალების რუბრიკა, კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკა, შეფასების რუბრიკა მიმდინარე მიღწევებისთვის, კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები არა მარტო ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტურალურ გარემოებას, ფოკუსჯგუფთან მუშაობის პროცესში აღინიშნა, რომ შეფასების რუბრიკები შემუშავების ეტაპზეცაა და წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში, დეტალურად აღიწერება რამდენად და როგორ უწყობს ხელს ისინი მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას.

სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიმდინარეობს არსებული სისტემის მიხედვით როგორც ინდივიდუალურად თავად საგნის მასწავლებლის მიერ, ასევე ხდება მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაზიარება კათედრაზე. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი შეფასების დროს აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე და შედეგებზე/საბოლოო პროდუქტზე, არამედ იმის დაკვირვებაზე და ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში და როგორია მისი საერთო პერფორმანსი, მაგალითად, კომპლექსურ დავალებაზე, სასწავლო პროექტებზე მუშაობის განმავლობაში. რეკომენდაციის საფუძველზე, კათედრა გეგმავს მოსწავალის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენოს და უპირატესობა მიანიჭოს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას.

სკოლის მასალებში წარმოდგენილია მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიის და სოლო ტაქსონომიის მიხედვით შედგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზა.

2.2.2.3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭარაზე - შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.2.4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავლების შეფასების რუბრიკებს, მასწავლბლებმა აღნიშნეს, რომ ხშირად შეფასების რუბრიკები თვალსაჩინოდაა კედელზე გაკრული, რაც გამჭირვალობის, სანდოობისა დასტურია. სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ, მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და მსჯელობენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე, აკეთებენ თვითშეფასებას. შეფასების კრიტერიუმები ვალიდურია, გამჭირვალეა, სანდოა, ობიექტურია და ეყრდნობა სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიას. შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა ხორციელდება კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებით.

შეფასება ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. შეფასების რუბრიკის შექმნისას ითვალისწინებენ დავალების შინაარსის შეთანხმებას მოსწავალეებთან, რათა მიზნობრივად შეირჩეს ინსტრუმენტი, რომელიც გაითვალისწინებს ერთ მხირვ საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს და მეორე მხრივ მოსწავლეების ინტერესებს, სწავლის სტილსა და გამოცდილებას. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ კათედრის წევრები დიდ ყურადღებას აქცევენ შეფასების ვალიდურობასა და სანდოობას, რამდენად სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. აღნიშნავენ, რომ მათმა მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. მათ ზუსტად აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მკაფიოდ უნდა იცოდნენ რა არის წარმატებული შედეგი და რა არ არის მისაღები. ყველაზე მთავარი მოსწვალეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. კმასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ამ ფაქტორების გათვალისწინებით შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტებს წარმოადგენენ მეთოდოლოგიურ დანართში, გარდა ამისა გამოკვეთენ, რომ კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკის შექმნისას დაეყრდნობიან დავალების კრიტერიუმებს, შესაბამისად მოსწავლისთვის მკაფიო გახდება დავალების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმი.

2.2.2.4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი - შესაბამისია.

2.2.2.5.სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

შესწავლილი დოკუმენტებიდან ირკვევა და ინტერვიუებიდანაც დასტურდება, რომ სკოლას უკვე აქვს შემუშავებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც სრულყოფს შეფასების სისტემას. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კათედრის სხდომებზე ხშირად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მსჯელობენ ხარვეზების გამოსწორებაზე. ვერიფიკაცია მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსწავლის მიღწევის ანალიზს და ხელს შეუწყობს იმის დადგენას, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს, რათა უფრო მოქნილი გახდეს იგი და მცირე საგაკვეთილო დროში მასწავლებელმა შეძლოს მოსწავლის განვითარებაზე ზრუნვა.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად, შეფასების მონიტორინგს. სკოლამ წარმოადგიმა ვერიფიკაციის დოკუმენტი (მათემატიკა)

რჩევაყველა კათედრა დეტალურად გაეცნოს ვერიფიკაციის მექანიზმს. დანერგოს და გამოიყენოს პრაქტიკაში

2.2.2.5.სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი - შესაბამისი

2.2.2.6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლას აქვს გამოცდილება, რომ უზრუნველყოს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვა და არანაკლებ 3 წლის ვადით შენახვა, რაც დადასტურდა გასაუბრების შედეგად, მასწავლებლებს ჰქონდათ ნიმუშის სახით წარმოდგენილი შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები. სკოლას აქვს მოსწავლის პირადი საქმეები, ელექტრონული და მატერიალური ჟურნალები, სადაც არის ასახული მოსწავლის მიღწევები და შედეგები. ეს ყველაფერი შენახულია კლასების მიხედვით საქმის მწარმოებელთან.

სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება, არანაკლებ 3 წლის ვადით, კერძოდ (ელ ჟურნალი), მოსწავლის პირადი საქმე. ასევე აქვს „ოფიციალური სტატუსუს მქონე ნიშნების წიგნი“-, რომელსაც 2010 წლიდან აწარმოებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და მათ შორის სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლაც იცავს დოკუმენტის წარმოებასა და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. ასევე ხორციელდება შეფასებასტან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში გარკვული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დროით ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვთ მოსწავლეთა შეფასებები. მასზე პასუხისგება ეკისრება საქმეთამმართველს.

2.2.2.6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით - შესაბამისია

მტკიცებულებები:

- საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები;
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- სხვადასხვა პროექტები, პროექტის რეფლექსიები და შეფასების რუბრიკები.
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ;
- თემატური მატრიცები
- მასწავლების გაკვეთილის რეფლექსიები
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის პროექტი 2023-24წ
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024წ
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- დისკუსიის შეფასება
- მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი
- მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა.

2.2.3.სასწალო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

2.2.3.1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს , რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. რასაც ადასტურებს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი, საგნობრივი კურიკულუმები. საბაზო საფეხურის მათემატიკის კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობის განვითარებაზე, როგორც ერთმანეთთან ასევე მოსწავლეებთან, მშობლებთან, მოსწავლეთა შორის. აქვთ სსსმ მოსწავლეთათვის ინდ გეგმები და მათზე მოდიფიცირებული რესურსები, აქტივობები. აქვთ ღიაობა და მიმღებლობა წახალისებულია როგორც მასწავლებლების, ასევე, მოსწავლეებისა იდეების მიმართ.

მასწავლებლები უზრუნველყოფენ პოზიტიური გარემოს შექმნას საკლასო სივრცეში. ხელი ეწყობა მოსწავლის პიროვნულ ზრდას, , კათედრაზე მასწავლებლები ხშირად გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და უკუკავშირი. აქტიურია თანამშრომლობა მშობლებთან. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

. საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში (2023 -2024) მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებისთვის განსაზღვრულია სამივე საფეხურის ძირითადი ამოცანები, სკოლის საერთო კულტურაშიც ხაზგასმულია ურთიერთპატივისცემაზე და თანამშრომლობაზე ორიენტირებული სასწავლო კულტურა რომელიც ხელს უწყობს შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას, სპორტული სახელოვნებო და სასკოლო პროექტების ორგანიზებას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლაში იგეგმება და ხორციელდება მიზნობრივი ექსკურსიები და გასვლითი გაკვეთილები, ხორციელდება შემოქმედებით ღონისძიებები. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სტანდარტებით და მოიცავს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების სფერო. კურიკულუმის ჩარჩოებში მითითებული მატრიცებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, მოსწავლეებს აქვთ დავალების პროდუქტის შექმნის არჩევანის საშუალება, ასევე მრავალფეროვანი აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესთა და შესაძლებლობების სფეროს. სასკოლო სასწავლო გეგმაში ხაზგასმულია რომ სკოლას წავლების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, სკოლის ბაზაზე მოსწავლეთა პროფესიულ განვითარებაზე, მოსწავლის მოტივაციის გაზრდაზე ზრუნვა. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს, რომ საგანმანათლებლო გარემო უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის აქტიურ ჩართულობას და მისი შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას საგანმანათლებლო პროცესის ყველა ეტაპზე.

2.2.3.1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო - შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.3.2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სკოლაში ვიზიტის დროს გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები ხშირად ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროცესს, ერთობლივად მსჯელობენ რა და როგორ უნდა შეფასდეს, წახალისებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები. კათედრის წევრები ზრუნავენ თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, მათთან საუბრით, მათთვის არჩევანის მიცემის საშუალებით, საინტერესო იდეების წახალისებით, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში;

კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებლი აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. კათედრების გამოკითხვისას გამოჩნდა მზაობა, რომ ისინი მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით ახდენდნენ და მომავალშიც მოახდენენ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას.

მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავენ რომ, სკოლაში მოსწავლეთათვის შექმნილია უსაფრთხო გარემო, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას. კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, დიფერენცირებულ მიდგომები, არჩევითი დავალებებისა და სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების შეთავაზება, საგნობრივი პროექტები უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში.

თვითშეფასების ფორმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო და უსაფრთხო გარემოს. საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის აქტივობები, ასევე კომპლექსური დავალებები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის აქტივობებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებს, მათ შესაძლებლობებსა და ასაკობრივ თავისებურებებსაა მორგებული.

2.2.3.2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად - შესაბამისია

2.2.3.3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლას აქვს ურთიერთთანამშრომლობის მდიდარი და საინტერესო გამოცდილება. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმებზე მუშაობისას სხვადასხვა კათედრის მასწავლებლები მსჯელობდენ და ადგენდენ მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით მორგებულ დავალებებს. ახდენდენ მოსწავლეთა მიღწევების დონის ანალიზს.

მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავენ, რომ კოორდინირებული მუშაობა აქვთ სხვა კათედრებთან. თითოეული სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს და აფასებს პროცესებს, განსხვავებულია მათი გადაჭრის გზებიც, რაც ეხმარებათ მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობები ისე წარმართონ, რომ შეიქმნას პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო.

სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურაზე და ჯანსაღ კომუნიკაციაზე, მასწავლებლები მოსწავლისთვის აღიქმება როგორც უფროსი მეგობარი. ასევე, სკოლაში თანამშრომლობითი გარემო გამოვლინდა ვიზიტის დროს. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. კათედრის ოქმებში იკითხება კათედრის წევრების შეთანხმებული მუშაობა კურიკულუმის დაგეგმვა შესრულებისას. კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას და აქვთ კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი.

კომპლექსური დავალებები, რომლებიც კურიკულუმებშია ჩადებული, თავისთავად გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; კათედრების მასწავლებლებთან ინტერვიუც ადასტურებს, რომ დაწესებულებაში კათედრა წარმოადგენს ერთიან გუნდს, რომლის თითოეული წევრი ჩართულია პროცესის სრულყოფაში.

2.2.3.3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას - შესაბამისია

2.2.3.4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. ამას ხელს უწყობს როგორც სკოლის შინაგანაწესი, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაც. სასწავლო წლის მანძილზე დაგეგმილი სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრული თემები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა შორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მეგობრული და ტოლერანტული გარემოს შექმნას. სკოლა ახდენს მოსწავლეთა ჩართვას როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალური განათლების აქტივობებში, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზეც,

სკოლაში მიღწეულია პოზიტიური სასკოლო კლიმატი, სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში რასაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პატივისცემა, ნდობა, აღიარება, მიკუთვნებულობის განცდა. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა, რომ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა არამედ მთლიანი სასკოლო საზოგადოების. კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კომპლექსური დავალებები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, ხოლო განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით მოსწავლეებს ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სუსტი მხარეების გაძლიერებაში

სკოლას აქვს მკაფიო ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას, ნაცვლად დასჯა/წახალისების მექანიზმისა, რაც დადასტურდა სკოლაში ვიზიტის დროს მათთან გასაუბრებისას და აგრეთვე მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, სადაც გაწერილია ისეთი აქტივობები, თემატური ერთეულები, კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროექტები, რომლებიც ორიენტირებულია თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისებაზე და მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე;

2.2.3.4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე - შესაბამისია

მტკიცებულებები:

- სასკოლო კლუბების წესდებები და დებულებები.
- სასკოლო სივრცეები
- მოსწავლეთა მიღწევების ამსახველი მასალები
- კლუბური მუშაობის აქტივობები და მიღწევები
- მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- მოსწავლეთა ტრანზიციის წესი
- შინაგანაწესი

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანამდევ განუყოფელ ნაწილს

2.3.1.1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, ,,მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად? სასკოლო საზოგადოების წევრებს ერთმანეთთან შეთანმებული უნდა ჰქონდეთ დიზაინი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება ამ საკითხების შესწავლა. შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. მონიტორინგისა და შეფასებებისათვის რეკომენდაციები შემუშავებულია ,,ახალი სკოლის“ მოდელში.

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებასა და დანერგვაში ჩართულია ყველა მასწავლებელი. განხორციელების პროცესს აკვირდებიან კათედრის წევრები. აკვირდებიან, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის დაძლევა, რა პრობლემები გამოიკვეთება. ანალიზისა და შეფასების შედეგად მოხდება კურუკულუმების განახლება.

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ინტენსიურად თანამშრომლებენ ერთმანეთთან, ერთობლივად გეგმავენ სასწვლო პროცესს, აკვირდებიან ერთმანეთის მუშაობას სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, როგორც კუიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიითაა განსაზღვრული. პედაგოგებმა აღნიშნეს გასაუბრებაზე, რომ წლის მანძილზე გზა და გზა, მუშაობის პროცესში აღწერენ , ჩაინიშნავენ, შეაფასებენ და იმსჯელებენ კურიკულუმის დანერგვის პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესახებ და დაგეგმავენ გადაჭრის გზებს

2.3.1.1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად - შესაბამისია

2.3.1.2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურებასასკოლო საზოგადოების წევრებია მხარდაჭერასა და დახმარებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარებისათვის კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთის ჩატარებულ გაკვეთილებს. აძლევენ უკუკავშირს პედაგოგებს. ჩატარებული გაკვეთილების ანალიზის შედეგად ადგენენ არსებული ხარვეზებს და ერთობლივად ეძებენ გადაჭრის გზებს . მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა , ასევე თვითშეფასება ეხმარება მათ გამოიკვეთონ რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სკოლას განსაზღვრული აქვს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი მოსწავლეთა შეფასებისათვის.

სასკოლო კურიკულუმის დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სკოლის საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ამ პროცესის მთავარ მიზანს წარმოადგენს მასწავლებლებისა და მოსწავლეების გაძლიერება. სკოლის პედაგოგებს შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. შემუშავებულია რუბრიკები ,რომლითაც ფასდება გაკვეთილი, პედაგოგის მიერ შექმნილი რესურსები და ა.შ, რის საფუძველზეც პედაგოგი იღებს ეფექტურ უკუკავშირს.

მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში მოქმედებს გაკვეთილზე დასწრების გამოცდილება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა და მეთოდური რჩევების მიცემა. მასწავლებლები კურიკულუმით განსაზღვრული კომპლექსური დავალებების განხორციელების შემდეგ მოსწავლეებისგან და დამკვირვებლებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, აანალიზებენ ძლიერ და სუსტ მხარეებს და გეგმავენ მოსწავლეზე მორგებულ კომპლექსურ დავალებებს. დამკვირვებლებისგან ეძლევათ სიტყვიერი უკუკავშირი, რომელიც ორიენტირებულია სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისათვის და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნისათვის. პროცესი არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული.

სკოლის მასწავლებლებს აქვთ სწორი ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა უნდა ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და არა დასჯას, რაც თავისთავად ქმნის წინაპირობას მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის და ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას.

2.3.1.2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურებასასკოლო საზოგადოების წევრებია მხარდაჭერასა და დახმარებას - შესაბამისია

2.3.1.3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. როგორც სკოლაში ვიზიტის დროს მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, კათედრა აცნობიერებს, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მასალა (მაგალითად, მოსწავლეთა დიაგნოსტირების შედეგების ანალიზი, კოლეგების გაკვეთილებზე დასწრება და უკუკავშირი, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებისა და ურთიერთდაკვირვების შედეგები და ანალიზი) გამოყენებული უნდა იქნეს სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის.

მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, წლის ბოლოს შეხვედრებზე ახდენენ კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ახდენენ ანალიზს რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ეძებენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად დაისახება მათი გადაჭრის გზები, სკოლა გეგმავს მომდევნო სასწავლო წლიდან სამოქმედო გეგმაში ასახოს ინფორმაცია კურუკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის შესახებ.

.სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტები, როგორებიცაა დაკვირვების ფორმა, მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვ. კურიკუკლუმის მონიტორინგის და შეფასების გზით დადგენილია პედაგოგთა და მოსწავლეთა საჭიროებები.

მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ დაწყებითი კლასის მათემატიკის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საინტერესო მეთოდებისა და სტრატეგიბის გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებს, აფასებენ მოსწავლეთა ნაშრომებს და სხვა, ამით ახდენენ კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. კათედრის სხდომებზე ახდენენ ანალიზს რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ეძებენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად გეგმავენ კვლევით აქტივობებს, რომლის ანალიზის შედეგებს ასახავენ სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში.

2.3.1.3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას - შეესაბამება

მტკიცებულებები:

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წარმოდგენილი დოკუმენტი (ქოუჩინგის შეჯამების ფორმები, რესურსი 12)

კათედრის მუშაობის SVOT ანალიზი,

პედაგოგთა სამუშაო შეხვედრების ოქმები

2.3.2.სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

2.3.2.1.შფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

მასწავლებლებმა შეხვედრაზე გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესზე ფოკუსირების საშუალებას გვაძლევს განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები, რომლებსაც მასწავლებლები წლის დასაწყისში ადგენენ, ან მოდიფიცირებას უკეთებენ. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ განხორციელებული აქტივობებისა და შესრულებული სამუშაოების რეფლექსიები, რის საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი? რომელია მისი ძლიერი და სუსტი მხარე. ასევე ითვაალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით აძლევენ უკუკავშირს მოსწავლეებს. მასწავლებლები გეგმავენ შეფასების ფორმას მიეცეს სისტემური ხასიათი, რომელიც მოხდება სხვადასხვა მრავალფეროვანი წყაროსა და რესურსის გათვალისწინებით.

სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების ნიმუშები, მათ შორის კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები; შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესის მონიტორინგის, შეფასების, ტიპური პრობლემების გამოკვეთისა და ანალიზის საშუალებას იძლევა; შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორიცაა, მოსწავლეთა თვითშეფასება, თანატოლთა ურთიერთშეფასება და უკუკავშირი; მშობლებთან და კლასში შემსვლელ სხვა მასწავლებლებთან, კლასის დამრიგებელთან გასაუბრება.

სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა გულისხმობს მონაცემების შეგროვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. მიმდინარე ეტაპზე გამოიყენება საგნობრივი მიმართულებით შემუშავებული შეფასების რუბრიკები , კვლევა, დაკვირვება, შემაჯამებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დავალებების ანალიზი. სკოლას აქვს მზაობა, სამომავლოდ, გამოიყენოს კიდევ უფრო მრავალფეროვანი რესურსები. იგეგმება ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობის გაზრდა.

მასწავლებლებმა შეხვედრაზე გასაუბრებისას აღნიშნეს რომ მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესზე ფოკუსირების საშუალებას აძლევთ განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მონაცემები. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ განხორცილებეული აქტივობებისა და შესრულებული სამუშაოების რეფლექსიები, რის საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი? რომელია მისი ძლიერი და სუსტი მხარე. ამის შემდეგ ითვალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით აძლევენ უკუკავშირს მოსწავლეებს. სამომავლოდ გეგმავენ, რომ განმავითარებელი შეფასება დააფუძნონ მრავალფეროვანი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას.

2.3.2.1.შფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს - შესაბამისია

2.3.2.2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის, წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, რაც დაეხმარება მოსწავლის მრავალი კუთხით იდენტიფიცირებაში, მისი უნარების გამოვლენაში, რაც მისცემს უფრო ეფექტურად და მოსწავლის შესაძლებლობებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის დაგეგმვის საშუალებას. ამ მიზნით კათედრაზე იგეგმება სადაიგნოსტიკო შეფასებების ჩატარება, უფრო ფართოდ მოხდება კომპლექსური დავალებების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ჰოლისტური შეფასების სქემის დახვეწას.

პედაგოგებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ მოსწავლეების შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალ კონტექსტს. და აფასებებენ არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებულ სააზროვნო უნარებს. ითვალისწინებენ იმ სოციალურ გარემოს რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე.

მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. შეფასება ხორციელდება კონსტრუქტივისტულ პრინციპების, ცოდნათა ურთიერთდაკავშირების მიხედვით, ცოდნის სამივე კატეგორიის ცოდნის შესაბამისად, შეფასება მიზანმიმართულია 6 გლობალური ფუნქციის განვითარების ხელშეწყობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალი კონტექსტის გამოყენებას , შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგების მიღწევების ინდიკატორს. რაც შესაძლებლობას აძლევს სკოლას, გამოიკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების, მათი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება.

2.3.2.2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით - შესაბამისია

2.3.2.3.შფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებელები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. განაზოგადებენ დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებულ შედეგებს. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკაში იყენებენ ინტერვიუს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ.

გასაუბრებაზე გამოიკვეთა რომ შეფასებისას მასწავლებელები იყენებენ მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს.

შეფასებისას სკოლა აქტიურად იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს, როგორიცაა მასწავლებელთა თვითრეფლექსიები, ურთიერთდასწრების ანგარიშები,პ ორტფოლიოები, თემის შემაჯამებელი სამუშაოების ანგარიშები ,კათედრის ოქმები და ა.შ. სკოლამ გამოთქვა მზაობა ამ პროცესის შემდგომში დახვეწისათვის.

პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასებისას მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მისაღებად მნიშვნელოვანია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, რაც შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ შეფასება გახდეს კიდევ უფრო მეტად მრავალფეროვან კონტექტებზე დაფუძნებული.

2.3.2.3.შფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები - შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.3.2.4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

საგნობრივი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასების განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. როგორიცაა მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, რასაც ხელს უწყობს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები, კონტექსტ მაგალითები და პროექტები. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ შეფასების ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს მრავალმხრივი კონტექსტიდან მოსწავლის შედეგის შეფასებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ ამ ეტაპზე შეფასება ხდება მულტიფაქტორული მიდგომის გათვალისწინებით. გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსი, ფსიქო-ემოციური ფონი, ხდება მოსწავლეთა უნარების და ინტერესების დიფერენცირება. მომავალში სკოლა გეგმავს, რომ შეფასება მოხდეს მულტიფაქტორული მიდგომის გათვალისწინებით: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსი, ფსიქო-ემოციური ფონი, მოსწავლეთა უნარების დაინტერესების დიფერენცირება, რომელიც გათვალისწინებული იქნება მომავალი კურიკულუმის შემუშავების დროს.

წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია თემატური ერთეულების და რიგ შემთხვევაში ამ თუ იმ თემის ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური ტიპის დავალებებით, რომელთა განხორციელება გულისხმობს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების გააზრებასა და ათვისებას, არამედ მთლიანი პროცესის შეფასებას, რომლის დროსაც ხდება დაკვირვება როგორც მოსწავლის აკადემიურ უნარებზე, აგრეთვე მის ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე, სოციო-ემოციურ განწყობაზე და იმ მოქმედ ფაქტორებზე, რაც ზეგავლენას ახდენს მოსწავლის მთლიან პერფორმანსზე და შედეგებზე.

მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით სკოლა ითვალისწინებს სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, ისეთებს როგორებიცაა მოსწავლეთა განწყობებსა და სასკოლო მზაობას, მათ უნარებსა და ინტერესებს, სასკოლო თემის მოლოდინებს სკოლის მიმართ, ხელისშემშლელ გარემოებებს, მშობელთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და ა.შ. სწავლა- სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, აქცენტი გაკეთდება კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე.

2.3.2.4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით - შესაბამისია

მტკიცებულებები:

- ✓ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ✓ კათედრის ოქმით დამტკიცებული ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12
- ✓ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები.

დიფერენცირებული დავალებები.

2.4.კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1.წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

2.4.1.1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციოსაჭიროებათა პაკეტი

პედაგოგებთან გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მიმდინარეობს კურიკულუმის დანერგვის პროცესის შეფასება თუ, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ აღძრა მოსწავლეთა ინეტერსი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში ? მიემართება თუ არა თემა, საკითხები გრძელვადიან მიზნებს, არის თუ არა კურიკულუმის მეთოდური ორიენტირი ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ა.შ. ახალი კურიკულუმის განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ზემოთაღნიშნულთან ერთად სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები,შეფასება და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები. დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ, სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას დაეყრდნობიან წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ახალი საწავლო წლის სასწავლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

სკოლას აქვს კურიკულუმის შექმნისა და მუშაობის შემდეგი გამოცდილება : საგნობრივ კათედრებზე რეფლექსია კურიკულუმის დანერგვის ეტაპებთან დაკავშირებით, რაც გამოკვეთს საუკეთესო გამოცდილებასა და განსახორციელებელ ინტერვენციებს. სამომავლოდ იგეგმება სკოლის საზოგადოებისათვის შეიქმნას და გაზიარდეს მცირე გზამკვლევი, რომელშიც აისახება მათი მხარდაჭერის, პასუხისმგებლობისა და ჩართულობის პაკეტი.

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს კათედრები აანალიზებენ გავლილ სასწავლო წელს, გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, ითვალისწინებენ წლის მანძილზე გამოვლენილი მონიტორინგის შედეგებს, რის საფუძველზეც განსაზღვრავენ სწავლა-სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მიზნებს; სკოლას აქვს მზაობა, უკვე არსებული რეფლექსიების საფუძველზე, დოკუმენტურად ასახოს ის მიგნებები და რეკომენდაციები, რაც სკოლისთვის ნიშანდობლივი და გასათვალისწინებელია და შეიმუშაოს ინდივიდუალური პაკეტი სამუშაო და სარეკომენდაციო ხასიათის შენიშვნებითა და რჩევებით.

კურიკულუმის დანერგვის პროცესში, კურიკულუმის შემუშავების დოკუმენტის მიხედვით, გათვალისწინებულია დაგროვილი გამოცდილების პროცესზე დაკვირვება და დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. კურიკულუმის რევიზია ითვალისწინებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზებას რამდენიმე მიმართულებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრა, დირექცია. როგორც სკოლის თვითშეფასებიდან ირკვევა, ის გეგმავს შეიმუშაოს ერთიანი კურიკულუმის რეკომენდაციების პაკეტი, რომელიც გაზიარდება მასწავლებლებისათვის. ამასთანავე, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება, საგნობრივი კათედრების იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის.

2.4.1.1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციოსაჭიროებათა პაკეტი - შესაბამისი

2.4.1.2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

კურიკულუმის ახალი ვერსია, დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ახალ რევიზირებულ დოკუმენტში აისახება ანალიზის საფუძველზე დადგენილი მიგნებები. დაწყებითი მასწავლებლები აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში აისახოს მოსწავლეთა ინტერესები, შედეგები

2022-2023 სასწავლო წელს სკოლა იყენებდა სამინისტროს საგნობრივი ექსპერტების მიერ მოწოდებულ კურიკულუმებს. მათი განხორციელებისას მიღებული გამოცდილება ,შეფასების შედეგად მიღებული მიგნებები აისახა მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულემებში. მასწავლებელთა პრაქტიკული საქმიანობისათვის სკოლაში იგეგმება შერჩეულ მატრიცებზე დაფუძნებით კვლევის წარმართვა, რომელშიც ჩართული იქნებაიან მასწავლებლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: - სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; - კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; - სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; - კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. პედაგოგებთან გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მიმდინარეობს წინა წლის პროცესის შეფასება თუ, რამ იმუშავა კარგად, ცუდად. ახალი კურიკულუმის განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ზემოთაღნიშნულთან ერთად სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები, შეფასება და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები. დაწყებით საფეხურზე აღნიშნავენ, რომ მონიტორინგის შედეგებს პერიოდულად გაუზიარებენ სასკოლო საზოგადოებას სწავლა-სწავლებაში მიღწეული შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. დოკუმენტის თანახმად, ,, კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე.''

ასევე, მასწავლებლებთნ საუბრისას გამოიკვეთა, რომ ცვლილებებს საფუძვლად უდევს განვლილი სასწავლო წლის გამოცდილება და რეფლექსია.

2.4.1.2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს - შესაბამისია

მტკიცებულებები:

- 2022-2023 სასწავლო წლის კურიკულუმი
- 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

ჯგუფის თავმჯდომარე ხელმოწერა -თეა გაბელაია -

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი წევრი - ტარიელ კალანდაძე--

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი-თეა ნინუა --- თეა ნინუა

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი-მანანა სეხნიაშვილი -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი-მარინე შანშიაშვილი-

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი- ნაია ენდელაძე-

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი- მაია სიხარულიძე-

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი-მარიამ ღუბელაძე-

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი- თამარ მურუსიძე -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი-.კობა დეკანაძე-

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი- ნათია კურტანიძე-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---